


ლიტერატურული საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

18 ივნისი 2021წ. №15 (4014) გამომცემის 90-ე წელი ფასი 1 ლარი



დღეს დიმიტრი არისტოვი 90 წლის გახდა

ვულკავთ ჩვენს სახელოვან მხატვარს დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.
წერილი მისი შემოქმედების შესახებ იხილეთ მე-4 გვერდზე.

ჩემი თაობიდან ამოვარდნილი ვიყავი, ფაქტობრივად; ქრონოლოგიურადაც ამოვარდნილი ვიყავი, ნაკლებად ვებეჭდვდი, თითქმის მთლიანად თარგმანში გადავდივდი, გარკვეულად გვერდითი მოვლენა ვაგვხდებოდა.
ამ გადასახედიდან, ჩემი პოეზიით, არა მგონია, განსაკუთრებით გამოიწვევს ვიყო ან წინა თაობისგან, ან შემდგომისგან; ისე, რაღაც განსხვავება ყოველთვის არის - კარგად წერა, ვფიქრობ, ტრადიციისა და ნოვაციის შერწყმას გულისხმობს.

პროზაიკოსი და პოეტი

პროზაიკოსი და პოეტი ერთი რამით განირჩევა: პოეტთან სიტყვა ეძებს აზრს, პროზაიკოსთან აზრი ეძებს სიტყვას.
მთავარი ის არის, რომ ზოგიერთი მონაკვეთი სპონტანურად უნდა დაინეროს, თითქოს თავისით მოვიდა. დანარჩენი მერე კეთდება, რა თქმა უნდა, და თავის კალაპოტს ნახავს, მაგრამ ის, რაც აშკარად შემოქმედებითია, თავისით უნდა მოგვეცეს, ასე მგონია.
ასეთი რამეა ნათქვამი: სონეტის 14 სტრიქონიდან შეიძლება 13-ე თვითონ შეთხზა,

„ლეჩი შთაგონების დროს არ იწერება“ ფრაგმენტები დავით ნარაღიანის გამოუქვეყნებელი ინტერვიუებიდან

მაგრამ ერთი ჭერიდან უნდა ჩამოვიდეს, მხოლოდ მაშინ შედგება კარგი სონეტი. ალბათ დაახლოებით ამას გულისხმობენ მუზეუმში.

შთაგონება

კარგად არც ვიცი, რატომ ვთარგმნიდი, რა დროს ვწერდი. ალბათ ასეთი რამ ხდება, როდესაც პოეტი პროფესიონალია, „ავსებს“ თავის წიგნებს ბევრი კარგი ლექსით, მაგრამ

ზოგიერთი ისეთი, რომელიც მაინცდამაინც არ ეწერებოდა და აუცილებლობის გამო დაწერა. ასეთ დროს მე, პირადად, ვთარგმნიდი. ლორკა მიიჩნევდა, რომ შთაგონება - ეს აუცილებელი რამ არის, მაგრამ ლექსი შთაგონების დროს არ იწერება. შთაგონება - თითქოს მოგზაურობაში იყავი, საიდანაც შთაბეჭდილებები გამოგყავა, უფრო სწორად, შთაბეჭდილებების ნაფლეთები: ხმებად, სუ-



რათებად, ათასგვარად და როდესაც ლექსს წერ, შთაგონება ხელისშემშლელიც კია; როცა თითოეულ სიტყვას კვნივ, გემოს უსინჯავ, ფერს უსინჯავ, ერთმანეთს როგორ მიადგება, ამ დროს მიმჩნია, რომ შემოქმედებითი პროცესი არავითარ კავშირში არ არის შთაგონებასთან. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველა თავისებურად წერს, თავისებურად ამბობს.
►► დასასრული. 89-3 გვ.

ეკატერინე გაბაშვილი - 170

ფემინისტი ქართული ხასიათით

მწერალი, პედაგოგი, ჟურნალისტი, ფემინისტი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი... ცოტა არ არის ქალისთვის, რომელმაც თერთმეტი შვილი გააჩინა და იცხოვრა ისეთ ეპოქაში, როდესაც გენდერულ თანასწორობაზე არ ლაპარაკობდნენ.

საბავშვო ლიტერატურის კლასიკად ქველმოქმედი მისი მოთხრობები - „მაგდანას ლურჯა“, „ლვინია გადაიჩეხა“, „თინას ლეკური“; მის მიერ გორში დაარსებული „შინაური სკოლა“ ბავშვებისათვის და ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება, მისი ინიციატივით შექმნილი ქალთა სამრევლო სკოლა, სადაც, სხვათა შორის, სწავლა მხოლოდ ქართულ ენაზე იყო, მისი პუბლიცისტური აქტივობები პრესაში და ისიც, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი იყო, მოწმობს, რომ ფემინიზმი მისი ხასიათის გამოვლინება იყო და არა საზოგადოებრივი კონცეფცია.

ეკატერინე გაბაშვილი თავისი 60 წლის იუბილეზე ამბობდა: „იმ ვინაშნ კედლებს შუა, რომელსაც ოჯახის დიასახლისობას ეძახიან და რომელიც შთანთქმავს ხოლმე დედაკაცის სულიერ არსებას, პატარა ჭურჭრებშია გაფუჭებული და იქიდან მუდამ ყურს ვუგდებდი და თვალს ვადევნებდი ჩემი ქვეყნის საზოგადოებრივ და მსვლელობას, შევეცადე, ორიოდე აგური მაინც დამეღო იმ წმინდა საძირკველზე, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში ჩაპყარეს ჩემი ქვეყნის საუკეთესო შვილთ...“

დაიბადა 1851 წლის 16 ივნისს გორში. წერა-კითხვა შინ ასწავლეს. სწავლობდა თბილისის გერმანულ სკოლასა და ქალბატონი ფავრის პანსიონში.

1871 წელს გიორგი წერეთლის ბინაზე გამართულ ლიტერატურულ შეკრებაზე ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ წაიკითხა. იმ დღეს მან, ეკატერინე თარხნიშვილმა გაიცნო ალექსანდრე გაბაშვილი, რომელზეც შემდეგ იქორწინა. ეკატერინემ ქმრის გვარიც მიიღო



და ტრადიციული ოჯახური ტვირთიც, მაგრამ რუტინა და უდრტივინევი ყოფა მოსწყინდა და გათხოვებიდან ათი წლის შემდეგ მოთხოვნის წერა დაიწყო, რაც მაშინ ქალისთვის შესაფერის საქმედ არ ითვლებოდა.

მწერლობის სული ისეთი რამ არის, სადაც უნდა ჩაკეტო, როგორც უნდა ჩაახშო, მაინც ამოხეთქავს, თავის საქმეს გააკეთებს.

საზოგადოებრივ საქმიანობაშიც ასე ჩაერთო. სხვაგვარად არ შეეძლო. იდეა და საქმე უხმობდა.

თედო სახოკიას აქვს ერთი ასეთი ჩანაწერი: „ჩვენი სახელოვანი მწერალი ქალი ეკატერინე, ანუ, როგორც შინაურულად ეძახდნენ, კატო გაბაშვილია, 1893 წელს გავიცანი. მისი შავი, ჭკვიანი თვალები, სასიამოვნო საყურებელი მაღალი, გადაშლილი შუბლი, მოძრავი, მაღალი ტანი და მისი შესაფერი სისხო, სქელი თმა, სადა, უკეთ, უპრეტენზიოდ ჩაცმადახურვა, მიხვრა-მოხვრის სიმარადე, ფუსფუსი, სიცოცხლის თვით უკანასკნელ წამამდე რომ შემორჩა, ძალაუნებურად მისკენ გიზიდავდა ადამიანს და წარმოგიდგენდა მოქმედებისათვის, საქმიანობისათვის გაჩენილ არსებას. საცა განსაკუთრებული რამ იყო საზოგადოებრივი ხასიათისა, იქ უეჭველად ეკატერინე უნდა დატრიალებულიყო“.

ეკატერინე გაბაშვილი გარდაიცვალა 1938 წლის 7 აგვისტოს კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში. დაკრძალულია პანთეონში.

მისი შემოქმედება აქტუალობას არ კარგავს. ის აქტუალური იყო მაშინაც, როდესაც ქვეყნდებოდა, მაშინაც, როდესაც 1956 წელს კანის კინოფესტივალზე აჯილდოვდნენ თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის მიერ გადაღებულ „მაგდანას ლურჯას“ და დღესაც, როდესაც ბევრი რამ ხდება ისეთი, რაზედაც ის გვაფრთხილებდა.

| | | |
|------------------------------|------------------------------|----------------------------|
| სიყვარულის გამგომვანებალი | უპის ნიგნაკიდან 2008-2009 | ირაკლი სამსონაძის პიესა |
| | | |
| თინათინ გგალოვლიშვილი | ვანო გჩიკვაძე | სამი თიატრისაგან |
| 83.2 | 83.6-7 | 83.12 |

ლიტერატურული საქართველო

გამომცემლობა „მნიგ-ნობარმა“ დასტავა და მკითხველს მიაწოდა ცნობილი მწერლის, კრიტიკოსისა და მთარგმნელის, **ლერი ალიმონაკის** ახალი წიგნი „ნაფხურები“, რომელში თავმოყრილ წერილებსა თუ პირად მიმონერაში ნათლად წარმოჩნდა ლენინისილი, 80 წლის ასაკს მიღწეული შემოქმედის სახე. წიგნის წინათქმის ავტორი, **საბა მეტრეველი** მოკლედ მიმოიხილავს მწერლის მოღვაწეობის ყველა სფეროს და აღნიშნავს:

სიჩუპის პოეზია

„80 წელი ის მაღალი გადასახედა, რომლიდანაც კარგად ჩანს განვლილი გზა. ლერი ალიმონაკი, წარსულის პირისპირ მდგომი, ავტობიოგრაფიულად დგას საკუთარი თავის წინაშე და ამ იდუმალ შეხვედრაში იკვეთება ყველაზე მთავარი – რისთვის იცხოვრა და როგორი ნაფხურები დააჩინა წუთისოფლის „ინრო და საჭირველ“ ბილიკებს.“

ბატონი ლერი დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ მაშინ შეუდგა თავისი ცხოვრების წიგნის წერას, როცა ისტორიის ასპარეზიდან უსამართლოდ გამქრალი და მივიწყებული ქართველი პოეტი დაუბრუნა ქართულ მწერლობას. ტერენტი გრანელის სახელის უკვდავყოფა დიდად განაპირობა მისმა თავდაუზოგავმა და შეუპოვარმა ბრძოლამ. შემთხვევით არ არის ის, რომ, როცა „კვირის წირვებს“ წერდა, საკუთარ სულიერ პროფილსაც აქანდაკებდა და სწორედ ამიტომ ჭირდა გამიჯვნა ავტორისა და „მგლოვიარე სერაფიმების“ პოეტისა. ლერი ალიმონაკმა „კვირის წირვებში“ ესთეტიკურ კატეგორიად აქცია სიკვდილი და ტანჯვა, ირაციონალურ ფენომენად გაგვიცხადა პოეზია.

ალიმონაკი ავტორია უჩვეულო რომანისა „ელიაზარის დაბრუნება“, რომელიც მხატვრის ცხოვრებას ასახავს, ხოლო ამ მხატვრის

პროტოტიპი ნიკო ფიროსმანია. ესეც, თავისთავად, გაგრძელებაა, პირობითად თუ ვიტყვით, ტერენტი გრანელის ბედის ხელოვანთა უკვდავყოფისა. და მინც, ეს გარე შრეა რომანისა. თუ ღრმად ჩავხედავთ, ელიაზარის სახეში მითური ამირანის რეინკარნაციის ანაბეჭდებს ამოვიკითხავთ.

„ელიაზარის დაბრუნება“ ეპოქის კულტურული ტიპის განმსაზღვრელი რომანია, რომლის გამოშვების სახელობითი დისკურსი წარმოადგენს ინფორმაციას


წარმატებული ეტაპი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ლერი ალიმონაკის მედიტაციური სივრცისა და ინტერესთა მრავალმხრივობის პოროზონტებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბატონი ლერის ლენინის ქართული სალიტერატურო კრიტიკისა და თეორიული აზროვნების განვითარებაში. ის იყო ერთი პირველთაგანი, ვინც სპეციფიკისა და სტრუქტურის გათვალისწინებით მონოგრაფიული კვლევა მიუძღვნა ქართულ თავისუფალ ლექსს.

თავად ლერი ალიმონაკი სიჩუპის პოეტიკა. ეს რეჟიმი მისი ცხოვრების კრედიტია, დიდ ქრისტიანულ თავმდაბლობასთან თანშეზრდილი. პოეზიაში ვიზუალური ხატების შექმნა ბევრს არ ხელეწიფება. ლერი ალიმონაკი პოეტური სტრიქონების შეუძლია შეთხზას ფსიქოლოგიური პორტრეტი ისე, რომ დაგანახვოს, განგაცდევინოს და თანამონაწილე გაგხადოს.

ეს ახალი წიგნი, „ნაფხურები“ ძალიან ჰგავს ლერი ალიმონაკის ხასიათს – არაფერი შენიღბოს, არაფერი შეალამაზოს, იყოს გულწრფელი და საქმიანი. ამიტომაცაა მასში შეტანილი ნეგატიური პათოსით აღსავსე ზოგიერთი წერილი – ესეც ხომ ისტორიაა, ლერი ალიმონაკის თავს გადავლილი ეპოქის ხსოვნის ნიშანი.

მკითხველის სამსჯავროზე გამოტანილი, დიდი რუდუნებით შედგენილი „ნაფხურები“ წარსულისა და თანამედროვეობის დიალოგია. წიგნი მრავალფეროვან საარქივო მასალას გამოამზეურებს და, ამასთანავე, ქმნის საინტერესო ლიტერატურულ პანორამას, რომელშიც კარგად იკვეთება დროის სული, ცოცხლდება ანარეკლები ბატონი ლერის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისა. წიგნის შემდგენელია მანანა სანადირაძე, რედაქტორი – მანანა გორგიშვილი, დიზაინერი – ირაკლი ბელთაძე.



ვიზუალურის დომინაციით განსაზღვრება. ამ რომანის ქვეტექსტები და იმპლიციტური ინფორმაცია თანამედროვე ტექნოკრატიულსა და მედიაზირებულ სამყაროში პრაგმატული მზერის პოეტურით შეცვლისკენაა მიმართული.



ლა „ბოთლში ჩარჩენილი კონიაკი“ „თარგმანების“ რუბრიკით ქვეყნდება ვლადიმერ სოროკინის მოთხრობა „გულითადი თხოვნა“. რუბრიკით „ნაბიჯი“ – ახალგაზრდული ჩანართი ქვეყნდება მარიამ კალმახელიძის მოთხრობები. რუბრიკაში „კრიტიკა“ იბეჭდება ნინო დარბაისელი სტრონის „რა უნდა ავტორს“.

„ოლე“ №2

გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლე“ 2021 წლის მეორე ნომერი.

„მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკით იბეჭდება ლანა მანველის მოთხრობები ციკლიდან „თურქული მოტივები“, მარიამ ძამუკაშვილისა და ივეტა პავლიაშვილის მოთხრობები; თინათინ თელაველისა და თამარ კოლელიშვილის ლექსები.

რუბრიკაში „სახალხო მითქმელი“ გაეცნობით ფირუზ კოჭლამაზაშვილის ლექსებს.

რუბრიკა „მწერლის გახსენება“ წარმოგვიდგენს მწერალსა და ჟურნალისტს ელგუჯა ლებანიძეს. ოთარ ხუციშვილი იხსენებს ბატონ ელგუჯას, ხოლო ფარნა რაინა მწერალს უძღვნის ლექსს. აქვეა დაბეჭდილი ელგუჯა ლებანიძის ნოვე-

სიყვარულის გახეობანაგელი

„მარიტა – ეს იყო ჩემი შრომის გვირგვინი“

თინათინ მგალობლიშვილი. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ტელევიზიისა და რადიოს დიქტორი. 600-მდე კინოგმირის გამხმრვანებელი; საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის გამორჩეული ხმა, სახე, ნამყვანი...

„თინას საქმიანობის ერთ-ერთი სფერო ფილმების გახმრვანება იყო... მასთან თანამშრომლობა იყო ჩემთვის ყოველგვარ ალტაცების მომგვრელი. მშვენიერი ოჯახის შვილი, თავმდაბალი, ძლიერი შემოქმედებითი ენერჯის მქონე თინა ვირტუოზულად ფლობს პროფესიას... თინასთან თანამშრომლობის პერიოდი უძვირფასეს მოგონებად დარჩა ჩემს მეხსიერებაში“, – წერდა კინორეჟისორი ოთარ იოსელიანი.

– ქალბატონო თინათინ, თქვენ 600-მდე კინოგმირი გყავთ გახმრვანებული... რას ნიშნავს ეს თქვენთვის?

– ეს ჩემი ცხოვრებაა, ანა. წლებს ვატარებ კინოსტუდიაში, ტელევიზიაში, რადიოში. თუ რაიმე მაქვს საამაყო – ესაა და კიდევ დიდად საამაყო – ჩემი ოჯახი. მამა, მიხელო მგალობლიშვილი კულტურის სფეროში ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო, დედა – რუსული ენის სპეციალისტი, ფილოლოგი. ძალიან საინტერესო გარემოში ვიზრდებოდი, მამას მეგობრები ხელოვანი ადამიანები იყვნენ...

– 1998 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა მამათქვენის, მიხელო მგალობლიშვილის მოგონებები, უფრო სწორად, ჩანაწერები, რომლებშიც მოთხრობილი იყო იმის შესახებ, თუ რა ნამება გადახდა ბატონ მიხელოს 1937 წლის რეპრესიების დროს. როგორ ცხოვრობდა იმ დროს თქვენი ოჯახი? როგორც ვიცით, მამამ „სამშობლოს მოლაპატის“ შეილებსა და ოჯახის სხვა წევრების ცხოვრება არ იყო იოლი.

– იმდროინდელი სისტემა, სამწუხაროდ, წარმოჩენილი, ნიჭიერ საზოგადო მოღვაწეებს „უყურადღებოდ ვერ ტოვებდა“ და 1937 წელს მამაც დააპატიმრეს, როგორც ხალხის მტერი. დედა ოთხ შვილთან ერთად მარტო დარჩა. ბავშვობაში დედას გარინდებით ვუსმენდი, როცა ამბობდა, ახლობლები და ნაცნობები არ მესალმებიან და მეორდებიანო. საშინელი დრო იყო, „კანის სულის აღზევება“. 1988 წელს დაიბეჭდა მამას ხელნაწერი ნიგანდ – „1937“, რედაქტორი ნუგზარ შატაიძე იყო და ჩემმა დისშვილმა, მწერალმა, მიხელო ანთაძემ გამოსცა. ფრაგმენტებად დაიბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“. დღემდე გამოუცნობი რჩება თუ რატომ არ დახვრიტეს მამა. ალბათ, იმიტომ გადარჩა, რომ შთამომავლობას მისგან გაეგო, რა განსაცდელი გამოიარა ხალხმა და როგორი იყო 1937 წელი...

– გაიხსენეთ თქვენი ინსტიტუტის ლექტორები, მეგობრები, თანაკურსელები. მათგან ვინ გახდა ცნობილი არტისტი?

– სტუდენტობის წლები განუმეორებელია. არაჩვეულებრივი კურსელები და ლექტორები მყავდა. ჩემს ჯგუფში იყო კახი კაცსაძე, რომელსაც საოცარი იუმორის გრძნობა ჰქონდა, რაც მთელ ინსტიტუტს სწვებოდა. მისი წყალობით სულ სიცილი-კისკისი დავამთავრეთ ინსტიტუტი... ჩვენთან იყვნენ ტელედიქტორი ნუგზარ ჯულელი, ზანდა ოსელიანი, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. ძალიან კარგი ჯგუფი გვყავდა.

– საინტერესოა თქვენ მიერ გახმრვანებული მარიტა კინორეჟისორ თენგიზ აბულაძის ფილმში „ნატურის ხე“. როგორც თენგიზ აბულაძე ამბობდა, მამამ თქვენი არც ასაკი ემთხვეოდა მარიტას ასაკს და არც ხმის ტემპრი... მიუხედავად ამისა, ბრწყინვალე გახმრვანება გამოვიდა. როგორ მოახერხეთ?

– მარიტა... ეს იყო ჩემი შრომის გვირგვინი. სამწუხაროდ, მე და ლიკა ქავთარაძე ერთმანეთს არ შევხვედრივართ, ისე წავიდა იგი... ბატონი თენგიზ აბულაძე მხოლოდ დიდი ხელოვანი არ იყო – ის ფილოსოფოსი, საოცარი მოაზროვნე იყო. მასთან მუშაობაზე დიდი ბედნიერება მე არ ვიცი. მამამ კონკურსები ტარდებოდა, სადაც ჩემზე გაცილებით ტიტულოვანი მსახიობები მონაწილეობდნენ. სრულებით არ ველოდი, როდესაც დამირეკეს



და მითხრეს: „შენ გაიმარჯვე“... და უნდა გამეხმრვანებინა მარიტა. სულ ვფიქრობ, რომ ილაპლას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაშინ ლიკა 16 წლისა იყო, მე გაცილებით დიდი. წარმოგიდგენიათ? ჩემს ხმას მხოლოდ მადლობა უნდა გადავუხადო, ძალიან დიდხანს მემსახურა, ძალიან დიდხანს. სხვათა შორის, მოვასწარი ზურაბ ყიფშიძესთან „პარტნიორობაც“ ფილმში „როცა აყვავდა ნუში“, ხმა მიწყობდა ხელს.

– ჩემი აზრით, ასევე დასამახსოვრებელია თქვენი „შორენა კოლონკელიძე“ ვახტანგ ტაბლიაშვილისა და დევი აბაშიძის კინოფილმში „დიდოსტატის მარჯვენა“. გთხოვთ, გაიხსენოთ ამ გახმრვანების პერიპეტები.

– როცა მითხრეს, რომ დამტკიცებული ვიყავი შორენას როლზე და უნდა გამეხმრვანებინა, ცოტა შევშინდი, რადგან მე უფრო ლირიკულ ამბულას ვირგებდი და აქ საჭირო იყო ის სულის სიძლიერე და სიმტკიცე, რაც შორენას აქვს. მაინც მოვახერხე. ასე რომ არა, არ მაპატიებდნენ. ოთარი იდგა ჩემ წინ, მეფე იდგა... არაჩვეულებრივი მსახიობების გვერდით ვიდექი: ირაკლი უჩანეიშვილი, გურამ სალარაძე, ნოდარ მგალობლიშვილი... რომელი ერთი ვთქვა...

– დიდი ხნის განმავლობაში რადიოში მუშაობდით, შემდეგ ტელევიზიაში – საინფორმაციო პროგრამა „მოამბეში“. არ გიჭირდათ ამდენი საქმის შეთავსება? – რადიო, ტელევიზორი, ხმის ჩამწერი სტუდია...

– რთული იყო ამდენი საქმის ერთად კეთება. რადიოსა და ტელევიზიაში წუთს ვერ დაიგვიანებ, დრო მკაცრადაა განსაზღვრული. კინოსტუდიაში დაგვიანება მიუღებელია, უხერხულიც იყო, როცა 3-4 წუთით მიგვიანდებოდა. კოტე მიქაბერიძესთან – იყო ძველი ეპოქის უნიჭიერესი კაცი – დაგვიანება შეუძლებელი იყო. ვცდილობდი, არ დამეგვიანა, მაგრამ ზოგჯერ ასეც ხდებოდა.

– რატომ აირჩიეთ გახმრვანების განხრა და რატომ არ ნახვედით თეატრში ან კინოში?

– მეორე კურსიდან გავიარე, რომ უნდა ნავსულიყავი კითხვის ხაზით. ჩემი თაობა, ახლანდელი თაობისგან განსხვავებით, დაკომპლექსებული იყო და მიხარია, რომ დღეს ახალგაზრდები თალად და თავისუფლად ცხოვრობენ. რა თქმა უნდა, ზღვარი ყველაფერს აქვს... მაშინ ძალიან კულტურული ოჯახები, წარმოიდგინეთ, სხვა თვალთ უყურებდნენ ახალგაზრდას, რომელიც თეატრალურში სწავლობდა და სარძლოდაც კი ინუხებდნენ. ასე ხდებოდა, ასე იყო.

– საინტერესოა, როგორ იწყებოდა სწავლა თეატრალურ ინსტიტუტში, რა გეგმები გქონდათ, რა ჩანაფიქრი, იდეები, ოცნებები?

– რომ გითხრათ, რომელიმე როლზე ვოცნებობდი-მეთქი, ტყუილი იქნება. ასე არ იყო. ვფიქრობდი, რომ სცენაზე ერთი საშუალო მსახიობი შეიძლება მეც ვყოფილიყავი, მაგრამ მე ჩემი ხაზით საშუალოს ვაჯობებ და ამით კმაყოფილი ვარ. მონაცემებთან ერთად ილაპალიც მქონდა.

– როგორ ფიქრობთ, სხვა რომელ პროფესიაში იქნებოდათ ასეთივე წარმატებული?

– დედა რუსული ენის სპეციალისტი იყო, ფილოლოგი, და, გულწრფელად რომ გითხრათ, მინდოდა, მისი ხაზით ნავსულიყავი – მომწონდა რუსული ენა, მაგრამ ვერ ვიყავი დედაზე უკეთესი. შემდეგ თეატრალური გადაწყვიტე...

– ძალიან მოკლედ, ორიოდე სიტყვით, როგორ შეაფასებდით თქვენ მიერ განვლილ გზას?

– ჩემი გზა... წარმატებული იყო ჩემი გზა. როდესაც გრძნობ, რომ ამ სოლიდურ ასაკშიც არ გვიწყებენ, ეს საკმარისია. სხვა რა უნდა მინდოდეს. ჩემი ხმა დარჩება – ღვთის წყალობით, ქართული კინო იარსებებს.

ესაუბრა ანა მამუკაშვილი



პირველი გვერდი

სად და როდის ტარდება შემოქმედებითი პროცესი

შემოქმედებითი პროცესი როდის ტარდება და სად? - მე ვფიქრობ, არის შემთხვევები, როცა ეს ადრე ჩატარდა სადაც და რაღაც შთაბეჭდილებები გამოიყვანა პოეტს, სტრიქონები გამოიყვანა და მერე ეს დაამუშავა. არის, როცა იქვე ხდება, პირდაპირ წერის დროს. არის ისეთი შემთხვევაც, ტექსტი თითქმის მზადაა, მაგრამ შემოქმედებითი აქტი არ იგრძნობა, არ ჩატარებულა. ასეთ ტექსტს ხანდახან მერე დაუბრუნდება პოეტი და შემოქმედებად აქცევს, ე.ი. ის - მთავარი მერე ხდება! ცალკეულ ტექსტზე შეიძლება მიხედვით, როდის მოხდა, მაგრამ თუ კარგი ნამუშევარია, შეიძლება ვერც მიხედვით, იმას მაინც მიხედვით: ეს შემოქმედებითი პროცესი ჩატარდა თუ არა.

ასახვის მომენტი პოეზიაში

ასახვის მომენტი პოეზიაში იმდენად ძნელი მისახვედრია, რომ, რა ვიცი... პეიზაჟსაც რომ ხატავდე, შეიძლება უფრო შენს შინაგან სამყაროს ხატავდე, ვიდრე იმ პეიზაჟს. მანდ სიტყვიერი ფაქტურაც ძალიან მოქმედებს; ლირიკაში ასახვის მომენტი სრულიად ბუნდოვანია ჩემთვის, ესე იგი, როდესაც ზუსტად ამოხაზულია ხოლმე რაღაც ცხოვრებისეული, მაინცდამაინც ძლიერ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს ლირიკაში; ვთქვათ, ბუნის აქვს ასეთი ლექსები, იმდენად პროზაიკოსის თვალთ არის დანახული, რომ... თუმცა ნაღდად კარგი ლექსებიც აქვს.

თეორიული კუთხით ნაკლებად მივიჩნია, მაგრამ ლირიკაში ძალიან იცვლება ასახვის სამყარო, ხშირად აყირავდება და (არ ვიცი, როგორ ხდება) შეიძლება ერთმა ლამაზმა ფრაზამ მთლიანად შეინიროს რომელიღაც ზუსტი სურათი. შინაგანი სიმართლე სად არის? - ზოგჯერ განწყობაშია, ზოგჯერ ფიქრშია, ზოგჯერ შეიძლება იმ პეიზაჟშიც არის ან იმ ადგილშიც, მაგრამ ესე ნათლად მოსაძებნიც არ არის; ალბათ უფრო განწყობის სინამდვილეა, ვიდრე სხვა რამის...

სამოთხე

მწერალი როცა წერს, გარკვეულად მონანი-ლებს სამშობლო, რა თქმა უნდა! ისეთ ქვეყნებში განსაკუთრებით, სადაც ენა და სამშობლო ერთმანეთს ემთხვევა, ვთქვათ, ესპანურენოვანი ხალხისთვის განსხვავებულია სამშობლო და ენა; ჩვენთან ერთი და იგივეა; ამდენად, რა კალამიც უნდა მოიქნია, სამშობლო უქვეყნლად იქცევა, მაგრამ, როდესაც ძირითად თემად სამშობლოა, განსაკუთრებით პოეზიაში, ჩემგან შორს არის და უცხოა! იმიტომ, რომ სამშობლოს ქება-დიდება გარკვეულად პოეზიის გარეთ მიმდინარეობს; მხოლოდ მცირე ნაწილია ის ლექსები, რომლებიც აშკარად პოეზიას შეიცავს. ეს რომ პოეზიის ძირითადი თემა იყოს - სამშობლოს ქება-დიდება - ხალხურში იქნებოდა, გურამიშვილთან იქნებოდა. ტკივილი ყველგან არის, მაგრამ იმას, რასაც პატრიოტულ მოტივებს ვეძახით („ერი გულადი, პურად“ და ა.შ.), არა მგონია, პოეზია ეწოდოს.

მწერლობაში, რა თქმა უნდა, სამშობლო პირველადია, უსამშობლო მწერალი მაშინვე იგრძნობა, თითქოს რაღაც აკლია (არის ხოლმე, უცბად მიფიქრია - სამშობლო არ ჰქონდა ამ უბედურს? თან კარგი მწერალია, ვიღაც უცხოელი, დაეუშვათ), ეს ყოველთვის ჩანს ხოლმე და ქართველ მწერლებში კი ეგ საძებარი არ არის, სამშობლო ყოველთვის თანამონანილებს: კარგია, ცუდია, მაინც თანამონანილებს; თუმცა, გაცივორებ, რომ აღფრთოვანებული შეძახილები, რომ „სამშობლო ასეთია, ისეთია!“ - ჩემგან შორს არის!. ერთხელ ბოდლერის ნიგნს ვათვალისწინებდი, ლექსებს, ერთ ადგილას ასეთი ფრაზა შემხვდა: „შენ ჩამოხვალ საფრანგეთში, - ვიღაცას მიმართავს, - დიდების ქვეყანაში“ და ცოტა უხერხულად ვიგრძენი თავი, ცოტა მესამუშა, რომ ბოდლერმა ეს დანერგა - ასეთი ტრიალბას სტრიქონები, შეიძლება შეფუერის საფრანგეთს ეს ყველაფერი, მაგრამ...

სამშობლო რა არის? მაგას ვერ განმარტავ; ეს განცდა და გრძნობა! რაღაც ჰაერით არის, რაღაც ისეთი, რომელსაც... თორემ სამშობლოს განმარტება ვცადე ერთხელ, რაღაცაში დამჭირდა, და არ განიმარტება! არ გამოვიდა! აბა რა არის? - ტერიტორია არ არის! ვილა-ცებისთვის ტერიტორია არ არის სამშობლო; ენაც არ არის, ვთქვათ, ესპანურენოვანებისთვის (გამეორება მინევს, მაგრამ ისევე ვიტყვი), არც ინგლისურენოვანებისთვის ენა არ არის! ის რაღაც

- სამშობლოს განმარტებელი, ვერ ვიპოვე! ყველა საეჭვო გამოდგა! არადა, სამშობლოს განცდა ნამდვილია და არაფერი საეჭვო ამასი არ არის! შენი სამშობლოს და შენი ენის გარეთ მაინც არა ხარ ის შემოქმედი (პირველ ყოვლისა, ლიტერატურას ვგულისხმობ), როგორც შეიძლება სამშობლოში იყო; მაგრამ არა მხოლოდ მწერალი და პოეტი, რა თქმა უნდა, მხატვარია, კომპოზიტორია - მშობლიურზე თუ არ დგას, განწირული მგონია მისი საქმე!

რომელიმე ერის ლიტერატურას რომ გადავხედავ, იქ გამოიკვეთება ისეთი ნაწილი, რომელიც, ვთქვათ, სუფთად ნორვეგიულია, სუფთად რუსულია, სუფთად - რომელიც გნებავთ... ეს უფრო გაინტერესებს და არა ზოგადი, ე.ი. ის, რომელიც ყველგან არის; ეს კი ინდივიდუალობის განცდაა უპირველესად, რაღაც შინაგანი განცდაა, თავს როგორ აცნობიერებს და რისგან შედგები ბოლოს და ბოლოს, და სამშობლოსგან თუ არ შედგები, მაშინ ლიტერატურაში ხედვითა შენი შემოსვლა... შეიძლება, რაღაცა კარგიც გააკეთო, მაგრამ მნიშვნელოვანს ვერაფერს შექმნი;

სინამდვილე და მისი ასახვა ლიტერატურაში

- სინამდვილე და მისი ასახვა ლიტერატურაში? რამდენად ედება ერთმანეთს? რა თქმა უნდა, განსხვავება უქვეყნია, მაგრამ ზოგჯერ აღებულება რეალური ფაქტი, სრულიად რეალური, რომელიც მოხდა და გამოიყენა რომანისტმა - რომანში კი ჩანს სრულიად დაუფერებელი, სრულიად გამოგონილი! ანდა, ისიც ხდება, რომ გამოგონილია, ახალი სამყარო შექმნა მწერალმა და ამ დროს ნაღდად ნაღდა!

- დისიდენტურ სამყაროს რაც შეეხება, იქ სინამდვილე მხოლოდ ზედაპირულ სახეს იღებს და ძალიან ტენდენციური იყო. შეიძლება იქიდან რამე გადარჩა, მაგრამ ცუდი ნაწილი რაც ნავიდა, ანტისაბჭოთაც იმას გაჰყვა. და მე ვფიქრობ, თავად საბჭოთას რასაც ეძახდნენ, იქიდან მეტი გადარჩა ნორმალური, ვიდრე ანტისაბჭოთადაც; მართალია, ორივე მხარე ტენდენციური იყო, მაგრამ ანტისაბჭოთა ბევრად უფრო ტენდენციური გამოდგა, როგორც ახლა დავინახეთ, არადა, მაშინ გვეგონა, რომ ძალიან მოქმედი იყო და ნამდვილი. თუკი საერთოდ აქამდე უნდა დავიყვანოთ ლიტერატურა - საბჭოთა, არასაბჭოთა...

- ვთქვათ, ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“, სადაც დასაბჭოებული კუტუზოვი, რომელიც რომანში გრანდიოზული ფიგურაა, ციკლოპია ცალთვალა, რაღაც საოცარი - ყველაფრისმჭერტელი, მთელი რუსეთის გამოსატყულება. ისტორიული კუტუზოვი კი ერთი ცბიერი მებრძოვე იყო, არ ვიცი, რამდენად ნიჭიერი; მაგრამ ჩვენს წარმოდგენაში დარჩა ტოლსტოის კუტუზოვი; აქ მწერალმა აჯობა რეალისტს, მაგრამ მოიძებნება ალბათ ვინმე, ვთქვათ, რომელიმე ისტორიკოსი, რომელმაც ზუსტად იცის ის კუტუზოვი და მისთვის შეიძლება ცოტა გასაღიმაროც კი გამოდგეს ტოლსტოის გმირი.

იდეალიზაცია მწერლობაში

საერთოდ, იდეალიზაცია საეჭვო საქმეა მწერლობაში, მაგრამ ხანდახან ჩვენ თვითონ მივანერთ ხოლმე, სინამდვილეში კი ავტორს არ ჰყავს ისე იდეალიზებული, ასეც ხდება. თუ ძალიან იდეალიზებულია გმირი, უკვე თავის ადამიანურ განზომილებას კარგავს - უინტერესო ხდება რაღაცნაირად, არ ვიცი, როგორ; ბოლოს და ბოლოს, იდეალი ყველა ერთია და ერთმანეთისგან ნაკლები განსხვავდებიან: მე რომ ჩემი ნაკლი მაქვს და თქვენ-თქვენი, ეს განგვასხვავებს ერთმანეთისგანაც და იდეალისგანაც, რადგან ინდივიდუალურ ხასიათს იდეალიზაცია, ალბათ, რაღაცას აკლებს. თუმცა არის ნაწარმოებები, სადაც ეს საჭიროა და გამართლებულია.

„ვეფხისტყაოსანი“

რუსთაველთან ორი პარალელური სიუჟეტი, როგორც მე ვფიქრობ. ავტორი ერთად და იმავე საკითხებს უტრიალებს, იოლიან განსხვავებულად არის წარმოდგენილი სიტუაცია: თუ არაბეთში ყველაფერი დადებითი ჭრილობა და ყველაფერი კარგადაა, ინდოეთში ყველაფერი ეს ირევა: თუმცა ამოსავალი ნერტილი ორივეგან თითქოს ერთი და იგივეა და, რამდენადც მე ვხედავდი, ორივე მხარე საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას აღწერს - სამეფო კარს და ა.შ. რუსთაველი, ერთი მხრივ, გვიჩვენებს, როგორ შეიძლება ეს ყველაფერი კარგად წარმართულიყო, მეორე მხრივ, როგორ მიდის ეს ყოველივე არცთუ იდეალურად არაბეთში ცხოვრება მშვენიერ, იდეალურ სახეს

იღებს, ინდოეთში კი ტრაგედია დატრიალდება: ტახტისთვის ისეთი ბრძოლა მიდის, რომელიც დაუშვებელი წესებით მიმდინარეობს; ეს ინვესს არეულობას და მთლიანად პარტახდება მთელი სამეფო, თითქოს რუსთაველი მიანიშნებს, რომ ორი გზაა საქართველოს წინ გადაშლილი: ერთი, რომელიც სასურველია და მეორე, რომელიც გაფრთხილებად არის დადებული.

ჩემს ნიგნში, „ანარეკლი“, პირველი წერილი სწორედ „ვეფხისტყაოსანზე“ - საკვანძო საკითხად მიმჩნია; ახლახან მეორე გამოცემა გამოვიდა და პირველი გამოცემის შემდეგ, მაინცდამაინც მაშინ, როცა ნიგნი ახალი გამოცემული იყო, რამდენიმე მკვლევარს, სახელდობრ - სამ მკვლევარს გაუჩნდა ზუსტად იგივე აზრები. რა თქმა უნდა, ეს დანერგს, რა თქმა უნდა, არ მომიხსენიეს, მაგრამ ხაზს უსვამდნენ თავიანთ პირველობას; რომ გითხრა, პლაგიატს ასე თუ ისე შეჩვეული ვარ და მაინცდამაინც დიდი რეაქცია ამაზე არ მაქვს, ერთადერთი რაც მეფიქრება-ხოლმე, შესაძლოა, შემოგიტრიალონ და აქეთ დაგაბრალონ პლაგიატობა...

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქენ საჭოჭმანები...“

აქ რამდენი სიტყვაც არის, თითქმის იმდენივე პრობლემა. დავინყოთ იმით, რომ „ესე ამბავი სპარსული“-ა. გასაკვირი თითქოს არაფერია, პოეტი პოეზიისთვის მზა ქარგას იყენებს და არც მალავს მის წარმომავლობას. დიხ, გასაკვირი არაფერია, მით უფრო, დამატებელი და საორჭოფო. დიდი კლასიკა უმეტესწილად მზა ქარგებმა შექმნა. მაშ, საიდანა ჩნდება სიტყვა „საჭოჭმანები“, რომელიც ასეთ საკვანძო ადგილას შემთხვევით არამც და არამც არ დაისმებოდა. იგი რაღაცას მიგვანიშნებს და არ გვიხსნის, მაგრამ რას?

საჭოჭმანოდ ქარგის აღება მიჩნეული, სხვა ნაკითხვა არ ჩანს. მაგრამ ქარგა რომ არსაიდან აუღია? სიუჟეტის უცხო წარმომავლობა, მიუხედავად ზოგიერთი მეცნიერის თავგამოდებისა, არ დამტკიცდა. მას შორეული ანალოგებიც არ დაეძებნა და არც შეიძლება დასძებნოდა. „ვეფხისტყაოსნის“ ორივე პარალელური სიუჟეტის ამოსავალი ნერტილი ერთი და იგივეა - „სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტოდ ასული“. ორივე შემთხვევაში ეს არის გიორგი მესამის კარი. მეფის უძეობა მტკიცებულ პოლიტიკურ და ეროვნულ პრობლემად იქცა და რუსთაველს იმდენად მნიშვნელოვნად ესახება ეს პრობლემა, რომ ორივე სიუჟეტის საძირკვლად უძეობის ამბავს დებს და მთელ შენობას მასზე აშენებს.

არადა, მაშინ რისთვისაა დასჭირდა მკითხველის ყალბ გზაზე დაყენება, როდესაც სპარსულობას ამბობს. როგორც გვარწმუნებენ, ამბავს გაუცხოებისათვის: სიუჟეტის სპარსულობა ნაწარმოებს მეტ პრესტიჟს შესძენდა. არადა, მოქმედება ისედაც უცხო გარემოში, ნახევრად ზღაპრულ „არაბეთსა“ და „ინდოეთში“ ხდება. კიდევ რაღა გაუცხოება საჭირო?

ხვარაზმელი უფლისწულის სიკვდილი სიუჟეტურად ძირითადი პუნქტია ნაწარმოებისა; აქედან გამოდის ყველა ხაზი. არაბეთში რომ გამოჩნდება ტარიელი, იქიდან დანეყებული ქაჯეთით დამთავრებული, ყველაფერს ეს განაპირობებს. ესე იგი, ძირითადი სიუჟეტური მომენტი ეს არის და ამდენად, მასზე ფოკუსირდება ყურადღება.

უამრავჯერ ითქვა: მართალია? არ არის მართალი ამის მკვლელობა? სწორი იყო? არასწორი იყო? ამაზე სხვადასხვა აზრი არსებობს, მაგრამ რანაირად შეიძლება სწორი იყოს ყოვლად უდანაშაულო ადამიანის მოკვლა და შეუძლებლად მიმჩნია, რომ რუსთაველი ამას ამართლებდეს. და ეს გარკვეულად, რა თქმა უნდა, აღძრავს ასოციაციას თამარ მეფის პირველ მუღღლზე, რომელიც, მართალია, შეიძლება მოკლეს, შეიძლება არა, ისტორიიდან ეს არ ჩანს, მაგრამ მოიკვეთეს და გააგდეს და არის უამრავი შავი ეპითეთი შემკული, მაგრამ შეუძლებელი მგონია, ყველაფერი ეს ერთ კაცს სჭირდა და უცბად ხელმწიფის ერთადერთი ქალიშვილის მეუღლე აღმოჩენილიყო ამდენი საშინელებით დამძიმებული პიროვნება. მგონია, რაღაც პოლიტიკური დრამა გათამაშდა უფრო და ეს შემდეგ ხდება ხოლმე ასეთი მძიმე ბრალდებების წაყენება, როდესაც ყველაფერი დამთავრებულია.

ხვარაზმის მომენტს თუ დავაკავშირებთ, მე მაინც მგონია, რუსთაველი არ ამართლებს ამ საქციელს არც ხვარაზმის შემთხვევაში და არც გიორგი რუსის შემთხვევაში. ეს გარკვეულწინააღმდეგობას ალბათ გამოიწვევს, ვიღაცები სხვაანაირად ვარაუდობენ, მაგრამ ჩემი შეხედულება ასეთია.

აქ დრამა დატრიალდება, რომელიც თავიდანვე თითქოს უკვე დევს, რომ უნდა გათამაშდეს. როგორც ნათქვამია ერთ-ერთ სტროფში, ერთი გვარისანი იყვნენ ფარსადანი - ინდოეთის მეფე და ტარიელი, ერთი დინასტიის წარმომადგენლები. გვერდითი შტო იყო ტარიელი, მაგრამ როდესაც ტახტის ვაჟი მემკვიდრე არ არსებობს, მაშინ გამოდის, რომ ტახტი მისი იყო. და ამ შემთხვევაში, ნესტანისა და მისი მიჯნურობა, თუ ეს ქორწინებით დაგვირგვინდება, სრულიად გასაგებია, რომ ტახტზე ესენი ავლენ, მაგრამ ფარსადანს, როგორც საქართველოს ისტორიიდან გიორგი მესამეს, არ უნდა, რომ თავისი ქალიშვილი დედოფალი იყოს, უნდა რომ მეფე იყოს პირდაპირ. და ამიტომ ტარიელი არ უნდა, ისევე, როგორც გიორგი მესამემ დემნა ჩამოიშორა. რაკი არ უნდა ტარიელი სიძე, ხვარაზმის სასწრაფოდ ინვესს, რომ თავისი ქალი შერთოს და ამით მოიშოროს ტარიელის პრეტენზიები ტახტზე. ფარსადანი გრძნობდა, რომ ერთმანეთი უყვარდათ და სწორედ ამით იყო გამოწვეული ხვარაზმის მოყვანა. იმდენად ზედაპირზე დევს ეს, რომ არა მგონია, რუსთაველოლოგიაში ამაზე, გაკვრით მაინც, რამე არ თქმულიყო.

რასაკვირველია, არასოდეს ეჭვს არ ინვევდა, რომ აქ თამარის პირველი ქმრის - ოური ბოგოლიუბსკის - გიორგი რუსის ამბავია სულ ოდნავ სახეცვლილად გადმოცემული. ოღონდ შთაბეჭდილება რჩება, რომ რუსთაველი ქართულ სამეფო კარს ამ საქმეში არ ამართლებს.

ქალ-ვაჟის საიდუმლო მიჯნურობის ამბავი, როგორც მოსალოდნელი იყო, ისეთი საიდუმლოც არ აღმოჩნდა, თავად მონანილებს რომ ეგონათ. „მას უყვარდა ქალი ჩემი, სისხლნი ველთა მოუღერინა, რა ნახვიან ერთმანეთი, არ-შეხედვა ვერ დათმინა“, - ფარსადანის სიტყვებია.

ტარიელი იმავე დინასტიის გვერდითი შტოა, ერთადერთი ვაჟი-მემკვიდრეა - „ერთილა მე ვარ მემკვიდრე, ყველაი თქვენ მოგხდომია“ - და ტახტი, ყველა წესის მიხედვით, მას ეკუთვნის. ფარსადანი ტახტის უზურპაციას ახდენს თავისი ქალის სასარგებლოდ...

და აქ უკვე ჩვენ თვალწინ არაორზროვნად იკვეთება დემნა ბატონიშვილის სახე, მთელ ამ პასაჟებს მისი ტრადიციული ჩრდილი აფენია, უბედური უფლისწულისა, ერთადერთი კანონიერი მემკვიდრისა, რომლის უფლებათა უზურპაციაც სწორედ გიორგი მესამემ, თამარის მამამ, ასე საქვეყნოდ მოახდინა. ამას უკვე სახიფათო მინიშნებაც აღარ ჰქვია. სამეფო კარის თვალთ თუ შეხედავთ, „თანამდებ არს სასჯელისა“.

„ინდოთა“ სამეფო კარი მხოლოდ და მხოლოდ იმ ცოდვა-მადლისაგან იქსოვება, რომელიც საქართველოს სამეფო კარზე ტრიალებდა! პოეტმა უქვეყნლად იცოდა, რაოდენ სახიფათო იყო მისეული სიმართლე და მან მიზანშეწონილად მიიჩნია, უკან დასახვევი გზა არ მოეჭრა - „ესე ამბავი სპარსული“, ესე იგი, ჩემი გამოგონილი არ არის, სპარსული სიუჟეტი იძლევა ამ ქარგასო. თუ ჩემი ვერსია მიხლავს სიმართლესთან, ეს სტროფი ერთადერთი ადრესატს, სამეფო კარს მიემართება:

„გვრძნობ, საჭოჭმანო საქმე იყო ამ ქარგის აღება, რადგან მასში მართლაც არის ზოგი რამ, რაც შეიძლება მინიშნებას ჰგავდეს, მაგრამ მე ისე მოვიხიბლე ამ მშვენიერი ქმნილებით, ამ ობოლი მარგალიტით, რომ მაინც დავეყვი ცდუნებას. ის, რაც ბრალდებად შეიძლება შემომიტრიალდეს, სინამდვილეში სპარსული დედნიდან მოდის. ერთადერთი ბრალი, რაც მიმიძღვის, ცდუნება და დავევი. ჩემი ხელმძღვანელი სწორად გამიგებს და ამ საქმეს ხელდასხამს“.

ჯერ კიდევ იყო იმედი, რომ თამარის ქება და პოემის მომწესხველი ძალა გადარწმუნდა. სამეფო კარს საშუალება ეძლეოდა, შორსმჭვრეტელობა გამოეჩინა და თავი მოეტყუებინა. მაგრამ, როგორც ჩანს, კარმა ეს არ ინება.

სხვაფრთვ როგორღა უნდა აიხსნას ის გა-მაოგნებელი ფაქტი, რომ ერის უპირველესმა ნიგნმა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ზედაპირზე ვერ ამოაღწია? ამოაღწია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა შიში ათქვამდა გამართლდა და ყოველგვარმა მინიშნებამ პოლიტიკური სიმამაფრე დაკარგა. ერთადერთი ახსნაა, რომ პოეტიცა და მისი ნიგნიც შეირისხა. ლეგენდა გვეუბნება, რომ პოეტი საქართველოდან განი-დევნა. ნიგნი, რა თქმა უნდა, გადაარჩა, ასეთ ნიგნს ვერა ერთ ვერ შეუღლოდა, მაგრამ პოეტზე ლეგენდების მეტი არაფერი შემოგვრჩა. სახელიც კი - შოთა - მხოლოდ ლეგენდამ შემოგვინახა.

ინტერვიუების ავტორები
ნიკო სოფარი
და მარიამო ჯანაღია

დავით ანდრიასი

დომიტრი ერისთავის საყვარელი ინსტრუმენტი ფანქარია...

მან იცის გრაფიკული ფანქარის ფასი, ფანქარის, ევროპამ XVI საუკუნის მეორე ნახევარში რომ აღმოაჩინა და XVIII საუკუნის მიწურულამდე მარტოოდენ დამხმარე საშუალებად მიიჩნეოდა.

გრაფიკული ფანქარის გავრცელებაში თავისი როლი შეასრულა ნეოკლასიციზმის მიმდრეკილებამ მკაფიო ხაზისადმი და ერთი ფრანგი ქიმიკოსის გამოგონებამ.

ეს იყო 1790 წელს... ხსენებულმა ქიმიკოსმა, გვარად კონტე, გრაფიკულ ფანქარს თიხის მინარევი დაუმატა და ასე შემატა საჭირო სიმკვრივე.

„კონტეს ფანქარი“ – ესაა ნატიფი ხაზი, ქაღალდის ფურცელი და საშლელი.

XIX საუკუნის დასავლეთევროპული ნახატის სტილი სწორედ „კონტეს ფანქარმა“ და კონტურმა განსაზღვრა.

მას მერე რომელი მხატვარი აღარ ხმარობს ამ ფანქარს, მაგრამ ნამდვილ მესტრიას, ფანქრით ნახატს თვითმარ სტილისტურ სტატუსს რომ მიანიჭებს, ერთეულები თუ ალწვენი.

იგივე ითქმის პასტელზე, სანგინაზე, სოუსზე...

თუმცა საქმე მარტოოდენ სტილსა და სტილისტიკაში, მით უფრო ტექნიკასა და ტექნოლოგიაში როდია;

იქნებ, პლასტიკური ნარატივის ფორმა უფრო მნიშვნელოვანია, მოვლენათა გადმოცემის, მათი მოყოლის შინაგან ალღოს რომ გულისხმობს – ყველა მხატვარს ხომ არ შეუძლია მოყოლა; დიხაზე, მოყოლა, თავის მხრივ, ტემპორალობას, დროითობასაც რომ გულისხმობს?!

დომიტრი ერისთავი ვიზუალური ნარატივის მესტრია; მას არ აფრთხობს, არ აბრკოლებს, არ ზღუდავს არაფერი ყოფითი ყოველდღიური, თუნდაც ბანალური და ტრივიალური... პირიქით, რაღაც ქვეშეცნულად გრძნობს, რომ „ზოგადკაცობრიულ“ ხდომილებათა გადმოცემის და მათი „მოყოლის“ მთელი ხიბლი კონკრეტული დროისა და ისტორიის ნარატივებს უკავშირდება; რაც მთავარია, იმასაც გრძნობს, რომ ყოველდღიურობის „პეტიტში“ კაცობრიული ცხოვრების „კურსივი“; რომ საკუთრივ ამ „პეტიტში“ ცხოვრების სამყაროს გეგმულს მთელი გემო, მთელი მარალი და (ა)პეტიტი.

დომიტრი ერისთავის ყველა სურათი – ესაა ვიზუალური მოთხრობა დაკვირვების ვიზუალური სურვილის და მეტიც, წყურვილის შესახებ.

„თვალის აპეტიტი“ – ასე განსაზღვრა ეს ნარატივი ჟაკ ლაკანმა „XI სემინარში“.

დიახ, ჩვენ წინაშეა „მიკროფილმები“ მზერის (გაზე) შესახებ და „ობიექტ ა“-ს – „მეორე ა“ (პეტიტ ა)-ს გამოვლენის ფორმათა გამო; თანაც, ვიზუალური ველის შიგნით; ველისა, რომელიც ფუნქციონირებს, როგორც ამ აპეტიტის ობიექტი.

ყველა დიადი საკითხი ქუჩაში წყდებაო, – ამბობდა ნიცშე.

„ძვირფასი იყო ის ქუჩა ჩვენთვის, /ჩვენ იმ ქუჩაზე თამამად ვწერთ /ჩვენი პირველი შეკრობის მიზეზს.“ – ეს კი ოთარ ჭილაძეა.

იყო დრო, როცა დომიტრი ერისთავიც ასევე ხატავდა თავისი „პირველი შეკრობის“ სცენებს.

ის განსაკუთრებულად გრძნობს და განიცდის ქუჩას; არასოდეს ზემოდან არ დასცქერის სინამდვილეს; გვიკავსკორივით შეუძლია თქვას: „ცხოვრობდი დაბლა, სახლებზე დაბლა, ხეებზე დაბლა, ვხედავდი მხოლოდ გამვლელის ფეხებს...“

ერთხელ ზემელზე, „გრუზუგოლის“ წინ, თითქმის ქუჩაში ვისხედით, ღია კაფეში – „Budweiser“-ს ვსვამდით...

რუსთაველის პროსპექტთან კიბის რამდენიმე საფეხური და, რაც მთავარია, ხის სახელდახელო მოაჯირი გემიჯნავდა, რომელსაც კარგ ამინდში კაფეს გაღებისას გამოდგამდნენ და საღამოთი, დახურვის დრო რომ დადგებოდა, ისევ ალაგებდნენ.

მოკლედ, ეს მოაჯირი გამვლელთა სხეულებსაც „მიჯნავდა“ – ორორ ნაწილად ყოფდა...



დომიტრი ერისთავის პრიმავერა

ხოდა, ახლაც თვალწინ მიდგას, ბატონი დიმა ამ მოაჯირის ქვემოთ როგორ ხარბად აკვირდებოდა „გამვლელის“ ფეხებს; გოგონებისა თუ ქალების ფეხებს...

ახლა ეს კაფე აღარაა, მის ადგილას რაღაც ბანკია!

დიმა ერისთავი თვალთ ეუფლება ქალს; ალბათ, ყველაზე ნაკლებად შეეფერება სიტყვა „ძალადობა“, მაგრამ მისი მხატვრობა მაინც ერთგვარია „იმპლიციტური ძალადობა“, მით უფრო, რომ, სერგეი ეიზენშტეინს თუ დავიძომნებ, ძალადობა თავისი განცდის რიტმებით ნაწარმოების კონსტრუქციამდე არსებობს.

დომიტრი ერისთავის თვალის მოძრაობს, როგორც თავისებური კინოკამერა; ესაა თვალ-ოპერატორი, რომელიც წარმართავს ამ „კამერის“ ანდა „პერსონაჟის“ მზერასთან იძულებითი იდენტიფიკაციის პროცესს და ნებას გვრთავს, გავხედეთ არა მხოლოდ „მონშეები“ (თუ „დამსწრენი“) სურათოვანი ხდომილებისა, არამედ თავიც ვიგრძნოთ ძალადობრივი მზერის ობიექტად (თუ სუბიექტად).

ამგვარი მხატვრობის ბაზისური კინემატოგრაფიული აპარატის სტატუსი იმითაც განისაზღვრება, რომ ის, გვინდა – არ გვინდა, თავს გვახვევს საკუთარ თვალსაზრისს, იდენტიფიკაციის ფორმებს, თანაც, მაყურებლისათვის შემოსათვალაველი სანახაობის უანრულ კონვენციათა მთელი მრავალფეროვნებით...

ასე აღმოჩნდება მაყურებელი ვუაიერის როლში; უნებლიეთ აღმოჩნდება...

ასევე უთვალთვალებს მხატვარიც, თუ „მუხლებზე დაფენილ კაბის კალთაზე მარლის ყავისფერი პეპლები“ როგორ უფარფატებენ ქალებს.

ეს უკვე „ლირიკული ძალადობა“.

ასე უცქერის ახალგაზრდა დიმა ერისთავი თბილელ ლამაზმანებს, რომელთა დანახვაზეც თითქოსდა მართლაც ნამოიშლება „გვირილეების კორდეტაჟი“.

მერე და მერე ნუშვით აყვავებული ეს გოგონები ჩვენ თვალწინ იწყებენ დაქალებას; ფეხებიც უმ-

ძიმდებათ, წვივებიც უმსხვილდებათ...

და მაინც, ქარივით, უფრო ზუსტად, ნიავივით მსუბუქნი არიან...

დიმა ერისთავს აქვს ერთი „მორიგი“ ოპუსი: თბილისურ პარკში სასწორზე წონიან პატარა გოგონას, მოზრდილები კი თავიანთ რიგს უცდინან...

ნოდარ დუმბაძეს უანგლია ამ ნახატის გამო: ეს გოგონა ჯერ „ამ ქალს დაემგავსება“, და მოუთითებია შედარებით ყმანვილ ქალზე – მერე ამასო – და უფრო ასაკოვანსა და ტანსრულზე უთქვამს: ბოლოს კი „ამას“ – რუმბივით დამრგვალებული ხანშიშესული ქალისთვის დაუღია თითი...

დიმა ერისთავმა ქალის თავისებური ტიპი შეთხზა;

ეს ქალები სულ რაღაცა უყვებიან ერთმანეთს; ტარიელ ჭანტურიასი არ იყოს, ნეტავ, „რას უამბობენ ქალები ქალებს! რას უამბობენ ქარები ქარებს!“

მით უფრო დაუფიქრანი არიან ერისთავის გოგონები (რესპ. ქალები); წამიერად რომ გვაგრძნობინებენ „მხოლოდ კაბის თხელი

ქსოვილი დაშორებული სხეულის თრთოლას“.

60-იანი წლების დომიტრი ერისთავის სავიზიტო ბარათითია „გაზაფხულის დღე“ – „ოტტეპელის“ ეს დე-ფილე...

ქუჩაში გამოფენილი ეს თავისუფალი გოგონები თავიანთი კაბების შრიალით გამარჯვებული სოციალიზმის სკოლის გამოსაშვები კლასის მონაფეხებს სულაც არ ჰგვანან...

ესაა დიმა ერისთავისეული „პრიმავერა“, ეს „გაზაფხულის ალეგორია“, თუმცა თავად მხატვარს მაინცდამაინც არა სჩვევია ალეგორიებით „საუბარი“ („საცოდავია, ვინც პირდაპირ სათქმელს ვერ ამბობს და იშველიებს ალეგორიებს“).

ერისთავისეულ ლირიკულ-პლასტიკურ ნარატივში ერთგვარი გაუცხოებული ეროტიკული მგრძობელობაცაა; და ეს არის მხატვრის „გაღვიძებული სურვილი ზღურბლთან“... ეს ეჭვიცაა იმისა, რომ მისი რჩეული „სხვაგან“ მიდის „სხვასთან“, „ამ კაბის შარშიურით“ სხვის ცხოვრებაში აპირებს შესვლას და სხვა დააფენს მხრებზე ვნებამორეული სიტყვების ქსოვილს.

აი, მუდმივი შიში „სხვისა“; თანაც „სხვისა“, „სხვის“ მიმართ...

და მაინც, მხატვრის თვალს დღესაც ძველებურად ახარებს, „ჩანთა როგორ ესლება ქალიშვილის თქმოს“; და ამიტომაცაა, რომ, ამონი, ჯერჯერ „არ ჩავარდნი შემოდგომის სევიდან და წვიმიან სეზონს“.

მას ახლაც აკვირებს „ბავშვი – კითხვის ნიშანი“; და მისი ნახატებიც ამიტომ არ წაგავს „ციცხა და გულგრილ შენობასა და სასტუმროს ნომერს“.

მან იცის თავისი ძველი ქალაქის, თავისი ძველი უბნის – სოლოლაკის, თავისი ძველი ქუჩის, თავისი ძველი სახლის, თავისი ძველი ბინის ფასი; ბინისა, რომლის მთელი ხიბლიცა და მომწუსხველი ინტიმიც ოთარ იოსელიანისეული „გიორგობისთვისა“ თუ „იყო შაშვი მგალობლის“ ესკიზებითაც გვაგრძნობინა.

დიმა ერისთავს უყვარს კინო; ზედმინვენიტ გრძნობს კინოენას;

მისი გრაფიკული ენაც კინემატოგრაფიულია; და მისი სურათებიც თავისებური კადრსცენებია...

ესაა ერთგვარი „შეჩერებული ფილმები“.

მხატვარი კინოობიექტივის თვალთ უმზერს სინამდვილეს და აღნიშნავს ეპიზოდის საკუთრივ ფილმურ დინამიკას; შეუმცდარი კინოთვალთ ალბეჭდავს ჟანრული ბუნებას. თითქოსდა ფარული კამერითაა დაჭერილი მოქმედებათა თუ საქციელთა შეყოვნების მხატვრული ლოგიკა და შინაგანი მოტივირებულობა; და ყოველივე ამას მხატვარი გვაგრძნობინებს განზოგადებული კადრირებით, როგორც ლესინგი იტყვოდა, „ნაყოფიერი მომენტის“ მოხელთებით, თავის მხრივ, ხდომილობათა უწყვეტობის ილუზიასაც რომ აღძრავს მაყურებელში.

ცოცხალი ნახატი კიდევ უფრო აძლიერებს მოძრაობის შთაბეჭდილებას და გვიბიძგებს, ემოციური თანაღმობით შევიდეთ სურათის დროსა და სივრცეში, დაუყოვნებლივ შევიგრძნოთ ნახატის რიტმიცა და პულსაცაც...

გარკალი ანგუო ანუ

დომიტრი ერისთავის პრიმავერა



ასეთია დომიტრი ერისთავის სამყარო; სამყარო, როგორც ცხოვრება, რომელიც „თითქოს ნაგვიანევი არის რომანტიზმი“; რომანტიზმიცა და რეალიზმიც, თუნდაც, როგორც ანდრე ბაზენი იტყვის, „ონტოლოგიური რეალიზმი“.

იყო ასეთი მშვენიერი რუსი მხატვარი – პიოტრ მიტურინი...

ხოდა, ამ მიტურინზე უთქვამს კუპრიანოვს, ასევე ცნობილ რუს გრაფიკოსს, თავის დროზე მან მასწავლა, გამოემცნო თითოეული საგნის სახელი, მამის სახელი და გვარიო...

დიმა ერისთავიც, თითქოსდა ამ „სახელს, მამის სახელსა და გვარს“ ცნობს ყოველი საგნის მიღმა და ზუსტად აღწერს მის ისტორიას...

მთავარი მაინც ადამიანია მისთვის; და მხატვარი დღესაც „ყველა კაცში უმანკო ბავშვის გამოვლიძებას“ ლამობს; და ამას, ჩვეულებისამებრ, ყოველდღიურობის ნარატივითა და ამ ნარატივის სინამდვილეთი ახერხებს; იმ უცნაური ცენზურით, რომელიც არსებობს რეალობასა და ირეალობას, სინამდვილესა და მოჩვენებას შორის...

მხატვარი ამ მოჩვენებებს თუ აჩრდილებსაც ყოველდღიურობით ათინიერებს, მათ თემატიზირებას ახდენს, თანაც კინემატოგრაფიულად (და არა ფოტოგრაფიულად) მოტივირებულ კონტექსტში.

ბოლო დროს დახატული (არ მინდა ვთქვა – „შექმნილი“) ოპუსების ციკლში, ავტორს „ლანდები“ რომ დაურქმევია, ადამიანები „ანდერგრაუნდული“ განათების გამო

ქცეულან „გაურკვეველ“ ფიგურებად ჩანან.

ასეთებად გამოიყურებიან ისინი მინისქვეშა გადასასვლელებსა თუ მეტროს ესკალატორზე...

„ასე მირბის ცხოვრებაც“...

და ესეც ყოველდღიურობის ქიმერება, მხატვარი ჩვეული სისათუთით რომ გვიხატავს, ისეთივე სპეტაკი და მელოტი, და თაროდან ნიგნი ისე მოწინებთ გადმოგქონდა, თითქოს ფრთხილად ქალს ცხენიდან გადმოსვლაში შველოდი.

ნიგნის სამყარო მამამ უანდერძა.

ამ სამყაროს ნოსტალგია „მსხვილი კადრით დახატული, კარადიანი ადამიანებით მომზირალი ძველი ფოლიანტები, კოლენკორის ნაირფერი ყუებით შემკული ნიგნები სერიიდან „შეჩერებული დრო“.

არადა, აქ დრო კი არა, მათი აღმწუსხავი „საათია“ შეჩერებული, ანუ მკვდარი; ხოლო, ფოლკნერისა არ იყოს, „დრო მკვდარია, თუკი პანია ბორბლები მინიკნიკებს; როცა საათი გაჩერდება, მხოლოდ მაშინ იწყებს დრო სიცოცხლეს“.

ასეთივე „მკვდარი დროთი“ ანდა, უკეთ, „დროის სიკვდილით“ არ მთავრდება „იყო შაშვი მგალობელიც“?!

ფილმის ფინალში საათის ამუშავებით სწორედაც დრო კვდება და არა ფილმის გმირი (თუ ანტიგმირი) გაა აგლაძე.

დიმა ერისთავს შეჩერებული დროის, როგორც აისტორიული ქრონოსის სახელით, თავისი „ნაცადი“ პერსონაჟები ინვერსიის პრინციპით ბიბლიურსა თუ მითოლოგიურ დროშიც გადაჰყავს და ასე გვთავაზობს ჩვენი ყოველდღიურობის კულტურულ ინსცენირებებს.

ასე იხატება „ადამ და ევა“ და „ვენერას დაბადება“, „ბახუსი“ და „ვენერა სარკის წინ“, „სატირი და ნიმფა“ და „პარისის სამსჯავრო“...

მხატვარი მითსაც ცხოვრებითსულ რეალობად განიცდის; იდეალურ ყოფიერებადაც დაისახავს და ცხოველმყოფელ სხეულებრივ რეალობადაც; აქ ყოველდღიურობის უზადრუკი მემწანურ-ობივიატელური გაგების ფარული ტრავესტიული გაქილიკებაც შეიგრძნობა და ამ მითოლოგიურ პერსონაჟთა დღევანდელი, როგორც მასუ ვებერი იტყვის, Lebensführung, ანუ ცხოვრებისეული სტილიც შეიცნობა.

როგორც ჩანს, დომიტრი ერისთავი უჩვეულოდ მგრძნობიარეა დროის, როგორც ასეთის, მიმართ, ამჟამინდელი გრაფიკული დისკურსით, კიდევ უფრო „პირდაპირი მზერით“ რომ გვიმტლავს მხატვარი; თითქოსდა საათზე აღარც იყურება...

ადრე კი „ირიბი, აღმაცერი“ მზერაც სჩვეოდა; და კიდევ: „დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება“...

იყო დრო, როცა მხატვარი თავისი „მესაათის“ მსგავსად თავისებური ლუპით აკვირდებოდა მშობლიური ქალაქისა და ქალაქელების ყოველდღიურ მაჯისცემას და დამტრინული ბადების ქსელით გა-მოხატავდა...

მხატვრის სამყაროში ყოველ ნაბიჯზე საათი ნიკნიკდება; ამ საათის მეშვეობით კი სივრცე ადამიანისავე სხეულის მოუხელთებელ შინაგან რიტმს უიგივდებოდა, უტოლდებოდა, ესმინებოდა... ბიოლოგიურ საათს ონტოლოგიურ საათზე ასწორებდა და ასე გვასმენინებდა „საათის“ ნიკნიკს, როგორც „ყოფიერების ხმას“...

დასასრული იქნება

კვლავ დაუძინებელი მკითხველისა

ორ წელიწადზე მეტია, „ლიტერატურულ საქართველოში“ ჩემი ლიბროკუბიკულარისტული შთანაწერები იბეჭდება და ყოველგვარი ცრუ თავმდაბლობის გარეშე უნდა ვთქვა, რომ საკმაო პოპულარობაც მოიპოვა მკითხველებში, რაზეც მათი გამოხმაურებები მეტყველებს. ერთი ეგ არის, ბევრი მათგანი, ვინც თავიდან ვერ მიაღწევდა თვალის „შთანაწერებს“, ხშირად მეკითხება, ეს ენის მოსატყეხი „ლიბროკუბიკულარისტი“ რა არისო?! თუმცა ეს „ენის მოსატყეხი“ სიტყვა ჩემს პირველსავე ლიბროკუბიკულარისტულ შთანაწერში მქონდა განმარტებული 2020 წლის 14 თებერვლის ნომერში, რაკი მართლაც რამდენადმე უჩვეულოა, ახლა, რედაქციის თავაზიანი თანხმობით, მე იმ შთანაწერს სიტყვასიტყვით გავიმეორებ და ამჯერად ტექსტს ცნობილი ჩეხი ილუსტრატორისა და კარიკატურისტის ზიდუჩეკ სასეკის სახალისო ნახატსაც დავურთავ მის ავტოპორტრეტთან ერთად.

მანამდე კი ვისარგებლებ შემთხვევით და ლიბროკუბიკულარისტი თუ არალიბროკუბიკულარისტი მკითხველების სახელით მადლობას მოგახსენებ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას ჩემი შთანაწერების ასეთი კობტა პუბლიკაციებისთვის.

ახლა ძალიან მიჭირს იმის თქმა, დამჯდარს მეტი ნამიკითხავს თუ დანოლილს. თუმცა მშობლები სულ მიშლიდნენ, მწლიარე ნუ კითხულობ, თვალები გაგაფუჭდებაო. მე ასეთი კითხვისას როგორღაც მეტ სიამოვნებას ვიღებდი, რაც, როგორც ჩანს, სრულად აბალანსებდა თვალების გაფუჭების შიშს. ახლაც ასე ვარ. დამჯდარი კითხვა, სავარძელში იქნება ეს თუ მაგიდასთან, ჩემთვის უფრო საქმეა, ტრანსპორტში კითხვა – დროის გაყვანა თუ გამოყენება, დანოლილი ან ნამოწლილი კითხვა – ნეტარება.

მწლიარე კითხვის მოყვარულებს მე დაუძინებელ მკითხველებს ვეძახი. ესეც ახალი ტერმინია. მე ვინმარე პირველად ამ რამდენიმე წლის წინათ და მას შემდეგაც სხვაასთან არავისთან შემხვედრია. სიტყვა „დაუძინებელი“ აქ პირდაპირი მნიშვნელობითაც შეიძლება გავიგოთ და გადატანითი მნიშვნელობითაც. თითქოს პარადოქსია, მაგრამ დანოლილი კითხვა სულაც არ არის ძილის ნამალი. იქნებ პირიქითაცაა – ვინ მოთვლის, რამდენჯერ დამთენებია კითხვაში.

მწლიარე კითხვის მოყვარულს საერთაშორისო ენაზე ლიბროკუბიკულარისტი ჰქვია. ტერმინი ორი ლათინური სიტყვისგან არის შედგენილი: ლიბერ (liber, libro) – წიგნი და კუბიკულა (cubical) – საძინებელი, საწოლი. ლექსიკონებში „ლიბროკუბიკულარისტი“ ჯერ არ არის შეტანილი, ინტერნეტი კი გვეუბნება, რომ ამ სიტყვის შექმნა მიეწერება ამერიკელ მწერალს ქრისტოფერ მორლისს და პირველად გვხვდება 1919 წელს გამოცემულ მის რომანში „მოჩვენებებიანი წიგნის მალაზია“. ტერმინი დიდხანს არავის ახსოვდა, მაგრამ ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება ევროპულ და ამერიკულ ლიტერატორებსა თუ ფილოლოგებს შორის. ლიბროკუბიკულარისტი – თუმცა ასეთი სიტყვა ჯერ არ არსებობს – საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა საზოგადოებაში, იმის მიუხედავად, წიგნს „ჩაინვენს“ ადამიანი ლოკინში, კინდლს, პლანეტასა თუ ლეპტოპს.

წიგნის ყუნწები გაყრილი ლოგოსისა

ჯერ „ბარაქთან მინის“ მოსავალიც არ დაუბინავებია რიგიანად და დათო მალრადემ კიდევ ერთი უხვი მოსავალი მოინია! ვგულისხმობ მის ახალ პოემას „მეტაფიორა“, რომელიც „ლიტერატურული საქართველოს“ წინა ნომერში დაიბეჭდა.

დათო მხოლოდ პოემებში კი არა, ლექსებშიც კი იშვიათი მასშტაბითობით გა-

მოირჩევა, მაგრამ ვფიქრობ, რომ თავისი მასშტაბითობით მისი ეს ახალი პოემა ყველა წინამორბედს აჭარბებს.



თავისთავად უაღრესად მასშტაბურია პოემის იდეა, რომელიც მის პირველსავე თავში, უკეთ – ამ თავის ერთადერთ სტრიქონშია გაცხადებული:

„მოქალაქეში ადამიანის გადასარჩენად“.

ასეთივე სისხარტით არის გამოხატული ეს მასშტაბურობა პოემის მეტექსტში თავში, რომელსაც „არჩევანი“ ჰქვია: – ან დრო!

– ან ღმერთი!“

ერთიც და მეორეც იმ ციცაბო ფრაზათაგანია, რომელთაც გულისხმობს ავტორი, როცა ყველაზე ციცაბო ფრაზას წერს:



ლიბროკუბიკულარისტის შთანაწერები

პაატა ნასვლიშვილი

„არ არის ფრაზა უფრო ციცაბო, რომ – სასწაული უნდა იწამო!“

მართლაც, სასწაულია თუ გადაარჩენს მოქალაქეში ადამიანს, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებათა შენება-შენებაში მიგვაფინყდა კი არა, იქნებ ზურბივით სულაც კედელში ჩაეაშენეთ!

მართლაც, სასწაული თუ გადაარჩენს ადამიანში ღმერთს, გნებავთ – ღვთაებრივ სულს, დათო მალრადის სიტყვებით, „ცაზე განვიდო წეროს“, რომელიც, დათოსავე სიტყვებით, თითქოს პიკის საათის საცობში ჩაიკარგა.

ხოლო პოეტი, პოეტი დათო მალრადე ცდილობს, „გამოსტაცოს ბავშვი დინებას“, ცდილობს, თარგმნოს უთარგმნელი, რათა თქვას:

„სიცოცხლე არის კულტურა ადამიანის სიკვდილთან მისვლის“.

ჰაუ, რამდენი ვილაპარაკეთ სწორედ ამ კულტურაზე მე, დათომ, ვანო ამირხანაშვილმა და უჩა შერაზაძისევილმა სწორედ იმ საღამოს, როცა ვოლდემარ ვანსკი პირველ და მე-6-7 გვერდებზე დათოს ამ პოემას აკაბადლონებდა გაზეთში, მეხუთეზე კი ჩემს „შთანაწერებს“. მე და დათო, პანდემური რისკის მიუხედავად და ძველი ჩვეულების თანახმად, ჩვენ-ჩვენი ტექსტების „საპატრონოდ“, ანუ ბოლო კორექტურის ნასაკითხად მივედით რედაქციაში, იქ კი, ჩვენდა უნებურად, დაახლოებით ისეთი სიტუაცია შეიქმნა, როგორსაც დათო აღწერს ამ პოემაში:

„...ძველი მარანი და წრფელი განცდა, შიგდაშიგ იმისი ტკაცუნის შემოს... უბრალო ღვინო უბრალო კაცთან დედის რძესავით გადადის ყელში“.

თუმცა „შემის ტკაცუნმა“ ისე შეგვიყოლია, რომ მეორე დღეს დათოს პოემაში ერთი სიტყვა ზედმეტი აღმოჩნდა, ჩემს ტექსტში კი – პირიქით – ერთი სიტყვა გამოვგრჩენია. მაგრამ, ამის მიუხედავად, ის საღამო ისეთი მოგონებად ჩავვრჩა, რომლის ჯუფითი მეორე დღეს დათოს პოემაშივე ნავიკითხე:

ბავშვობიდან ვიდრე დღემდე – დედის თვალების სარკიდან თუ კარგ და ცუდ სამყაროთა გამმიჯნავი მამის ბეჭებიდან მოყოლებული, ნობელის პრემიის ნომინანტობამდე და – ღმერთმა ქნას! – ნობელის პრემიამდეც.

თუმცა დათო მალრადეს ყველა პრემიაზე უაღრესი ჯილდოდ სხვა რამ წარმოუდგენია:

„და ვგრძნობ ხანდახან – ნამი ჩემია...“

როცა ვაჩერებ დინებას სოფლის, წყალმა წაიღოს ყველა პრემია, ...ჯილდოდ მედეას

ხელკავი მყოფის.“

სხვა ყველაფერთან ერთად „მეტაფიორა“ დათო მალრადის სულიერი ბოგრაფიაცაა მოსდენი და ახალი ალტექმის სიძველიდან მოყოლებული, საიქიოს საბაჟო პუნქტში ნაცნობი მეზაჟის იმედად მიტანილ მამადავითის ხედამდე.

ჩემთვის დათო მალრადის პოეზია განსაკუთრებით ძვირფასია კიდევ იმიტომ, რომ იგი თვალნათლივ აჩვენებს, რომ ქართულ კონვენციურ ლექსს არათუ ამოუწურავს თავისი შესაძლებლობები, ბოლომდე არც გამოუყვანილა. და იმ ფონზე, როცა ბევრი პოეტი შეგნებულად ამბობს უარს რითაზე, ოღონდ მისი ლექსები უცხო ენებზე ითარგმნოს, დათო მალრადე არწული გზის ერთგული რჩება და ეს სულაც არ უშლის მას ხელს, რომ სხვადასხვა ენობრივ სივრცეს გასწვდეს თავისი პოეზიით და ჩვენს თანამედროვეთაგან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქართველი პოეტიც იყოს მსოფლიოში, თუ ყველაზე ცნობილი არა.

აქ არაფერს ვიტყვი დათო მალრადის სალექსო ტექნიკაზე, ერთჯერად რითმებზე, ანუანებუნებზე, ალიტერაციებზე, კალამბურებზე... არც „მეტაფიორაში“ დაუნჯებული ორიგინალური მეტაფორების ციტირებით დავასპოილერებ მკითხველს.

„მწამს, ლექსის ყუნწში გაუყური ლოგოსს“, – წერს ამ პოემაში დათო მალრადე და ამ დროს კარგად იცის, რომ მას ეს

უკვე არაერთგზის გაუკეთებია აქამდეც და ამ პოემაში ხომ – მით უმეტეს.

დაბეჯითებით უნდა ვურჩიო პოეზიის ყველა მოყვარულს, დათო მალრადის „მეტაფიორა“ წაიკითხოს. მე აქ მხოლოდ ჩემი პირველი შთაბეჭდილება აღწერე „შემის ტკაცუნის“ ფონზე. დარწმუნებული ვარ, ამ პოემის შესახებ ბევრს დაწერენ კრიტიკოსებიც და პოეზიის რიგითი მოყვარულებიც. საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

ჩემი ნება რომ იყოს, დათო მალრადეს მხოლოდ ამ პოემის გამო წარვადგენდი ნობელის პრემიაზე. ჩემი ცოდნით, ბოლო წლების პოეტ ნობელისტი ვერც ერთი თუნდაც საუკეთესო ქმნილება ამასთან ვერ მოვა!

არა მგონია, ჩემი ეს სიტყვები ენციკლოს რედარად კიბლინგს – ერთ-ერთ

მოწინებთ ვეპყრობი მწერლის დანიშნულებას, რომ ყოველთვის, როცა ან რკინის გზის, ან მრეწველობის, ან ქალაქის სამსახურს ეკისრულობდი, უაღრეს მოვალეობად ვთვლიდი მწერლობაზე ხელი ამელო. ორ ღმერთს ერთსა და იმავე დროს, კაცი ვერ ემსახურება... ყველა იმ დაწესებულებას, ვის სამსახურშიც შევედიოდი, ვუცხადებდი: მიქირავებია თქვენთვის ჩემი შრომა და ცოდნა და არა მწერლური გავლენა მეთქი. მწერლობის და მკითხველი საზოგადოების წინ ჩემი დუმილი იმას მოახსენებს, თუ რა მორიდება მაქვს მომავლის, რა წმინდათ-წმინდათ ვთვლი მწერლობას. ვერაინ მოძებნის სტამბაში ვერც ერთ სტრიქონს, ჩემგან დაწერილს, რკინიგზის, ან როტშტილდის ან ფოთის საქმეების დამცველს ან მადიდებელს, სანამ ამ საქმეებს ვემსახურებოდი, გარდა იმ იშვიათი შემთხვევისა, როცა რამე უშვერი ცილი თავიდან უნდა ამეცილებია. და ამ დუმილს, ამ მსხვერპლს ბრალად მდებენ ჩვენი მწერლები!“

სადაც აქ მწერლობასა თუ მწერლებს ახსენებს ნიკო ნიკოლაძე, ყველგან უწინაღობისტიკასა და უწინაღობისტებს გულისხმობს. ამას საგანგებოდ განმარტავენ კომენტატორები ამ ტექსტის ციტირებისას.

ახლა ილია?

„უწინაღ-გაზეთობა ერთგვარი ნაწილია ლიტერატურისა“, – წერდა იგი „ივერიის“ მეორე წინასიტყვაობაში. სერგი მესხი თავის ცნობილ წერილებში „ჩვენი უწინაღ-გაზეთების საქმე“ და „რა მოეთხოვება გაზეთს?“ პერიოდიკას ანუ უწინაღ-გაზეთობას დროგამოშვებით ლიტერატურას, პერიოდულ ლიტერატურას უწოდებს.

მეოცე საუკუნეში უწინაღობისტიკა რამდენადმე გაიმიჯნა მწერლობისგან თუ ლიტერატურისგან და მის პერიფერიაზე აღმოჩნდა. უწინაღობისტიკა კი ჯერჯერობით ისევ იყო მწერალი, მაგრამ მეორეხარისხოვანი. თუმცა იყვნენ უწინაღობისტიკი, რომლებმაც ბევრ მწერალზე მეტი და უკეთესი შექმნეს, მათ მაინც უწინაღობისტიკი ერქვათ, ხოლო საზოგადოების თვალში ცუდი მწერალი უფრო ფასობდა, ვიდრე კარგი უწინაღობისტიკი.

მერე და მერე, ჩვენ თვალწინ, უწინაღობისტიკა საერთოდ ჩამოშორდა ლიტერატურასაც, ფილოლოგიასაც და კომუნიკაციისა თუ გართობის ინდუსტრიის ნაწილად იქცა. თუ ადრე უწინაღობისტიკა სიტყვიერების ცოდნა და სიტყვის ფლობა მოეთხოვებოდა უწინარეს ყოვლისა, დღეს თვლიან, რომ ეს საჭირო აღარ არის.


მეტეც, – დროის მოტანილ და ახალი ტექნოლოგიებით გამოწვეულ ტრანსფორმაციას ასევე დროის მოტანილი პროფესიული პროფანაციაც თუ ზნეობის დეფიციტიც დაერთო და უწინაღობისტიკა მომსახურე პერსონალის რიგებში დაიკავეს ადგილი, სადაც პარიკმახერების სიახლოვეს, ოფიცინანტებსა და მექსიეებს შორის.

მთავარია საკუთარი გვარ-სახელის წინ თქვა, მე ვარ უწინაღობისტიკი და მერე რაც გინდა, მოაყოლე, – ტყუილი და მართალი, ჭორი და სწორი, ვინც გინდა, გააპავე და ვინც გინდა, გაათურე! არც არავის გაუტყუებდა შენი ჩიქორთული და არც არავინ მოგთხოვს პასუხს სიცრუეზე თუ ცილისწამებაზე. თუ იმასაც დაამატებ, რასაც ახლა მე მოგახსენებთ, ამასთან დაკავშირებით სანდო წყარო მომანოდაო, ნიკო ნიკოლაძეს ძალიან ზემოდან შეგიძლია გადამოხედო!

და საერთოდ, ნეტა რამდენმა უწინაღობისტიკა იცის საქართველოში, ვინ არის ნიკო ნიკოლაძე? ან რამდენს ნაუკითხავს მისი თუნდაც ის მრავალგზის ციტირებული ერთი აბზაცი, რითაც ჩემი ეს შთანაწერი იწყება, რომელიც, რა თქმა უნდა, სულაც არ ეხება ყველა უწინაღობისტიკს, ან ყველა პარიკმახერს, ყველა ოფიცინანტსა თუ ყველა მექსიეს.

►► ბაბრამაშვია იქნება

►► ბაბრამაშვია, დასაწერი იმ. წ.წ. 2020წ. №№ 4-6, 9-16, 19-21, 24-26, 29. 2021წ. №№ 1, 2, 3, 4, 8, 9, 10, 13, 14



ვანო ჩხიკვაძე

წიგნყიდა „ვარციები ვაოვანზე“

მადლობას მე გიხდით, ბედნიერი ვარ, თქვენ რომ არსებობთ და გიცნობთო! აჰა, ესეც შენ, მიდი და ამოიღე ხმა! როგორც იქნა, დავემშვიდობეთ ერთმანეთს. დავდე ყურმილი და მოწყვეტილივით დავეშვი სკამზე. რა მოხდა, რა ფერი გადევს, ცუდი ამბავი ხომ არ გაიგეო, შემფოთდა მეუღლე. ვერც იმას ვუთხარი ვერაფერი, მხოლოდ საწყლად ავიჩქრე მხრები და გავიფიქრე – ეჰ, ბატონო სოსო, ეგ ყველაფერი მართლა რომ დავიჯერო, მერე როგორღა ვიცხოვრო-მეთქი.

თავდასაზრდა

თუთა დამნიფდა. ამ დილით პირველად ვნახე, აბუსუსებული, ნუხანდელი ქარის ჩამოყრილი ნაყოფი მინას მოჰფენოდა. ფეხის წვერებზე ავინიე, მივწვდი დახუნძილულ ტოტს და მუჭში დავინწყე თაფლისფერი, შემოსული მარცვლების მოგროვება. თუთის ხშირ ფოთლებში ბედურები დაფარუნობდნენ, გნასობდნენ, კმაყოფილები მზის ამოსვლით და თუთის გულუხვი მასპინძლობით. უცებ ერთმანეთთან მოთამაშე აჭიკჭიკებული ჩიტუნები დაბლა ჩამოიჭრნენ, დაკრეფილი თუთის ნასართმევად დამეცნენ და ჯერ კიდევ ტოტებში აშვერილ ხელისგულებში ამიფრთხილდნენ. ისეთი უცნაური და მოულოდნელი იყო ჩიტების თავდასხმა, რომ შეეცბო, დავიბენი. თუთა ძირს დამიცივდა, დამეპნა, იმათაც თითო მარცვლის ანაპნა მაინც მოასწრეს, თავს უშველეს, ამიფრინდნენ, ახლა თავზე-მით დამიბზრიალდნენ მხიარული ჟღერტულით და მერე ჰაერში ერთმანეთს დაედევნენ. ვიდექი ამ ლამაზი წამით გაბედნიერებული და, ჩემდა უნებურად, მლოცველივით, კარგა ხანს მალა მქონდა ხელები აპყრობილი.

შეშა

ივლისის ბოლოს მეზობელმა შეშა მოიტანა, დახერხა, დააპო და გამოსაშრობად სადარბაზოს შესასვლელის გვერდითა კედელს კოხტად ააყლო, ამით დანარჩენებს – ორი კორპუსის მაცხოვრებლებს შეგვახსენა, რომ ზამთარი, მართალია, ჯერ კიდევ შორს არის, მაგრამ არც ისე შორს, რომ გვერდი აგვიაროს, დავავინწყდეთ და აღარ მოვიდეს. ბორდიურის გასწვრივ სარეცხის თოკიდან ჩამოვარდნილი თევზალოვით აფენია ნახერხის ყვითელი ზოლი.

ცელოფონის ზარი

დღეს, ძველით ახალ წელს, ორის ნახევარზე სოსო კეჭალმაძემ დამირეკა – ძალიან გაუხარდა, ხმაზე მაშინვე რომ ვიცანი. „ჩვენს მწერლობაში“ წაუკითხავს ჩემი „მცირე პროზა.“ აღფრთოვანებული მელაპარაკა, თან, თავი უხერხულად რომ არ მეგრძნო, გამაფრთხილა, ვინც მიცნობს, იცის, რომ ტყუილი ქება-დიდება არ მეხერხებაო. განსაკუთრებით ნოველა „ცოდვის შვილები“ მოსწონებია: ყველას, ვისზეც კი ხელი მიმიწვდა ან წავაკითხე ანდა ვთხოვე, „ჩვენი მწერლობა“ შეიძინეთო. სამწუხაროდ, იმათგან ზოგი არ გიცნობდა და სახტად დავრჩი, თქვე დალოცვილებო, კულტურულ ადამიანებად და ინტელიგენტებად თვლით თავს და, აბა ვინღა იცით-მეთქი, მაგრამ, რომ დავფიქრდეთ, არც ვასაკვირია, კითხვაზე მწყურავად არიან, ჩემი ბატონოო... მე თქვენი შემოქმედების თავყვანისმცემელი ვარ და, ეს ბოლო ნოველებიც ისეთია, არ მეგულდება სახელმწიფოებრივი მწერალი, რომელიც სიამოვნებით ხელს არ მოაწერდაო. მოკლედ, ისეთები მითხრა, სხვას ხუმრობად ანდა დაცინვად ჩავუთვლიდი, მაგრამ ბატონ სოსოს, ლიტერატურულ პერიოდიკაში ყოველი პუბლიკაციის შემდეგ რომ მეხმაურება, შერეული გუნდებისათვის ჩემი ლექსების „ასამღერებლად“ რომ მუშაობს, როგორ შევკადრო, აჭარბებთ-მეთქი. ხმა წამივიდა, ვერაფერს ვეუბნები, ვერც აეს, ვერც კარგს... ბოლოს ძლივს ამოვღერდე, დიდი მადლობა ასეთი სიყვარულისთვის-მეთქი.

ელოცა

თბილისში „დასარეკები“ დამიგროვდა. მოვკალათდი ტელეფონთან, მოვიდე გვერდზე ნომრების ცნობარი. სალომეთი დავინწყე. მოვიკითხეთ ერთმანეთი, როგორც გვჩვევია. გავიხსენეთ სტუდენტობა, აქეთ-იქით დაფანტული მეგობრები. ვიხუმრეთ, ვიანგვლეთ, ცოტა გული გვიხალისეთ. მერე – ცუდი ამბავი უნდა გითხრაო. თურმე ირაკლი ციგროშვილი გარდაიცვლილა, სალომემ – ძილში გაიპარაო! სოფელში, სათიბიდან დაბრუნებული, მიწოლილა დასასვენებლად და... წავიდა კიდევ ერთი, იმათიდან მოყოლებული, ქალაქურ ფორიაქს გარიდებული ფშაველი კაცი, ალალი სტრიქონების პატრონი, მამაპაპული ანდერძის ერთგული, ტრადიციების გადამრჩენი და გამგრძელებელი. არ მინახავს ბოლომდე გაცივებული, სულ გულდახურულის ტკივილით დაღდასმული ღიმილით, თვალებში ჩაბუდებული უძირო, ამოხსნილი თუ ამოუხსნელი სევდით დამძიმებული ცხოვრობდა. სადაც ის იდგა, იქ იყო სუფთა, შეურყვნილი საქართველოც! ასეთად მახსოვს და ასეთად მეხსომება, ვიდრე...

განსაკლები

ასეა, გაურბის ყველაფერს ტრადიციულს ჯერ კიდევ ბოლომდე გაუაზრებელი, ვითომ სიახლის შექმნის წყურვილით, ერიდება როგორც სახადს, როგორც ჭირს, გაურბის ხალხურ, მუსიკალურ ფოლკლორს, კონვენციურ ლექსს, ტრადიციულ მოღვინას, სადღეგრძელოს, ოჯახურ უფლება-მოვალეობათა ვალდებულებას, უფროს-უმცროსობის კანონებს, გაურბის ქართულ ღვინოს, რომელიც ლამის კაცობრიობის შეგებული არსებობის ხნისაა, და სახელდახველო ლანჩისა და გამომადგენლებელი ლუდ-არაყის (კათხაში ჩაკიდული ჭიქა!) ტანდემით ტკბება... არის გამოუსწორებელი „ფანი“ მხოლოდ უცხოური, ხშირად კულტურის სახელით შემოჭრილი უმსგავსობისა და არ ასხენდება, რომ საკაცობრიო მნიშვნელობის მწვერვლები გვყავდა ლიტერატურაშიც, თეატრშიც, კინოშიც, სპორტშიც... აღარაფერს ვამბობ მუსიკალურ, ხალხურ პოლიფონიაზე... პრესიდან, ტვიზნარშიც ტელევიზიებისაგან გასაიდუმლოებულია, არა აქვთ, არც უნდათ, „ჭქონდეთ წვდომა“ იმ საგანძურზე, რაც შეგნებულად ცხრაკლიტულშია ჩაკეტილი... ეს ყველაფერი მხოლოდ ახალგაზრდული სისხლის დულილის გამო არ ხდება – ახლის ძიება, თუნდაც შეცდომების ფასად, იქნებ, აუცილებელიც იყოს, რათა შენი და შენი ერის შესაძლებლობები უკეთესად შეაფასო, მაგრამ ისე შორს არ უნდა გაიქცე, უკან, „სახლისკენ“ გზა ველარ გამოიგნო. არ შეიძლება, ადამიანმა ბოლო იმედსაც ხელი ჰკრას და არ სჯეროდეს, რომ ხვალინდელი სამყარო მაინც გამოცდილ, ღონიერ, ტრადიციულზე დადგება და არა მაკულატურის საფუარით ჩაბეტონებულ დროებით ხიმინჯებზე. ამიტომ აუცილებელია, ჩვენშიც გაიღვიძოს თავმოყვარე პროტესტის გრძნობა და ამ ღვარცოფს ნაადრევად ქვესენლში არ ჩავყვეთ: – დროზე დააბრუნეთ ცხრაკლიტულის გასაღები! დროზე, თორემ „დანიამი რალაცა ყარს!..“

თავდასაზრდა

ბავშვები სკოლიდან ადრე გამოუშვეს, პარლამენტის თავმჯდომარე უნდა გვესტუმროსო. მოდი და, ნუ გაგიჟდები, სკოლაში ვინ უნდა დაახვედრო უკეთესი პარლამენტის პირველ „დასახლისს“, თუ არა ბავშვები? თანაც, როგორც ვიცი, მოსწავლეები, მიუხედავად საერთო სიღუბნისა და გაძლიერებული მადისა, პოლიტიკოსებს და, მით უმეტეს ნაციონალ-პოლიტიკოსებს, არ გეახლებიან. მართლებიც არიან, აბა, რა გემოს ჩაატანენ!

თინი

ავტობუსში მოსმენილი დიალოგიდან: – დღეს პირველი მანია! – ჰო, ჰო, ჰო!... – რაო, რატომ გაიკვირვე, არ უნდა მოსულიყო? ორივეს ვიცნობ – ჩემი „ხელობის“ ხალხია. ისე მისჯდომიან ერთმანეთს და მთელი გზა შეხმატკბილებულად დადაობენ, ჭუჭყუ-

კებენ, ვითომ არ იციან, გულში ერთმანეთზე რასაც ფიქრობენ.

პატრონი

საჯარო განცხადების შესავალი: – მე ვარ ჩემი ქვეყნის გულშემმატივარი და ერთი რიგითი პატრონი, მაგრამ პატრონსაც ხომ უნდა „პატრონი?“ გაიშვითადა ჰაერი! საქართველოში სუნთქვა ჭირს! სადემარკაციო საზღვრებზე, როგორც გამოვლული კარ-ფანჯრებიდან, იხუვლეს ჩვენმა თანამემამულეებმა და თავქუდმოგლეჯილები გარბიან ან მიფრინავენ, ან მიცურავენ... ვიცის რითი მოუხერხდება, იმით. არც ისინი არიან ცოტა, ფიზიკურად აქ რომ არიან და ოცნებით იქ!... გამიჭირდება, ვიცი, თქვენი მგრძობიარე გულის სიმები ამ მიძიმე სურათის აღწერილობით შევართოლო, მაგრამ მაინც ვეცდები... მანამდე მინდა გკითხოთ: თქვენ საით, როდის და რით აპირებთ გამგზავრებას? ბატონებო!... ეჰ, ბატონებო!...

განსაკლები

ასეა, გაურბის ყველაფერს ტრადიციულს ჯერ კიდევ ბოლომდე გაუაზრებელი, ვითომ სიახლის შექმნის წყურვილით, ერიდება როგორც სახადს, როგორც ჭირს, გაურბის ხალხურ, მუსიკალურ ფოლკლორს, კონვენციურ ლექსს, ტრადიციულ მოღვინას, სადღეგრძელოს, ოჯახურ უფლება-მოვალეობათა ვალდებულებას, უფროს-უმცროსობის კანონებს, გაურბის ქართულ ღვინოს, რომელიც ლამის კაცობრიობის შეგებული არსებობის ხნისაა, და სახელდახველო ლანჩისა და გამომადგენლებელი ლუდ-არაყის (კათხაში ჩაკიდული ჭიქა!) ტანდემით ტკბება... არის გამოუსწორებელი „ფანი“ მხოლოდ უცხოური, ხშირად კულტურის სახელით შემოჭრილი უმსგავსობისა და არ ასხენდება, რომ საკაცობრიო მნიშვნელობის მწვერვლები გვყავდა ლიტერატურაშიც, თეატრშიც, კინოშიც, სპორტშიც... აღარაფერს ვამბობ მუსიკალურ, ხალხურ პოლიფონიაზე... პრესიდან, ტვიზნარშიც ტელევიზიებისაგან გასაიდუმლოებულია, არა აქვთ, არც უნდათ, „ჭქონდეთ წვდომა“ იმ საგანძურზე, რაც შეგნებულად ცხრაკლიტულშია ჩაკეტილი... ეს ყველაფერი მხოლოდ ახალგაზრდული სისხლის დულილის გამო არ ხდება – ახლის ძიება, თუნდაც შეცდომების ფასად, იქნებ, აუცილებელიც იყოს, რათა შენი და შენი ერის შესაძლებლობები უკეთესად შეაფასო, მაგრამ ისე შორს არ უნდა გაიქცე, უკან, „სახლისკენ“ გზა ველარ გამოიგნო. არ შეიძლება, ადამიანმა ბოლო იმედსაც ხელი ჰკრას და არ სჯეროდეს, რომ ხვალინდელი სამყარო მაინც გამოცდილ, ღონიერ, ტრადიციულზე დადგება და არა მაკულატურის საფუარით ჩაბეტონებულ დროებით ხიმინჯებზე. ამიტომ აუცილებელია, ჩვენშიც გაიღვიძოს თავმოყვარე პროტესტის გრძნობა და ამ ღვარცოფს ნაადრევად ქვესენლში არ ჩავყვეთ: – დროზე დააბრუნეთ ცხრაკლიტულის გასაღები! დროზე, თორემ „დანიამი რალაცა ყარს!..“

თინი

ავტობუსში მოსმენილი დიალოგიდან: – დღეს პირველი მანია! – ჰო, ჰო, ჰო!... – რაო, რატომ გაიკვირვე, არ უნდა მოსულიყო? ორივეს ვიცნობ – ჩემი „ხელობის“ ხალხია. ისე მისჯდომიან ერთმანეთს და მთელი გზა შეხმატკბილებულად დადაობენ, ჭუჭყუ-

თავი, საზოგადოებამ ხომ იცის, რომ ერთი „არა ჩვეულებრივი“, უკანასკნელი ათწლეულების გამორჩეული არაკაცია.

ამდენი იცხოვრო და გულწრფელად, ალა-ლადა არც შინაურს და არც გარეულს არ უყვარდე... ამასაც მოხერხება უნდა!.. მივიკრს, გინესის წიგნში ასეთი იშვიათი ეგზემპლარები რატომ არ შეაქვთ?

პირის გემო

ირისი „Зеленой ключик“ შევიძინე. ძველმა, ირისის ნაცნობმა ტრადიციულმა შეფუთვამ მომტაცა თვალი და გამყიდველს ავანონინე. შინ დაბრუნებისთანავე კანფეტს ჭრაჭუნა, ყავისფერი ქალაღი შემოვაცალე. ბავშვობა გავიხსენე, პირში ჩამდნარ სიტკობს გავუტვინდი. ვცდილობდი, მაშინდელი, კანფეტის დაგემოვნებით მოგვრილი სიამოვნება ხელახლა განმეცადა. დეგუსტაციის შემდეგ დავასკვენი – ნუგბარი მაშინ უფრო გემრიელი და ნებოვანი იყო – კბილს კბილზე „დაადუღებდა“ და ძნელად თუ ააძრობდი ერთმანეთს. რამდენს მორყული სარძევე კბილი ჩარჩენია ირისის დულაში. ჩემს ბავშვობაში სამ ქალაღში იყო გახვეული. შუაში მოქცეულ ვერცხლისფერ ფოლგას ვასწორებდით, გავატკიცინებდით და „ვერცხლის“ კბილებს „ვიკეთებდით“. ახლა ერთი სიფრიფანა ფურცელი ძლივს გაუმეტებიათ. მაშინ უფრო გემრიელი იყო-მეთქი! მაშ, რა იქნებოდა, ბედნიერი ბავშვობის „საკმაზით“ შეზავებულს დღევანდელი „ირისი“ როგორ შეედრება. ვერცხლისფერ ფოლგაზე მაინც განსაკუთრებულად „მწყდება“ გული – ახლაც ხომ გავატკიცინებდი, წინა, სახალამე ღრჯოლებს ვერცხლისფრად შეემოსავდი და სარკის წინ კბილებდაკრეჭილი გავირინებდი.

გამყიდველი

ჩვენმა ძვირფასმა დროებამ მოქალაქეებს ახლებური ხედვა, უესტიკულაცია და მეტყველების სტილი, ხასიათი, ფრაზოლოგია შესძინა. მეზობლად, პატარა, მოჯუჯგულ მარკეტში ვიღაც ქალბატონს წინა დღით ნისიად წაღებული პროდუქტის ვალი უნდა გადაეხადა. გამყიდველი, ისიც ქალბატონი, „ნისიების“ რვეულს ჩაჩერებული, საქონლის ღირებულებას ანგარაზობდა, რომ მოსულმა შეახსენა, აიმ თაროდან „ტომატ-პასტაც“ რომ ავიღე, არ დაგავინწყდესო. – აბა, უყურე! – გაიკვირა გამყიდველმა. – ვერც დავინახე და ვერც რვეულში დავაფიქსირეო.

მაშ, ძვირფას დროში არ ვცხოვრობთ, რამდენი მიმართულებით გაფართოვდა „ხედვის“ დიაპაზონი – ადრე გამყიდველის ღარიბ ლექსიკონში მოძებნიდი ისეთ იშვიათ სიტყვას, როგორც „დაფიქსირება“? თანაც ასე გაშინაურებულად და საყველპუროდ რომ ეხმარათ! სექსტიკოსები, ვიცი, ტუჩს აიბზუებენ, რა გინარიათ, ახლა დასავლეთიდან წამოსული სლენგი და მეტყველებაში გაჩენილი გამოთქმების ჩრჩილი რომ გაუჩნდა ჩვენს სათაყვანებელ ქართულ ენასო? ვის რა და „რატომ უხარია“, ეს კიდევ დასადგენია!

სიახლე ყოველთვის კარგს რომ არ ნიშნავს, ვასაგებია, მაგრამ ამ საქმის წაღმა შემობრუნებას მხოლოდ ტუჩის აბზუება უშველის? მშობლიური ენა, თუ მართლად სათაყვანოა, საჩრჩილედ რატომ გავიმეტეთ? მისი სინამდის დაცვის აუცილებლობა ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა „დავაფიქსირეთ“!

თინი

თ.ბ. ცამ თავისი დაიბრუნა, მინამ – თავისი. ხელისგულზე მონატრების ცრემლი დავისვი. ნაგყვანა, ჩაგხუტა თეთრმა დედილომ. შენ ვისი ხარ, ობლის ლექსო, მარტო შთენილი!

მსუქანა

სტადიონის სარბენ ბლიკზე ვიღაც ვე- ბერთელა უკანას ზვინივით მიათანთალებს. ასეა, მოუშვებენ ქამრებს, აღარ აკონ- ტროლებენ ჩახეთქილი სასმელ-საჭმელის ზომა-წონას, დაიდებენ ღიპებს, გაისუქებენ ტრ...ებს და მერე, წონაში დასაკლებად, გუ- ლამოვარდნილები იხვითებებიან. ჩემ წინ ქოშინით „ჩორთზე“ გადასული „კაცი-კარადა“ უცებ მოიბრუნდა: - თქვენნიარი გამხდარი რომ ვიყო, რა მიჭირდა... შინ არაფერს გაჭმევენ? - მაჭმევენ! - ალბათ, სასმელს არ ეტანები. - ზომიერად... - ნეტა, ეგ ზომიერება მეც მაცოდინა, დავლევ და, აჰა, - ორივე ხელში ჩაბლუჯულ მუცლის ქონს გულნატკენი ღონივრად შეა- ჯანჯვარებს და ისე დაჰყურებს, თითქოს უბე ასაფეთქებელი ტროტილით ძალით დაუნაღ- მეს და დავალების შესასრულებლად გაუშვებს.

მარცობა

ნაწყვეტი ჩემი საჯარო გამოსვლიდან: - თქვენც კარგად მოგესვენებათ, ბატონე- ბო, რომ ჩვენს ხელისუფლებას მაინცდამაინც გულზე არ ვეხატები, მაგრამ ვუყვარვარ ამ მთავრობის უღელქვეშ მგმინავ ჩემს თანა- მემამულეებს! მადლობა უფალს, რომ პირიქით არ არის!..

თანამდებობა

მაგიდის მეზობელი გადმოიხარა და შე- მომიჩვილა: - აბა, შეხედე, ერთი ყბედი ტელევიზორში აჩმახებს, მეორე - სუფრასთან. მორჩა, ძმაო, თუ სიკეთე გვინდა, ამას იქით საქართველოში, ფსიქიატრის ცნობის გარეშე, თამადა და პრეზიდენტი აღარ უნდა ავირჩიოთ. ბიჭოს, არ შაჭამეს გული?

ორიდან

შარშან აგვისტოში, უნივერსიტეტის ეზოში, ფეხბურთის მინი-მოედანზე, უამრავი ნამსხვ- რევი დამხვდა. აგვისტოს მცხუნვარე მზეზე ბრჭყვიალებდნენ ლითონის ბასრი ნატეხები, მაგრამ, რაც ბრჭყვიალებს, ყველაფერი როდი ანათებს - ამ ნამსხვრევებიდან - სახურავების თუნუქი რომ დაკეჭნეს, მინა მოთხარეს, ხეები დაასახიჩრეს, ფანჯრები და შუშბანდები შე- მოღუნეს - საბედნიეროდ, არც ერთი არ მომ- ხვედრია, მაგრამ ჩემს სულსა და გულში ღრმა, სამუდამო, პირშუქარავი ჭრილობები დატოვეს. დემეტრე, სამშობლო და ქვეშევრდომები რომ ეხსნა, ურდოში გახლა ყაენს და საჯა- ლათო კუნძუზე დადო თავი. ამით იმავე კუნძუზე სამშობლო დადეს, თავი გადარიჩინეს და მტრის ლამის ქვეყნის მეოთხედი ილიაში ამოუდეს. გავიმარჯვეთო - დღემდე გაჰყვირიან. თუ ასე ჰქონდათ ჩაფიქრებული, რა მდგომარეობაშიც ახლა ვიმყოფებით, მაშინ მართლაც გაუმარჯვიათ. უყვარს ჩვენს „მაგარს“ ახალ-ახალი ჯილ- დოების გამოგონება. ერთი ჩვენც ხომ უნდა დავანესოთ მისი და მისი ხროვის დამსახურების აღსანიშნავად და მკერდი თითოეულ მათგანს „ჰეროსტ- რატე-ტაძრის დამწველის“ ბრწყინვალეების ორდენით დავუმშვენოთ? დაჯილდოების ცერემონიალს, ვფიქრობ, არც ასეთი, „პირველი პირის“ მხარდამჭერი ლოზუნგი აწყენდა: „თუ პრეზიდენტს ქომავობ, გაიხარებ, სტომაქო!“

ჯოჩი

კეისარს ამბავი მიუტანეს - დედოფალი კლოდიუსთან გლალატობით და პომპეიას მაშინვე გაეყარა, თუმცა, იქვე განაცხადა, რომ ეს მხოლოდ ჭორი იყო და ამ მონაწილის თავადაც არ სჯეროდა. როდესაც ჰკითხეს, თუ ასეა, მაშ რატომ, რა მიზეზით ეყრებიო, უპასუხა: არ შეიძლე- ბა კეისარს ეჭვმიტანილი ცოლი ჰყავდესო. ახლა ვიკითხოთ, ქვეყანას თუ შეიძლება, სამშობლოს გაცემა-დაქუცმაცება-ლალატში ეჭვმიტანილი პრეზიდენტი ჰყავდეს? რაო, საშვილიშვილოდ ვართ ჯვარდა- ნერილები?

ვუყუროთ მშვიდად, რამდენი მოძალადე „კლოდიუსი“ წალუნავს? ჩვენს „პომპეიას“ ველარ უნდა გავეყა- როთ?

ცეზილი

რამდენიმე დღის წინ ყურძენი დავწურე. დურდლიანად სულ ერთი ბოცაა, დავურევ პატარა ჯობით და ველოდები, ბუშტების ბურთულები მალა როდის ამოირბენენ. ახლაც მოვხადე მოშვებული თავსახუ- რი ჭურჭელს და ბოცის ვინრო ყელს ყური დავადე. დადუმებულმა ყურძნის წვენმა გამოიღვი- და, თანდათან გამოფხიზლდა, უკვე რალაცას მეჩურჩულება, ჩუმად, ძლივს გასაგონად, თითქოს რალაც საიდუმლოს მანდობს, მიმ- ხელს. მიხარია - ტკბილი უკვე ჩურჩუნებს, შუშ- დება, ღვინდება. ნეტავი, ვინ იყო ის ბედნიერი, ვინც უხ- სოვარ დროში პირველმა მოისმინა ვაზის ნა- შობის ჩვილი ბავშვივით ლულუნი?

აჩიყვანი

შინიდან გამოსული განა თქვენ კი არ შეყვამანებულხართ? ვერ გადაგინწყვტიათ: - საით წავიდე? „ნასასვლელი“ კია, მაგ- რამ იქ წასვლა რომ ჯერ არ მინდა?!

ლავია

რექტორს კაბინეტში, ვითომ ერთი არ იკმარებდა, პრეზიდენტის ორი სხვადასხ- ვა პოზაში გადაღებული სურათი დაუკიდა. ღმერთი სამობით არისო, უთქვამთ და, ვიცი, მესამე გულში აქვს ამოტვიფრული, იქაც გალიმბებული, დარდიანი ქვეყნის უდარ- დელი ბატონ-პატრონი. ასეა მთელს უნივერსიტეტში, საითქვანაც კი მიდგებ-მოდგები, „პირველი პირი“, ყველა მხრიდან გაფაციცებული მოგჩერებია. თავად პრეზიდენტს, როგორც ვიცი, ილი- ას სურათი უკიდა. მის ქვეშევრდომ-თავყვანისმცემლებს - პრეზიდენტის.

„ქვევრიდან ხაპში, ხაპიდან დოქში“... - რატომღაც მასხენდება უნივერსიტეტიდან გამოსულს.

პრეზიდენტი თუ ილიას „ეთაყვანება“, ესენი ვინ ჩემის კიკოები არიან, ერის მამაზე უარი რომ თქვეს და ლამის საპირფარეოს კაბინეტიც „კერპის“ პორტრეტებით დაამშ- ვენეს?... რაო, ილიას სურათები ვერ იშოვეს თუ-მათი შეძენა უნივერსიტეტის ბიუჯეტს დააქცევდა?

ეს პოლიტიკური კუნძის ანასხლეტები მარადიულზე, ჭეშმარიტ ხატებაზე, სამშობ- ლოზე უარს ამბობენ და დღევანდელი თბილ, ახალგაზობილი ნებეში ჩამოვდარი ბელურებივით ნებეგრობენ?

მერამდენე წელიწადია, საითაც გავიქციოთ, იქით ნავიქციოთ. კარგა ხნის ნაგროვები, გადაუყრელი, და- უცვლელი ნაგვის ურნა გადაიგსო და იერარ- ქის კიბე, მალლიდან ძირამდე, ერთნაირად ყარს.

ბსახნა

ბაჩანას ახალი წელი მივულოცე. ესაუბრობო. იმდენხანს, რომ ფეხბურთის თემასაც კი შევხებო. - ალბათ, გავიგებდით, „მილანიდან“ „ჩელ- სიში“ გადასული კარლო ანჩელოტი „მილან- ქოლიაში“ ჩავარდნილა-მეთქი. ბევრი იცინა. ბოლოს, რა თქმა უნდა, ჩვენს ძნელბე- დობასაც მივადექით. ამოვბრტყეთ უკმაყოფილების ჭვარტლი. - მგონი, ნამეტანი არასატელეფონო ლა- პარაკი გამოგვიდისო, - მიუზნება უცებ. რატომ-მეთქი. ახლა ხომ ყველას უსმენენო. ვუამბე პატრიარქის ხუმრობა, მობილური რომ არუქეს, უახლესი მოდელია და აქედან ვერ მოგისმენენო. აბა, რას მეუბნებით, პირიქით, ნეტავი, მომისმინონ და სხვა არაფერი მინდაო. გაიცინა, მაგრამ მაინც: - პატრიარქი სხვა სიმაღლე და განზო- მილებია, ვერაფერს შეუბედავენ, ჩვენ კი... მართლა ღმერთი აღარ გნამთ? რად გინდათ ისეთი ქვეყანა, ნყოფა და

მმართველობა, ურთიერთობა, სადაც ყოვ- ლად უწყინარი, დიდი მოღვაწე და პატრიარ- ქი ქართული სიტყვისა და მწერლობისა ასე დამფრთხალი და დაშინებული გეყოლებათ!..

ამნაირი „სულისკვეთებით“ თუ გვაცხოვ- რეს, განაგრძეს ჩვენი „დამუშავება“, მალე ოცდაათიანი წლების ყბადაღებულ სისასტი- კესაც ტკბილ მოგონებად გვიტყვივენ-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ „არასატელეფონო“ ნათქვამით ბაჩანას შემოვთვებას მოვეერიდე და ენას კბილი დავაჭირე. ალბათ, სწორადაც მოვიქციე - ჩვენ კი- დევ ცხოვრების გართულება გვინდა?

პიტნა

ბაზრის მისადგომები. მდინარეზე გადებულ ვინრო ხიდზე გა- ყოლებული მოაჯირის გასწვრივ მემწვანი- ლეები, ყველისა და კვერცხის გამყიდველები ჩამწკრივებულან.

როგორც იქნა, მინაზე უსასუქოდ მოყ- ვანილი ჩვენებური მწვანის სურნელი შე- ვიგრძენი. ძალიან ხნიერი, შავთავსაფრიანი დედა- კაცი ამობრუნებულ მუყაოს ყუთთან ჩაცუც- ქულა.

ყუთზე პატარ-პატარებად დაკონილი ოხ- რახუში, ნიახური, კამა და ახალამონვერილი, ქორფა პიტნა უდევს.

რა ღირს პიტნა-მეთქი. - ოცი თეთრი! - ამომხედა გვერდულად, ნისლიმდგარი თვალებით.

- ორი კონა ოცდაათი... - ცოლო ვარ, შვილო! - ყოყმანზე ეტყო- ბა, რომ, თუ ცოტაც გავკერპდი, ავიღე ნა- მუსზე ხელი, დამეთანხმება, დამიკლებს, მაგ- რამ როგორ, როცა დავაკვირდი, აღმოვაჩინე, რომ ალი-კვალი ბებიაჩემია - თითქოს ის გამიცოცხლდა და წინ დამიცუცქდა. იმის ხმა, სახის ნაკეთები, გამოხედვა, თვალები... პიტნას ვყიდულობ - ხელისგულზე ორი ოცთეთრიანი დავუდე. როგორ მითხრა? „ცოდვა ვარ, შვილო!“ ეჰ, სხვა ვინ არ არის ცოდვა?!

მავიწყი სიტყვა

უფალს სული მიბარაო. უფალზე საიმედოს სულს ვის მიბარებ. ცხრა ათეულს მიღწეულმა ქალმა, ისე, რომ არავის გაუგია, შუალამისას ამოიფშვინა და ერთბაშად არაფრად იქცა - სულისგან დაცლილი, ამიერიდან უფუნქციო ჭურჭელი... ორიოდ დღეა, რაც მოთბა. გაიგიჟეს თავი ცეტმა ჭერებმა და ალუბ- ლებმა.

- ჭიტაო, - ხან საიდან შემოგძახებენ და ხან საიდან. მღვდლის გაბმული სულთანა ერწყმის სიციხით მოთენილ შუადღეს.

ადამიანი მიდის და მაინც, უსიხარულო პროცესის ფონზე, უფრო ხაზგასმულად იგ- რძნობა მარადიულობა სიცოცხლისა - წვი- მებითა და სიციხით გაჯერებულმა მინამ, როგორც კი „ძვლები“ გაუთბა, სიმწვანე უცებ იბარტყა, ხასხასა „ჩითზე“ ღილებივით დაი- კერა პირველი, ყვითელი გვირილები.

მიჰყავს ადამიანი და მოჰყავს ყვავილები! გვირილები... გვირილები... მინაზე ჩამო- სახლებული თუ მინიდან „ამოსახლებული“, პანანკინტილა, მზის გულსაბნევები...

- მთელი ბავშვობა თავზე გვირილების გვირგვინი მედგა ხოლმე... დედა მინწავდა... მოვავროვებდით ბადის ღობისძირებში, მინ- დოროში, დაჯდებოდა ჩრდილში, მომისვამდა გვერდით და კალთაში ჩანყობილი ღერებით უცებ გამოკვანწავდა ჩემთვის და ჩემი ამ- ხანაგებისათვის ნაირ-ნაირ გვირგვინებს...

ამას ეს ქალბატონი აკეთებდა, ამ ხელე- ბით, ახლა უძრავად რომ უწყვიდა მკერდზე, - თავდახრილი ჭირისუფალი ცრემლიანი თვა- ლებით ამომხედავს და უპესთან დაკიდულ, გადმოსავარდნ წვეთს საჩვენებელ თითს შე- აშველებს.

თითზე სველ ზოლად განელილი ცრემლი - ორ ნერტილს შორის გაბმული, საკომუნე- კაციო, ვერცხლისფერი სპირალი.

აქ, სასაფლაოზე, ორი „სოფლის“ მთავარ გზაგასაყართან, მრავლისმთქმელ დუმლიში, სიჩუმეში უფრო მკაფიოდ იგრძნობა, როგო- რი წარმავალი უმწეობის საყრდენებზე დგას განდიდებულ მედროვეთა ყოვლისშემძლეო- ბის ილუზია.



„ჰო, მაგრამ ჩვენ ასე არ ვფიქრობთ!..“ ვინ არის ეს „ჩვენი“, რეალურად არსებობენ დანარჩენებიც თუ ამბიციური, ძალად მაცხოვრე ნინამდგომი ცოტა მდიდართა და ბევრ უპო- ვართა, თქვენობით მიმართავს თავის თავს? და თუ კიდევ ვიღაც თანამდგომებსაც გულისხმობს, ვისმა საერთო ფიქრმაც შობა მათი უღელური აზრები და გადაწყვეტილე- ბები, მით უარესი... ვინ ბრძანდებიან, სად იყვნენ აქამდე, რა მოიმოქმედეს - დიდგორი მოიგეს, სოფელი და ქალაქი ააყვავეს, უფს- კრულს მიმდგარ ქვეყანას ხელი სტაცეს და გადაარჩინეს... მათი უმაქნისი სახელისუფლო „კორტეჟი“ რა დამსახურების გამო უნდა შეისვენ უნაყოფო მოლოდინით დაღლილ, გა- დატყავებულ ზურგზე ადამიანებმა, ქვეყანამ, მაგდანას ლურჯასავით დავარდნილმა ბიუ- ჯეტმა და კიდევ ერთი (!) საარჩევნო ვადით ახლა ესენი ზოდონ სახედრის ერთგულებით?! მორჩა და გათავდა! რადგან თქვეს, რო- გორი უგუნურიც უნდა იყოს, გადანყვეტი- ლების ციხეშიმავრის შიგნით არ შეგიშვებენ, კარს ვერ უშოვი, ვერ შეაღებ, ვერ გადაარ- ნმუნებ, იქნებ, ასე სჯობდესო.

„ჩვენ“ ასე არ ვფიქრობთო, გაგიმეორე- ბენ, უფრო გამკაცრებული ხმით და პიჯაკს შიგნით თეთრ პერანგზე დაფენილ ჭრელაჭ- რულა, გადბრტყელებულ ჰალსტუხს ჩაისწო- რებენ, თითებს ისე ჩამოაყოლებენ, თითქოს მომთვინიერებლმა ყელთან გამობანტულ, მკერდზე ჩამოგრძობულ პითონს ზურგზე გადაუსვა ხელი.

და გაიფიქრებ - უფალო, როდესაც ადა- მიანს ზეღდი, თიხაში რამე ისეთი ხომ არ შეგიყვია, რაც კაცთა მოდგმის საცდუნებლად აქებებს ემმაცსო.

ცრემლის „საკომუნეკაციო ვერცხლის- ფერი სპირალით“ მაინც ვძალაობ, სინანულ- ლი გავუღვიძო სახელგატეხილ, არასაიმედო „ჩვენს“ კოშკში გამოპეტყილს, რომლის თი- თებიც კვლავ ახირებული, შემაშფოთებელი და შემანუხებელი ხაზგასმით მიცოცავენ პითონის ზურგზე.

ეფერებიან და „პითონიც“ გატრუნული, ლაქუცით ნასაიმონები თვლებს, ერთ ღილზე შეკრული პიჯაკის შიგნით, ამბიციის საფუ- არით გაღვივებულ ღიპზე.


„ცირკის“ მაყურებელს ჰგონია, რომ მომ- თვინიერებული და პითონი გიჟდებიან ერთ- მანეთისთვის.

მე - პირიქით, მგონია, ეჭვი, უნდობლობა, სახელისუფლებო საფეხურის ჩატეხის შიში აერთიანებთ, ერთმანეთს რომ არ ენდობიან, ერთად სწორედ იმიტომ არიან.

ჭირისუფლებმა გვთხოვეს, წამობრძანდით შესანდობარის სათქმელადო.

დაღმართზე მანქანები უკან თავპირისმ- ტვრევით მიარბენინებენ ყველას, იმ ერთის გარდა, ვინც თავის შვილსა და მის თანა- ტოლებს ყვავილების გვირგვინებს უწნავდა.

მაშინდელი გვირილების შთამომავლები ქალბატონის გასაცილებლად ამობიძინდნენ მინიდან და ჩამობრძანდნენ ზეციდან!.. მიიბარა უფალომ, ნათქვამია. მაგიური ძალისა და შინაარსის სიტყვაა „მიიბარა“ - არ ეღალატება, თურმე, მიბა- რებული მგელმაც კი იცის! კაცმა?..



დავით შამოქვალი

 ეს ტვირთი იქნებ
 შემისუბუქო, დედა,
 მახსოვრობა წამოვიკიდე ზურგზე.
 პირველი შეცხადებიდან –
 რანაირად იცოდნენ მაინც –
 აძაგძაგდებოდა სოფელი შიშისგან,
 ერთი კაცით პატარავდებოდა და,
 სამაგიეროდ, ბაბინეს, ხარიტონის,
 ანგელინას, პასიკოს,
 ნათელას, ხახუტიას
 (ყველას რა ჩამოთვლის!)
 ცრემლით იზრდებოდა.
 გავრბოდით ზაფრით
 გამოღვიძებულნი,
 სასწრაფოდ ხალვათად ჩაცმულნი,
 უსასრულო თუ
 სივრცედაკარგულ დროში.
 და გარბიხარ, ადამიანო,
 იქ რომ მიიღბინო –
 კულულებიანი,
 თვალეციმციმა ბავშვობიდან
 ამოზვინულ ბორცვამდე,
 შენს გულზე ამობიბინებულ
 ბალახამდე.
 იქ ღმერთია თუ სიცარიელე?
 გავრბოდით გაუცნობიერებელ
 ცნობისმოყვარეობით
 მასთან, ვინც ამ სოფლისა
 უკვე აღარ იყო და
 სხვა სამყაროს შესახლებოდა.
 შემოგუფლიდით გარდაცვლილის
 ცხედარს,
 დავდგებოდით ჭიშკართან
 და ვინყებდით სიკვდილზე მსჯელობას.
 ვითომ ამ წუთისოფლისა ხომ
 ყველაფერი გაგვეგებოდა
 და ახლა ზესთასოფლის კანონები
 გვინდოდა გაგვერკვია.
 დედა, ახლა შენ იქ ხარ,
 დროის მიღმა, უსასრულობაში,
 სიცარიელეში გამქრალი,
 მე – მოგუფუნე მეგაგალაქტიკებიანი
 სამყაროს საფუტკრესავით
 აზუზუნებულ ქაოსში.
 ვიგემე სიტყვა... ვიგემე ქალი...
 ბოლოს იმ ერთსაც ვიგემებ და...
 მერე მეც ჩემი შვილების
 მხრებს დავამძიმებ
 ზუსტად ისევე, დიდი თოვლი რომ
 ჩამოხრის ზამთრით სუსტ ტოტებს.
 და ახლა ვფიქრობ,
 არაფერი, არაფერი
 ჩერდება ერთ წერტილში...
 არათუ წამი, კესიცა და
 კესის მეთასედიც
 არ ჩერდება...
 ნული არ არსებობს,
 ვერ მოიხელთეს, ვერ მიაგნეს
 ფორმულას ანმყოს.
 და რა გამოდის:
 სიცოცხლე ჩვენი –
 მარადიულ ხსოვნათა ჯამი ...

 დაეცა სხივი
 აივნის რიკულს –
 მეზობლის ქალმა გაიხადა
 ამ დილით თალხი...

 ბავშვობა ხელში შემრჩა ფიფქივით,
 თქვი ეს და იგრძენ, წამში გასრულდა
 დრო – გაცრეცილი ბინდში ნისლივით,
 დრო – მეომარი შუბი წარსულთან.
 სისხლი წვეთ-წვეთად დაგდის მაჯაზე,
 ლამის ცა ღრენით ხევ-ხევ ყიალობს,
 დააბი ხსოვნა ყრმობის ბაგაზე
 და ნუ გაუშვებ სახეტილოდ ...

 და ფოთლებს იის ახურავთ ქოხი,
 ქალწულის დარად ფეთქავს იელი,
 დაფენილია ფერადი ნოხი,
 ცას სოსნისფერი ადევს იერი.
 გზანვრილზე გარბის გოგო ნინველა,
 სხეულში ჩადის ხვევით ისხარი,
 ბლის ტოტზე მოჩანს მტრედი
 მზისყელა,
 აუკენკიათ ჩხართვებს ცისკარი...

ანტიმიმორია
 მამაჩემი კვირას
 დავმარხეთ.
 ის დრო იყო,
 უთოვლო, ყინვისაგან
 შეჭირხლული ზამთარი
 გაზაფხულის მოსვლას
 უძალიანდებოდა.
 საწყალი მამაჩემი –
 ჯანგაცლილმა სხეულმა
 ერთსახოვანი, გალიგვული
 სინამდვილიდან,
 გადამფრენი ფრინველივით,
 უფრო თბილ ადგილას
 გადაინაცვლა.
 ჩვენი ეზოს ჭიშკართან
 შეჯგუფული მეზობლები
 იდგნენ და მის ახირებულ თვისებებზე
 საუბარს
 ერთმანეთს არ აცლიდნენ.
 კადრი ირეკლება...
 უგემოვნო ინდურ ფილმს
 ცრემლის ზღვარზე მისულნი
 მისჩერებიან თანამესოფლენი,
 მამაჩემის ირონიული ღიმილი
 – ყველას გასაკვირად –
 სოფლის კლუბს ჩამოიბრუნს.
 ბელადის ჯილდო რომ გადასცეს,
 მეორე დღეს აიღო ეს ორდენი და
 საკუთარ ძაღლს ყელზე ჩამოჰკიდა.
 მიუტანეს ამბავი, სადაც ჯერ არს, და
 იქაურ ჩაფრებთან სიარულში
 ისედაც გაცვეთილი ფეხსაცმელი
 უფრო აცვეთინეს.
 ვირის აბანოს კი გადაურჩა, მაგრამ
 ცხოვრების აბანოს,
 ყველას ერთი აგურით რომ ხეხავს,
 – ვერა!
 ბედნიერი სოფელი წინა
 ხელისუფლების
 ყველა მონოდებას
 ისევე აღტაცებით ინონებდა,
 როგორც ახალი მთავრობისას,
 ძველის საპირისპიროდ მიმართულს.
 ყოველი ბრძანების მერე
 იცვლებოდა სოფელი;
 სხვა ქვეყნის სამოთხეებისაგან
 გარიდებულს,
 სალი კლდეების ძირში
 მობუყბუყე ჭაობს
 ამოაშრობდნენ,
 ტყეს გააშენებდნენ,

მერე გაკაფავდნენ,
 საძოვრად აქცევდნენ,
 ისევ აჭაობებდნენ...
 სოფელს მხოლოდ
 გარემოს ცვლილებასთან შეგუებული
 ჭაობის ფრინველთა
 ხმა თუ ახალიხებდა.
 ნავიდა მამაჩემი...
 ცრემლი არავის დასცდენია,
 – ასაკში იყო და,
 გადამფრენი ფრინველები
 გაკრეფილიყვნენ
 და მართო ბელურების
 ჩუმი რეკვიემი
 მიაცილებდა...

 რაც გასაცემი არსებობდა,
 წარსულში დარჩა,
 ჰყვება და ჰყვება სარეკელა,
 ძველ უამს იხსენებს,
 გადაჭრილ მორზე ფრთებმოკეცით
 დაეშვა ყანჩა,
 თითქოს მოხუცი მამაჩემი
 ლოდზე ისვენებს...

 ანიდან ჰაემდე, ანუ
 ალფადან ომეგამდე – მეტაფიზიკაში,
 ხოლო კვარკიდან ანტარესამდე –
 გალაქტიკაში
 მოხეტიალე სამყაროს სული
 სად დაივანებს საბოლოოდ...
 სამოთხის ოთხივე მდინარის
 ყველა მიმართულებას
 ხომ ვერ გაჰყვები, ადამიანო.
 ყველგან და არსად!..
 არ სჯობია, სადაცა ხარ, ბოლომდე იყო...
 კვდება კაცი და მისი ნიშნის ქრება
 ვარსკვლავი.
 შენ რომელი ხარ,
 სიტყვების ჯვარზე გახიდილო,
 ლექსების კაცო,
 აცაბაცად რომ გამოგყავს
 ასოები იმისი შიშით,
 შენზე ადრე არ ჩაიქროს ვარსკვლავი შენი.
 აქ რაღას უცდი, მონიტორის წინ
 ჩაიმუხლე,
 შე მკითხველმკვდარო.
 ვირტუალურ-რეალურ სახიფათო
 ლექს-ქალებზე
 იფიქრე ღამით...
 ერთხელ თუ შეხვდები, შეიძლება
 გადაურჩე,
 მეორედ შეიყვარებ...
 გარეთ გაიხედავ ... ტირის საქართველო
 ავადმყოფი შეილივით, მიდი, მოუარე.
 ფიქრის ნიაღვარს ამოუდე ალიკაპი,
 სათქმელს – აღვირი, წერტილი, ჩქარა!
 დაასრულე, ჩქარა, წერტილი!
 თორემ დროა ისეთი, თუ არ იჩქარე,
 შენი მსგავსი სულებიც კი
 გაგეცლებიან...
 წერტილს აქეთ – საამსოფლოდ –
 მოკლე ტექსტური შეტყობინება
 და ფურცელი სხივმოლოდინე.
 არ განუხებს შენკენ ნასროლი ჭორი,
 მართალი,
 განდიდება და დამცირება,
 უამბიციო სიცოცხლე – ჩრდილი.
 წერტილს მერე კი –
 სიკვდილის იქით...
 საზესთასოფლო ამბიცია,
 მოხეტიალე სამყაროს სულს
 აემგზავროს სული შენი,
 სტრიქონ-სტრიქონ
 ბუმბულფრთებისგან აწყობილი,
 შემცივნილი ბელურა ზამთრის...



ბელა შალვაშვილი

ჩუქნი...
 გულზე მავთულხლართები,
 სულზე მავთულხლართები,
 ქართლის შევიწროებით
 ცრემლი, ზღვაებრ ნადენი.
 რუსო, რად შეაძულე
 ქართველს შენი ხსენება,
 სიძულვილით ცხოვრება
 მას არასდროს ენება...
 რუსო, მიწა ისედაც
 საკმარისზე მეტი გაქვს,
 შენი მწარე სიხარბით
 ყოფა ბევრჯერ გეტირა.
 ერთხელ დადექ, ღმერთს ანდე
 ყველა ზრახვა ბოლომდის...
 თანაც ჰკითხე, ღმერთმა რუსი
 რატომ შექმნა ბოროტი...
 შეინახე ეგ შენი
 სიავენი შენთვის,
 თორემ უფლით ირჩევა
 ბოლოს შავით თეთრი.
შეოცნებება...
 ოჰ, ეს სხეული მეჩოთირება,
 მემძიმება და –
 ძლივსლა დავათრევე,
 მეოცნებება, იმის გარეშე
 დღეს დავალამებ,
 ღამეს გავათევე;
 მეოცნებება...
 და ეს იქნება
 უსხეულობით
 ნამდვილი ტკობა –
 ამ ტკივილიან
 სხეულს გაქცეულს
 ან სულგბრივი
 მექნება ყოფა.
ნუ ხოცავთ ჩიფებს
 ნუ ხოცავთ ჩიფებს, არ მოკლათ შაშვი,
 ამით საამურ ჰანგებსაც ნაშლით.
 მისი გალობა მაფხიზლებს დილით
 და მაინცდება ყოველი ჭირი.
 ეს საყვარელი თალხი, ფრთამალი
 ყოველი დარდის არის წამალი;
 შაშვს თუ იმეტებთ ხორცის გულისთვის,
 ხორცად შეგრჩებათ ჰანგი ურიცხვი...
 არა და არა, არ მოკლათ შაშვი –
 ყვითელწიწკარტა, ლამაზი ბავშვი!

პოეტ დავით გაბუნის საიუბილეო, 90-ე წლის აღსანიშნავად გამოსულ ორტომეულს – „მზერა მავედრებელი“ და „საით მიცურავ, მზეო“ ერთი საერთო სათაური „ჩამავალი მზის მელოდია“ აერთიანებს. ორტომეულში შესულია დავით გაბუნის ლირიკული ლექსები, პოემები და სონეტები. საიუბილეო გამოცემა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბა გამოცემლობა „უნივერსალმა“.

დავით გაბუნის პოეტური ნაწარმოებები ქვეტექსტებით არის დატვირთული, რაც მის ნაღვანს მეტად საინტერესოს ხდის და მკითხველს მოუწოდებს, არ დათმოს სიკეთე, შემოქმედთან ერთად იბრძოლოს ბოროტების წინააღმდეგ...

სილა მისი

„ვარდფურცლობის დღესასწაული“. 2012-2014 წწ. გამოცემა დავით გაბუნის წიგნი-კიდობანი, პოეზია ოთხ წიგნად შემდეგი სახელწოდებებით: „ვარდფურცლობის დღესასწაული“, „კვიან სამრეკლოს ზარები“, „ფერიცვალების ველი“, „სიშორის ფერები“ საერთო სათაურით – „ცისა და მიწის ოთხი ხეივანი“.

ვფიქრობ, ოთხივე წიგნი ორგანულად შეესაბამება და სათანადოდ წარმოაჩენს დავით გაბუნის შემოქმედებითი ცხოვრების ოთხ დროს.

დავით გაბუნამ გაზაფხული პოეტურ კრფის დაუკავშირა. მისი პოეზია – ესაა ორი ქვეყნის განსახიერება სივრცის დამამკვიდრებელ იდეაზე – გაზაფხულში, რომლითაც იწყება სივრცე ამქვეყნად. პოეტი ბუნებაში ეძებს ფერებს, მუსიკას, იდუმალბებს...

დავით გაბუნის თითქმის ყველა ლექსი მელიოდურია და, ვფიქრობ, ის უფრო ტიცინიანით მძაფრი მსოფლშეგრძნების პოეტია. სამყაროსადმი დამოკიდებულების თავისებურება მის ღრმა ინდივიდუალობაშია. ბუნება მისი მხატვრული აზროვნების დაუსრუტელი წყარო, საიდანაც იღვრება ფერები, ბგერები, სახეები, ოქროფერილი მეტაფორები. მისი ლექსებიდან მოგვესმის გადარჩენილი ადამიანისა და ბუნების ერთიანობის მარადიული სიმღერა...

მიუხედავად შინაგანი ფორმის, ქარიშხლიანი წინათგრძნობისა, პოეტი კვლავ მშობლიური ბუნების წიაღში იტყვამს სულს და გადარჩენილი ადამიანისა და ბუნების მარადიული რწმენითაა აღვსილი: „...ისევ ეღვარება ლურჯი თავანი და საოცარი შუქი მოღვლავს, კრთის მთვარისაში იასამანი და ვარსკვლავების მათრობს სიმღერა“ („კრთის მთვარისაში იასამანი“)... და, თუ მეტაფორა საგნის ცოცხალი და მავთი გამოსახვის უტყუარი საშუალებაა, მაშინ დავით გაბუნის ლირიკას თავიდან ბოლომდე გასდევს უჩვეულო შეგრძნებები და განცდები, რომელიც უმაღლეს გავრძნობინებს, რომ პოეტის მიერ დახატული სამყარო ჭეშმარიტად დრამატული, დაუმომწინებელი, პათეტური სულითაა აღბეჭდილი.

დავით გაბუნია გულში „დაგუბებულ სიყვარულს“ მთელი არსებით გადმოღვრის და სიყვარულის, სიჭაბუკის ვენებანი სიყვარულის ცხოველ განცდას ასე დაასურათხატებს: „დავდივარ ტრფობით მთვარე, ვუსმენ ვარსკვლავთა ქორს, ეს ხეივანი მთვარის კვლავ შენკენ მომპყრობებს... ამ ტირიფების რხევას ციდან ეღვრება ოქრო, სიო კვლავ შემოგვეხვევა და მთვარის შუქი, გოგო! ვარ ერთიანად გრძნობა და შენზე მეოცნებე, ქვეყნად ანგვარი ტრფობა არ ახსოვს მთვარეს ბებერს“ („დავდივარ ტრფობით მთვარე“).

მისი პოეტური ნარმოსახე და ასოციაციები ესთეტიკური ელფერით აბრწყინებს მთელ ლექსს და უმთავრესი მანც „მტრედვით მოლულუნე მინაა“, ციდან მოვალთვალე ანგლოზი, მზეზე მოტკაცუნე დაბრანული ფოთოლი თუ მოფლურტულე ჩიტების წეიმა, ლავარდებში მოფართქალე „გულკლამას“ მერცხლები, მეგრული ოდიდან სინათლის ტოტოვით გამმოცურებული გოგო, ცრემლებით დანამული ვაჟას ნუკრი... ეს ასოციაციები რაღაც უჩვეულო სინაზით გვაკვებს და მაღლა გვეწევა...

დავით გაბუნის უყვარს მისტიკურ, თუნდაც მიღმიერ სამყაროდან გადმოტანილ თემატკასთან შეჭიდება, ღრმა და პოეტურია მისი შინაგანი სამყარო...

ვარდფურცლობა პოეტისათვის ახალი ცხოვრების დასაწყისი, ახალი ტალღა, რწმენა და იმედია, რომ ყველაფერი ამ მზისქვეშეთში ახლიდან იწყება.

პოეტის თვალთ დანახული საგანი თუ მოვლენა აღქმულია საინტერესო კუთხიდან. მისი ყველა ლექსი მდიდარია ფერებით, სურნელით, მუსიკით. ყოველი პოეტური სახე მკითხველს ფიქრისთვის განაწყობს. ის თავისუფალია ყოფითი პრობლემებისაგან, რასაც ცხოვრება თავს ახვევს და ამქვეყნად თავის არსებობას მხატვრული სიტყვით „ახალ სამყაროში“ აღბეჭდავს...

„კვიან სამრეკლოს ზარები“. ამ ციკლის ლექსებმა ე. უიტმენის „ბალახის ფოთლები“ გამახსენა: „მეგობარო, ეს არ არის წიგნი, ხელი ახლე და კაცს შეეხები“. – ამ თვალსაზრისით, არ გადავჭარბებ, თუ ვიტყვი: აიღეთ ხელში ეს წიგნი და თქვენ კაცს შეეხებით, ეპოქის სულს შეეხებით, ერის მაჯისცემის შეეხებით...

წიგნის წინათქმვაში ვკითხულობთ: „ყველა საუკუნეს გააჩნია თავისი კომპარები, მაგრამ მე-20 საუკუნე მათ შორის ყველაზე მეტად დაუნდობელი და სასტიკი აღმოჩნდა... მე-20 საუკუნეში ჩემი სამშობლო – საქართველო აღმოჩნდა უკიდურესად რთულ ვითარებაში“ დავითისა და თამარის სალოცავი ხატი დიდი საქართველო, გადამოღლი ნიკოფსიდან დარუბანდამდე, ჯერ მონღოლებმა და თემურ-ლენგმა გადათელეს, ხოლო მოგვიანებით სპარსეთი და თურქეთი შეეცადნენ, ძირფესვიანად ამოეზარათ აღმოსავლეთში ეს ქრისტიანული სარწმუნოების ფორპოსტი.




მე-4 საუკუნის დასაწყისიდან – ეს მაღალი კულტურის ცივილიზებული ქრისტიანული სახელმწიფო, რომელმაც გენიალური ლიტერატურული და ისტორიული ძეგლები აჩუქა კაცობრიობას, რუსეთმა გაიხადა სათარეშოდ და მე-20 საუკუნის მიწურულს კიდევ ნაწილობრივ გააყვანა ის!

როგორ შეიძლება დაივნყოს ისტორიამ 1924, 1956, 1993, 1992-92 და 2008 წლების ტრაგედიები ჩემს სამშობლოში?

დავით გაბუნის გამჭრიახი გონება განსაკუთრებულად წარმოაჩენს თანამედროვე სინამდვილეს. ის სივრცის ფასად, მხატვრული სიტყვით ებრძვის უსამართლობას, უზნეობას, რომელიც ამჟამად მის სასუკვარ საქართველოში გაბატონებული. დაბეჯითებით შევიძლია ვთქვათ, რომ დავით გაბუნია ის შემოქმედი, რომელსაც სრული მორალური უფლება აქვს, პოეტური სიტყვა უთხრას ქართველ ხალხს და ჩაახვედოს ქვეყნის მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. შემოქმედის „მე“ სახიფათო საბეჭნზე გადის. მუდმივად მშვიდობის, ბედნიერების მაძიებელია.

ყველაფრის სწავლება შეიძლება მწერლობაში, არ შეიძლება მხოლოდ მეტაფორის, დეტალის შემწინდის და კომპოზიციური შეგრძნების შესწავლა. ეს ფაქტორები რაციონალურის მიღმაა და მილიანად ალღოს ეკუთვნის.

შემოქმედებითი ინტუიცია, ალღო და რაღაც უჩვეულო ფერისცვალება გაერთობა ლექსში „მდუმარების წუთი“: „წლები მაგონდება სიყრმის, ეზოს შორებდობა ხუთი! მზერა დაზაფრული დედის, მამის მორღვეული სახე! იყო უმკაცრესი ხვედრი, ფიქრი მოგონებებს არხვს... და დროს გამოვტაცე ბავშვმა, ო, ის ტკივილები უხვად! სადაც ქაჩხახებდა შაში და ცრემლს იმზარებდა მუხა! ფამის სარეველა კავთ, ურდო ველურების ტომის! ახლა დარიალის კართან წევხართ მოქანცული ომი!“ („მდუმარების წუთი“). ომით გამომწვეულ ტკივილიან განცდებზე გვესაუბრება შემოქმედი. ვინახავთ



სივრცე ლექსის

სადმე აცრემლებული მუხა? – ესაა უჩვეულო მეტაფორა, რომელიც ინსტინქტითა და პოეტური ენერგიითაა შობილი... დამოფიქრებელი და გამოგნებელია ლექსის ფინალი, რომელშიც შორეული ასოციაციები ესთეტიკურ ელფერს სძენს მთელ გარემომცველ კონტექსტს და, საბოლოო ფაშში, განსაკუთრებული სილამაზით აბრწყინებს მთელ ლექსს. დედის დაზაფრული მზერა, მამის მორღვეული სახე პოეტის მოგონებათა ფარდას არხევს. დაუფინყარი დეტალები: ცრემლიანი რთველი, სევდიანად მოშრიღე ყანა და გულში დაგუბებული ღვარი, „ღარებს“ რომ ვერ პოულობს.

„კვიან სამრეკლოს ზარები“ პოეტის სულის ტილოა, სამშობლოს დაცვის, მასზე ზრუნვის და სიყვარულის ჭეშმარიტი საგალობელი.

პოეტს აძრწუნებს ჩვენი დღევანდელია, ენანება გასხვისებული აფხაზეთი და სამაჩაბლო.

იგი მძაფრი განცდებით გამოხატავს ვნებათა ღელვას და გულტკიებული იტყვის: „ეს ბოლიკი ცისფერი საით მიემართება, ამ დღეების კომპარებს არ დანებდე მთლიანად, ის ღრუბელი მოშალე, რომ მოგირჩეს იარა, ზეცა გამიხალისე ვარსკვლავების მტვენებით, და შორეული ზარის ხმას ღელვით ავედევნებ!“ („საით მიემართება“).

დავით გაბუნია დიდი ტკივილის პოეტია. მშობლიურ ფესვებს ფიზიკურად მონყვეტლმა ტოტმა დევნილობაში ყლორტები იყარა, ეს მის პოეზიაში სილამაზე, მშვენიერება, ინტელექტუალური სიტყვასთან ზიარებაა. მისი ტანჯვა და ტკივილი ყველივით რთავს და ალამაზებს მის პოეტურ სტრიქონებს.

დავით გაბუნისათვის მამული, სამშობლო, ადგილის დედა ყველაფერზე ძვირფასია, ამყობს წინაპართა სისხლით გაპოხიებული ველ-მინდვრებით და ვერ აუტანია: „ჩემი ოცნების ტაძარი მზემ ვეღარ მოახავერდა, ვანყდები ვებრის საზარელს, სული ნაბებით დაბერდა“.

„ფერიცვალების ველი“. ამ წიგნის წინათქმვაში ვკითხულობთ:

„...მესამე წიგნს დავარქვი „ფერიცვალების ველი“. ამ ველზე ხდება ყოველივე ის, რაზედაც ამბობს დიდი ვაჟ-ფშველა: „სადაც პირიზებს ახარებს, იქვე მთხრელი ზევისა, მანც კი ლამაზი არი, მანც სიტყვითი ყვავის“...

დავით გაბუნია ბუნებას სხვა ელფერით აცოცხლებს, ასხივებს, თავის ნიაღმი აწნივებს წინამორბედთა ხმებს, ხილვებს და ხსოვნის ფსკერიდან ისევ მარგალიტებით ამობრწყინდებიან მშობლიური კუთხის სურათები. ეძახის ადგილის დედა, ორკესტრის ხმასავით მემოტირებიან შორეული ხმები, ცრიატი საღამოების ფრაგმენტები. ეს ცალკეული სურათი, წარმოსახვაში გაცოცხლებული, ერთი ადამიანის დროში არსებობის ტკივილის გამოხატველი მარადიული თემის იმპროვიზაციები. საოცარი სიფაქიზითა და ლირიზმითაა დახატული მშობლიური (სოფლის) კუთხის პეიზაჟის პლასტიკური მშვენიერება.

„სიშორის ფერები“ – ასეა დასათაურებული დავით გაბუნის მეოთხე წიგნი, რომელიც პოეტის ორიგინალური ლქსების ორგანული გაგრძელებაა. ეს წიგნი ბევრ რამეზე ჩააფიქრებს მკითხველს, აფართოებს მის თვალსაწიერს. მისი ლირიკული გმირი მარტოსულობისთვის განწირული პილიგრიმია, რომელსაც გულზე ვარდის კოცონი უბრიალებს და მთელი არსებითაა

თა ჩაღრმავებული ეგზისტენციალურ პრობლემებს, სულ უფრო და უფრო რომ წარმოჩნდება დროთა სრბოლაში, როცა ფამთა სვლა უკეთ გამოკვეთს ჩვენი მომავალი ცხოვრების კონტურებს. კარგად უწყის პოეტმა, რომ ადამიანის დაბადებდან, სიკვდილიდან, ემოციებიდან და მსოფლმხედველობიდან ბუნების მოვლენებამდე, თვით უმცირესი მარცვლიდან ბალახის ღეროს აღმოცენებამდე დიდი საიდუმლოა... რომ „არაფერია მზის ქვეშ ახალი“ (ეკლ.1.4.9)...

პოეტის სულიერი მზერა ბავშვობის ულამაზეს ხანას მოგონებებში მოიხიზნავს: „ის ბილიკი რა შორს დარჩა, იმ ყვავილთა შეკვრა...“ და, როცა ბავშვობა წარსულში დარჩა, როცა „ხანმა უნდობარმა“ წარსტაცა სასუკვარი ადამიანებიც, რომელთაგანაც სიყვარულის სინათლე მოლილივება, მათ ხსოვნას ცხოვრების მთელ მანძილზე „სულში დაატარებს“... წუხს პოეტი და ცდილობს, ყოფიერებაში წამოჭრილ კითხვებს გასცეს პასუხი...

პოეტი გლობალურად განიცდის სიკვდილს, დიდი წინაპრების აჩრდილებთან, მიცვალებულებთან გასაუბრებით ცდილობს, გამიფრის სიკვდილის ფენომენი და დაგვისაბუთოს, რომ ის შემაძრწუნებელია, მაგრამ უმშვენიერესი. ალბათ, ამიტომაც ეოცნებება სიშორის ფერები...

დავით გაბუნის უკიდურესი სასოწარკვეთის ფამაც უყვარს სივრცეზე: „ფამი მოდის დაბერების, ვერაფერი შევლის, შენი ხელით ნაფერები გარბის ტყეში შველი... ფამი მოდის დაბერების, ვარსკვლავები გხმობენ, სული, მითხარ, რატომ სტირი, რომ შორდები სოფელს“ („ფამი მოდის“).

ყველა სხვა თვისებებთან ერთად დავით გაბუნია ტკივილის პოეტია – განწირული სულის ღაღადისი მოგვესმის მისი ლირიკიდან. პოეტის მზერა ყოველდღიურ ყოფას ჭვრეტს და, რაც უფრო ძლიერია ტკივილი, ამა თუ იმ ყოფითი პრობლემებით გამოწვეული, მით უფრო მძაფრია განცდილის და გადატანლის გამმოცემის წყურვილი...

„სიშორის ფერები“ ნამდვილი პოეტური ენით შექმნილი ფერწერაა, საგალობელია ადამიანად ყოფნაზე, სიყვარულზე, ბუნებაზე, რწმენასა და მარადიულზე...

მზე, მუსიკა, მელიოდია განწინილი დავით გაბუნის „სიშორის ფერებში“: „საიდან მოდის, ნეტავ, ეს ხმა დილის ხარის, ეს ჩემში ფეთქავს თუ ინთება შენი კამარა? იღვრება დილა, ფრთხილბენ ოქროს ჩიტები და ცაზე ტოტი ცისარტყელას დაეკიდება“...

დავით გაბუნის ყოველი ლექსი ულამაზესი პოეტური გამოცანაა, მისი სულის აღმაფრენა და ერთგვარი ექსტაზი. ის ერთ-ერთი საინტერესო პოეტია ჩვენს დროში, ამიტომაცაა მასთან წარსულის ჩამონატყვები პოეტურ სახეებად გარდაქმნილი ჭეშმარიტი პოეზია.

„ვარდფურცლობიდან სიშორის ფერებამდე“ (სონეტები). დავით გაბუნია თავისი პოეზიით განსაკუთრებულ დამოკიდებულებას გამოხატავს სონეტის მიმართ. სონეტის ფორმა სამართლიანადაა მიჩნეული „პოეტური სიბრძნის განსახიერებად. პოეტური ოსტატობისა და მძაფრი ემოციური მესხიერებით აღბეჭდილი სახეების მოწესრიგებულად, კანონზომიერად წარმოდგენის საშუალებას იძლევა“.

დავით გაბუნის თითოეული სონეტი იკითხება, როგორც დრამატული მონოლოგი, რომელსაც თავისი სივრცე აქვს. ეს სივრცე კი თავისებურია და ორიგინალუ-

რი. ესაა პოეტის მიერ ხილვა სოფლისა და ზესთასოფლის, ამქვეყნიურისა და იმქვეყნიური დაფარული საიდუმლოსი, მთელი კოსმოური სამყაროს ორომტრიალისა. ესაა გზა ბავშვობიდან „გარდასულ სიბერემდე“ (გ. მერჩულე), ვარდისფურცლობიდან სიშორის ფერებამდე...

დავით გაბუნის სონეტები საინტერესო კულტურული ფენომენია, სადაც შემოქმედის მსოფლმხედველობრივი ასპექტები, მისი ფსიქონალიტიკური ნათელობიანი და სტიოციზმთან წილნყარი სივრცის ფილოსოფია არეკლილი-დავით გაბუნია თავის სონეტებში ჩვენი ეპოქის პოლიტიკურ-კულტურული და სოციალური თემები ნამოსწია.

საგულისხმობა, რომ „ცის და მიწის ოთხი ხეივანი“ – ამ საერთო სათაურით გამოცემულ ოთხივე წიგნი გაბუნელი სონეტები პირდაპირ მომდინარეობს პოეტის ცხოვრებიდან. და მანც, პოეტს ესმის: „უნივერსალური რეკვიტორები“, მართალია, არ არსებობს, მაგრამ მისი შინაგანი მე არ ჰგუობს არასტაბილურობას, ბოროტებას, ძალადობას, უსამართლობას, ზნეობრივი ორიენტირების წამდაუნუნე ცვალებადობას, რაც ჩვენს აბსურდულ ყოფაში კიდევ უფრო მეტ მანს იძლევა ურთიერთსწინააღმდეგო სიტუაციების გამძაფრებისათვის და, მეორე მხრეც, წარმოშობს გამუდმებულ დაბნეულობას, ეჭვს, უნდობლობას. და ადამიანი განწირულია, უძღურია, იბრძოლოს არსებობისათვის, თავისუფლებისათვის.

სონეტებში, ვფიქრობ, დავით გაბუნის პორტრეტი გამოიკვეთა, პორტრეტი კაცისა, რომელმაც ეპოეტობა პროფესიად შექვევია, თუმც მშობლიურ კუთხეზე, ადგილის დედაზე ზრუნვას ვერ შელევია, აბაშის წყლის ზვირთებიდან გამოყოლილი სასივრცელო ენერგია მისი პოეტური შთაგონების სათავეა. დაიხ, აბაშის სანახებს, მიებსა და ველებს ყმანვილური აღფრთოვანებით ეტრფის... ყველაზე მკვეთრად ეს მხარეა ამოტვიფრული მის გულში, ეს მხარე უმარებს საძირკველს ცნობიერებაში აღბეჭდილ, მამა-პაპის მიერ მოტანილ ღირებულებებს, სონეტში, როგორც სარკეში, ისე ჩანს წინაპართა გამოციდილებისა და ნანადერძების ჭეშმარიტი ძალა და ხიბლი... „ჩემო აბაშა! კვლავ იდინე ზვირთების მსხვერვეთი, გულო, იმღერე, როცა სევდა მოგვალდება!... საუკუნეებს გადაუჭროლე არწივის ფრთებით, შორს მოიტოვე სიბერე და ფერიცვალება!“ („მე ამ კბოდეზე ბავშვობიდან მიყვარდა დეობა“).

დავით გაბუნის პოეზიაში უსასრულოდ იღვრება თბილი ფერები – ალუბლისფერი, შინდისფერი, ატმისფერი, მძაფრდება განცდა, „უზმანება ვარსკვლავები მოფართქალე ოცნების ცაზე“ და კვლავაც წუთისოფლის ღანდებს ეფერება...

დავით გაბუნის სონეტის ტაქედები ღაღად და თავისუფლად იკითხება. სონეტი მისი სტიქიაა, მისი დეროტა და აღმაფრენა. და თუ მეტაფორა წარმოდგენის ლოგკაა (ეშერსონი), მაშინ დავით გაბუნისა პოეტური ხატები ქმნიან იმ ერთიან, ზოგად შეგრძნებას, რომელიც მზესავით ბრწყინდება მისი მრავალფეროვანი პოეტური სამყაროდან.

და მანც, რა არის ის რაღაც მარადი, რაც ღვთაებრივს მიელტვის ადამიანში, გამუდმებით რომ შეაგრძნობინებს, სადაც სხვაგან რომაა კაცის მარადი, მაღალი სამშობლო? სწორედ ამ კითხვაზე პასუხს იძლევა დავით გაბუნის უმშვენიერესი სონეტები – მაღალი სულია და ნათელი გონის ანარეკლები. თითოეული ტაქედები მისი მსოფლმხედველობის სიღრმიდან მოდის, უცნაურად გაღვლეებს და გრძნობ, როგორი აღმაფრენით ილტვის პოეტი ჭეშმარიტებისაკენ... სამყაროსული ფეხი არომამტი, სინმინდე, პოეტის შინაგანი მზე, ბუნების და ადამიანის პარმონიის, ფორმის, შინაარსისა და ფერის მხატვრულად ამეტყველების ჭეშმარიტებაა დავით გაბუნიაში... „მამულში მხოლოდ პოეზიით გავიდგი ფესვი. რაა პოეტის უკვადება? – სივრცე ლექსის!“

ელდარ ნადირაძე

1979 წლის ზაფხულში მუხრან მატყვარაიანის დედის, ქალბატონი თამარის პანაშვიდზე ვნახე პირველად კოლაუ ნადირაძე. მუხრანის სახლში, „პლენაროზე“, საღამო ხანს მივედი. ჯურხა (არქეოლოგი ჯურხა ნადირაძე) დაძვდა ეზოში. არგვეთში გარდაიცვალა და გუშინ ჩამოვასვენეთ, რომ მიუსამძიმრებ, გადი ქუჩაში, იქ ჩემი მანქანაა და დამელოდეთ, მითხრა და ნამსვე გაუჩინარდა. აუარებელი ხალხი მოდიოდა. კიბზე დასადგომიც აღარ იყო. გამოვიღალე პანაშვიდიდან, ქუჩაში გამოვედი, გავაღე მისი ყვითელი ფიატის კარები და საჭესთან მოვეკალათი. ნახევარი საათის შემდეგ გამოვიდა. უკან მოჰყვებოდნენ კოლაუ ნადირაძე, ვანო ურჯუმელაშვილი და ვალოდია ჯიბუტი (ეს მერე გავიგე), მაშინ საკმაოდ ცნობილი მწერალი ლიტერატორები.



ორი უხვედრა კოლაუ ნადირაძესთან

ქალარა თმა, ხელები – თხელკანა და დაწურული, ცერა თითის ძვალი – ძალუმად გამოკვეთილი, ცხვირი – ძლიერი, ქვის ქანდაკის მსგავსი, რომელიც კიდევ უფრო ამკაცრებს მის მოხუც სახეს.

დალიეს თამარის, მუხრანის დედის შესანდობარი. კოლაუმ პურის ნატეხი ჩაანო ქიქაში, შეაღბო და შეჭამა, მერე მიაყვანა ღვინო. სვამდა ისე, როგორც დანარჩენები. ცოტა ხნის შემდეგ საუბარი გადასწვდა კოლაუს დიდ მეგობრებს. სხვანაირად არც იქნებოდა. საოცარი და სასიხარულო იყო ჩემთვის ყოფნა კაცთან, ვისაც თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები პაოლოსთან, ტიცინთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან და კიდევ სხვებთან გაუტარებია, ვინც იყო მათი სულისა და ხორცის ნაწილი. სრულიად უადგილოდ მიმართა ჩემული შეფასება მიუცე ამ ადამიანთა მოღვაწეობას, ამას კი ვიტყვი, რომ ჩემთვის ისინი მხოლოდ პოეტები არ არიან, ქართული სულის ძლიერება და ნიჭიერება მათ სხვანაირად გამოხატეს, ტრაგიკულად დარდიმანდული ქცევით დაამტკიცეს გმირობის უზენაესი მაქსიმა – „შესაძლოა მოკლა, მაგრამ შეუძლებელია, დაამარცხო“.

„პაოლოს გვამი რომ გაჭრეს, ექიმმა ტყეა აპოილო, ნამოვიღე და სახლში მიქვს ახლაც... ეეს“, ამოიხრა კოლაუმ, მუჭი შემართა, ერთხანს ასე გააჩერა და მერე ნელა დადო მაგიდაზე. ურჯუმელაშვილი დაუცხრომლად ლაპარაკობდა, პირველობის პროტესტული სულისკვეთებით იყო ატაცებული, ჩვენთან ხომ მუდამ ასეა – კაცის სახელს და დამსახურებას არად ვაგდებთ და გამოჩინებულ ადამიანთან უპირატესობის მოპოვებას ლაპარაკის სადავების ხელში ალღებით ვცდილობთ. კოლაუ, რა თქმა უნდა, არაფერს არ იმჩნევდა და ვანოს „ინტელექტუალურ“ შეგონებებს „აბა კაცო“, „აბა კაცო“-თი ადასტურებდა.

დაუშვა ორი თვის ნანატრმა წვიმამ. კოლაუ ძალიან გახალისდა, მაგიდიდან წამოდგა, წვიმას გახედა სიბნელეში, ხელი გაყო და შეუშვირა, „ღმერთო, დაილოცა შენი სამართალი“ ამ სიტყვებით

შემოტრიალდა მაგიდასაკენ, დაჯდა და ცარიელი ჭიქა შესასვებდ გამომინოდა, ენთუზიაზმით იყო სავსე. ჭიქა კი გაუფხვე, მაგრამ შევხედე, ღვინო გვითავდებოდა, ბუფეტი დაკეტული იყო და კატასტროფის მოახლოება ცხადდებოდა. კოლაუს რომ თავი დავანებოთ, როგორია, ხოტბისა და სიყვარულის აზარტში შესული ქართველი კაცი ღვინოს მოაშორე. წამოვდექი. სხვა ფანჩატურებს მივაპურე და, ჩემდა ბედად, ჯერ კიდევ ერთ-ერთ აულაგებელ, მიტოვებულ სუფრაზე ხუთიოდ შენახევრებულ ბოთლ ღვინოს მივავაგე. გადავავსე ერთმანეთში და სამი ბოთლი რქანითელი ოქროს ზოდებივით ჩამოვდგი ჩვენს მაგიდაზე. გაუკვირდა და გაუხარდა კოლაუს – საიდან გააჩინეო.

ცოტა შეთვრა და აშკარად ეტყობოდა, რომ ახლა აქ ყოფნას არაფერი ერჩინა. „ეს ადგილი – ტაბახმელა, თამარ მეფის ბავშვობის სამყოფელია, მისი ბავშვობის ზაფხურები ახლაც ატყვია ამ მიწას. ჩვენო ლამაზო

თავიანი, მაშინ ძალიან იყო მოდამი. ხიდის მოაჯირს მომიხვდა უშნოდ, გამივარდა ხელიდან და გადავარდა წყალში, ეგრევე გადაყვეტი ტანსაცმლიანად, მაგრამ ის ველარ ვიფიქრე, ლითონისთავიანი ჯოხი წყალში რომ ჩაიძირებოდა. გამოვცურე უკან დასველებულმა და იმედგაცრუებულმა.“

რა თქმა უნდა, უფრო რომანტიკული იქნებოდა, ქალის ვერსიას დათანხმებოდა კოლაუ, მაგრამ ეს არ გააკეთა და მე აშკარად დავინახე, რომ ტყუილი, თუნდაც სახალისო სუფრისათვის ასე შესაფერი, მისთვის მიუღებელი იყო. ეს დაამტკიცა თავისი ცხოვრებითაც, მას ეს სახეზეც ეტყობა, ეტყობა თვალზეც, რომლებიც დაფანტული წარბების ქვემოთ გამოცქერაინ და რომლებსაც კიდევ შერჩენიათ სიმართლის მშვენიერების ისეთი ძალა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „მონმენდილი ცის ცქერით რომ ეუფლება ადამიანს“.

მთელი საღამოს განმავლობაში არ დაუჩივლია, რომ დაიღალა, რომ არ დაღუფლეს... სიხალისით იყო

ლისის ქუჩებს დამატარებდა და იმ ხანებში იმ გოგოს გარდა სხვა არაფერი არ მახარებდა“.

ველარ მივედი... რვა წელი გასულა კოლაუსთან შეხვედრის შემდეგ. რომ ეთქვათ, კოლაუ რამდენი ხანია გარდაიცვალა, არც შევიცხადებდი – ალბათ გამოიშვარა-მეთქი, დავიმშვიდებდი თავს.

1987 წლის 20 აპრილია. ვაჟა-ფშაველას გამზირის დასაწყისში ცეკვშირის მალაზიში შევედი, სადაც ისეთი „დეფიციტური“ პროდუქტები, როგორცაა ყველი და სოსისი, საშინლადაა გაძვირებული. შევედი მუჭში გაქაჩული სამი ათმანეთიანითა და ეჭვით: ვითუ არ მეყოს იმისათვის, რის ყიდვასაც ვაპირებ-მეთქი.

ამ დროს კოლაუ შევნიშნე. აცვია ძველი ჩინური „მაკინტოში“, ახურავს თხელი შლაპა. სახე – ქვაში გამოკვეთილი, მიჭყლელი ცხვირი უნარჩუნებს ძველ პროფილს. ხელში ბადე უჭირავს, ბადეში სქელ ქაღალდში შეხვეული ნაყიდობანი. დახლს იქით ყველის ჰაიპარად დაყრილ გროვას გადაავლო თვალი, მერე რალაც იანგარიშა, ყოყმანი დაეტყო. ამ დროს ერთი წითურსახიანი ტიპი გამოვიდა დახლსიქით კარებიდან და როყოფდა უთხრა:

– კოლია, ყველი არ აიღე? – კოლაუმ შეხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

– მე საუკეთესო აგირჩიე, სუფთა, უსუნო. არ აუნონე, გოგო? – მიმართა საყვედურით გამყიდველს. გოგომ რალაც უკმაყოფილოდ ნაიბუზღუნა. მაშინ წითურსახიანი მიიჭრა ყველის გროვასთან, მართლაც ერთი კარგი ყველი ამოარჩია, გამყიდველს ხელებშია ჩაუღო და თვითონ ვიციცის დაძახილზე გარეთ გავიდა. გოგონამ ყველს ერთი ფეცქვი ააჭრა და კოლაუს მიანოდა დასაგემოვნებლად. კოლაუ ღუნედ წაეტანა დანისპირზე ათილი ნაჭერს და პროთეზის კაპუნით ჩანწკა. გამყიდველმა ყველი ანონა, კოლაუს მიუბრუნდა და უთხრა:

– სამი კილოა, შეგიხვიო, ბიძია? – კოლაუ შეყოყმანდა, თითქოს შეწუხდა კიდევ და ისედაც მოთმინებადაკარგულმა გამყიდველმა უკვე მიახალა:

– თუ არ ყიდულობდი, რაზე მანონინებდი ამ ყველს, ბიძია? – კოლაუ თითქოს გამოერკვაო:

– „შვილო, არ გენყინოს, აგერ ბადეში მაქვს კიდევ რალაცები, ეგ ყველი ბევრია, მაგდენს ვერ ვზიდავ, არ იფიქრო, არ იფიქრო... და აღარ დაამთავრა, რა უნდა ეფიქრა გამყიდველს? მაშინ გოგომ ყველი შუაზე გაჭრა, აუნონა, შეუხვია და ბადეში ჩაუღო. კოლაუმ ჯიბიდან გაცვეთილი ბლოკნოტი ამოიღო და მე, მის ზურგსუკან მდგომმა, დავინახე სხვადასხვა მელნით აჭრელებულ ფურცლებს შორის ჩალასტული ოცდახუთმანეთიანები. ფული თითებით შერჩია, ერთი ამოიღო, გამყიდველს გადასცა და ხურდის დაბრუნების მოლოდინში საკმაოდ კარგი ტონალობით ამოიმღერა: „საკალოვსკაია გიტარა, დასიხპორ ვ უშახ ზეონიტ“. მან რა თქმა უნდა, ვერ მიცნო და არც მე გამომიღია თავი, მაგრამ ჩემ უკან დგომას ნამდვილად გრძობდა და ეს ნამდვილება უთუოდ მისი არტიტული ბუნების გამომყვანება იყო, თუნდაც უცხო ადამიანის თანდასწრებით, მკვეთრი ხაზგასმულობით იმისა, რომ კიდევ ცოცხალია და არსებობს.



დედაო“ – რა კარგად თქვა ვაჟამ, იმ სულმნათმა და ისე დაწვრილებით მოყვა რამდენიმე ეპიზოდი ჩვენი მეფე-ქალის ცხოვრებიდან, გამიკვირდა, რადგან, პოეტს თუ ისტორიის ცოდნა ესაჭიროებოდა, მაშინ ჯერ კიდევ კარგად არ ვიყავი გარკვეული.

გალაკტიონის თემა თავისთავად მოვიდა. უნდა ვთქვა, რომ მის ქებაში დიდი ენთუზიაზმი არ გამოუმჟღავნებია. „პატარა ერებს ეროვნული სულისკვეთების გაღვივება ესაჭიროებათ, მისი პოეტი მემბრანასავით უნდა გრძობდეს თავისი ხალხის სუნთქვას, მუდამ უნდა მოუნოდებდეს სამშობლოსათვის, წმინდა პოეზია ასეთი სამსახურისათვის არ გამოადგება, გალაკტიონს აკლდა ეს თვისება, მსოფლიურად აყენდა“. ჩემი აზრით, ეს შეფასება გარკვეულად შესაწყნარებელია, თუმცა აქ, ბუნებრივია, აშკარად ჩანს გალაკტიონის მიუწვდომელ სიმაღლეზე დგომის პრობლემა, რომელიც მუდამ აშფოთებდათ არათუ კოლაუს, არამედ მისი მომდევნო თაობის ქართველი პოეტების სულსაც.

საუბრობდა ცოცხლად და გასაგებად და ამ დროს ჯურხამ მიანოდა: „ბატონო კოლაუ, გამიგია, ვითომ ერთ ზამთარს, თეთრ ხიდზე მიმავალი უცნობი ქალბატონისათვის ქარს ქუდი მოუხდია და რიონში გადამხტარხართ მის ამოსატანად...“ „არა, კაცო, არა, – ხელები გაასავსავა კოლაუმ. – ქალის გულსათვის არ ყოფილა. ჯოხი მქონდა ერთი მოოქრულ-

სავსე, მხოლოდ პაოლოს კვლავ გახსენებისას თავი ჩაქინდრა და დანანებით შეეკითხა თავის თავს: „მე რატომ უნდა ვიყო ცოცხალი?“ ამ ფრაზამ უნებლიეთ გამახსენა მისი ლექსის სტრიქონები: „იქნებ მიმიძღვის, იქნებ მიმიძღვის, რაიმე ცოდვა-ბრალე. იქნება სჯობდა, რომ დაეთხარათ ჩემთვის ორთავე თვალი... და აი, ახლა, ვითოლე მინდვრად, დავრჩი დაღვინილ ფრთებით, ბალახ-ბულახმა უხვად დაფარა ჩემსკენ სავალი გზები“...


თბილისში სადარბაზოს კართან მივაცილე, ზემოთ აყოლა არ დამანება. დიდი ხანი არ მიშვებდა ჩამორთმეულ ხელს, დამანახა თავისი ვაზით მორთული აივანი და მითხრა „აქ ვცხოვრობ. ნიგნს რომ შეგპირდი, აუცილებლად გაჩუქებ, მოდი, ოღონდ აუცილებლად გამომიარე“. დავეშვიდობეთ ერთმანეთს, ჩავჯექი მანქანაში და კიდევ ერთხელ გავხედე: იდგა ნეონის ნათურის ქრისფერ შუქზე ხმელი და შემართული, ძველსურნელიანი დიდი კაცი, რომელსაც ფეხი არ მოუცვლია ადგილიდან, სანამ ჩვენი მანქანა არ მიეფარა მოშორებით მდგარ კორპუსს.

„ერთხელ უნდა მოვასწრო და ვნახო კიდევ“, გავიფიქრე გულში მტკიცე რწმენით მოცულმა. მივალ, ვნახავ, კიდევ ერთხელ შევხედავ მის ველარდაბლვერილ სახეს. მერე ჩვენი გზები სამუდამოდ გაიყრება და, როცა საუკეთესო ნაღვლიან გუნებაზე ვიქნები, აუცილებლად გამახსენდება: „პატარა სევდა, პატარა დარდი თბი-

ზახარ პრილაპინი

მსუბუქი და ნარკოპალი სსოპრაპის აპგაპი

პუბლიცისტური წერილების ნიგნიდან (2019)



უკან მიიხედო და არ ატირდა

მაგრამ განა მხოლოდ დედაქალაქი მოექცა მოდური ტრენდების გზაგასაყარზე და ჭკუიდან შეიშალა!

შორს წასვლა არ დაგჭირდებოდათ, საკმარისი იყო, ნებისმიერი ქალაქის თუ სოფლის კლუბში შესულიყავით, სადაც ჩემი თანატოლი ახალგაზრდები თავისუფალი დროს ფრიად ერთფეროვნად ატარებდნენ. ნორმალური ბიჭები სპორტულ შარვლებზე ნითელ ზოლებს იკერებდნენ და მთელ უბნებზე ასე, ლამპასებით დაიარებოდნენ: ახალი დროის ინდუსტრიული კაზაკები? უბრალოდ ყვეყნები? თუ ვინ იყვნენ? ანდა გოგონების სახის შეფერილობა თუ გახსოვთ? მათი განსაცვიფრებელი ვარცხნილობები?

ის თუ გახსოვთ, უფროსკლასელი გოგონები თმას რა ფრად იღებდნენ? იმ წარმტაც ფერებს ყველაზე ველური ჯუნგლი, ჯუნგლის ყველაზე საზრიანი ცხოველებიც კი ვერ გაიმეორებდნენ. ბებერი რომენი ქამელეონისათვის ვინმეს რომ შეეთავაზებინა, ჩვენი ქვეყნის ცვლილებათა ეპოქის უფროსკლასელი გოგონას ვარცხნილობაში დაიმალიო, ნამდვილად გაგიუღებოდა! - თავის ყველა შესაძლებლობას მოსინჯავდა, ჩართავდა რეჟიმს „შეფოტგომის ხე“, „კაშკაშა ყვითელი ფოთლები“, „ბეჰემოტის ზურგი“, „ზესკნელის ტალახი“, „ბრელო“, „გაქვავებული ლავა“, „ლამის ხანძარი“, „ჩაღის სახურავი“, „ბანანი ვარ, უბრალოდ ბანანი“, „დაბრუნდა მსოფლიო გამყინვარება, ბოლო ორასი ათასი წლის მანძილზე პირველი, არც მთლად წარმატებული თოვლი მგვილია“, „პო, კარგი, კარგი, ახლა გველი ვარ, სიმშვიდეს ვინარჩუნებ“ - და მორიგი მცდელობისას ბუშტივით გასკდებოდა. მაინც რას ისხამდნენ ფაფრებზე? ან რით იხვევდნენ? სად პოულობდნენ პომადებსა და ტუმს, თავი ასეთ მდგომარეობამდე რომ მიეყვანათ? დემონები! ნამდვილი გზააბნეული დემონები იყვნენ.

კიდევ ბოტფორდებიანი გოგონები მახსოვს - ეს გრუნადერის ჩექმა იმხანად გაბედულებისა და პროგრესულობის ნიშანი გახლდათ. მახსოვს, მომღერალი ვალერია ასეთი ჩექმით სცენაზე გამოდიოდა, ხალხურ სიმღერას მღეროდა; ზოგი ჩემი თანაკურსელიც ასეთივე ჩექმით დადიოდა, ყოველ შემთხვევაში, მანამ, ვიდრე ასეთივე ჩექმით არ შეიმოსა განათებული შარავლების გასწვრივ იღბლის მაძიებელი მსუბუქი ყოფაქცევის ყველა ასული. დღეს, ჩემი ვარაუდით, ასეთი ჩექმის ჩაცმა საროსკიპოშიც კი მოერიდებათ, თუ არ ჩავთვლით რაიმე ყოველდღიურ ნარმოუდგენელ როლურ თამაშს, ვთქვათ: „მადამ გრენადიერ თავის განვრთნილ ჯარისკაცს სჯის“.

იმავე 1991 წელს ნამდვილად ვიცოდი, ჩემს კლასში ნარკოტიკი არც ერთ მონაფეს არ ჰქონია გასინჯული. მაგრამ სამი კლასით უმცროსთა შორის 1995 წლისათვის უკვე გაგიჭირდებოდათ ისეთის მოძებნა, ერთხელ მაინც რომ არ გაესინჯოს ბარბიტურიდან მეტადონის ჩათვლით - ამ ყველაფერში დაწყებითი სკოლის მონაფეებზეც კი ერკვეოდნენ. ნარკოტიკებმა ყველა სხვა მოდა გადაფარა.

იმ მასწავლებლებსაც, ბევრ ჩვენგანს რომ ასწავლდნენ, რო-

გორც ჩანს, წლების განმავლობაში აგრეთვე რაღაც-რაღაცები ჰქონიათ დასამალი. ოთხმოცდაათიანი წლების დასასრულს ჩემი მშობლიური პატარა ქალაქის ერთადერთი სკოლა 12-დან 2 საათამდე ყოველდღიურად იკეტებოდა: აბა, მასწავლებლები ხომ არ გამოტოვებდნენ მორიგ სერიას რომელიღაც სერილისა, სადაც „ალარ მახსოვს, ვინ ტიროდა - მდიდრები თუ მონაქალი იზაურა, - და მონაფეებთან ერთად თავპირისმტვრევით გარბოდნენ იმის სანახავად, თუ რა ბედი ენეოდა მეტის, მულატ რა მთლად გამოუსწორებლად შავკანიან პერსონაჟ ქალს. მერე კი ბრუნდებოდნენ და ბავშვებს ისტორიას, რუსულ ენასა და დოსტოევსკის ასწავლიდნენ. სახელმწიფოს, სამართლისა და სალი აზრის საფუძვლებს. ნუთუ ეს ჩვენს თავს ხდებოდა?

დღეს, ასე გვეჩვენება, ვნებები მეტ-ნაკლებად ჩაიხრია. ის საღებავიც გამოილია, რითაც საბრალო გოგონები ფაფრებს იღებდნენ. არბატზე სავესებით ნორმალური ადამიანები მიმოდიან. მასწავლებლები, თუნდაც ჰქონდეთ ლათინურ-ამერიკული „საპნის“ ცქერისაქვე მიდრეკილება, საქვეყნოდ მაინც არ ამზეფურებენ. ახალგაზრდები ქვეყნად ყველა „ბორბლის“ გასინჯვას ალარ ცდილობენ: უკვე ბევრს მოესხნება, რომ ამ ბორბლებმა შეიძლება მოუსვლელშიც გაგაქოლონ. „ფრიკებს“ მათთვის განკუთვნილი ადგილი უკავიათ და მხოლოდ თავიანთ შემოწმებულ წრეს ალაგზნებენ და არა მრავალმილიონიან აუდიტორიებს.

და მაინც, ვიდრე რაიმე გაგიტაცებდეთ - სულ ერთია, რა: პირსინგი, დაივინგი, შოპინგი, ლიზინგი, აუთქამინგი, დაუნშიფტინგი - ნამით შეჩრდით და საკუთარ თავს ჰკითხეთ: „ყველაფერი რიგზე მაქვს? მეტიმეტად მოდური ხომ არა ვარ?“

ასამდე დაითვალეთ. ან ათამდე მაინც. ყველაფერი რიგზეა? მაშ, წინ

რუსეთის მთავარი დემოკრატი

„რუსი ადამიანები ქვეყნად ყველა სხვაზე უფრო მეტად არიან სიმართლეს მოწყურებულნი; არაფერს ისე არ აღიარებენ, არ თანაუგრძნობენ, როგორც სიმართლეს“, - თქვა თავის დროზე ივან სერგის ძე ტურგენევიძა.

რუს ადამიანზე დღეს რას ალარ ამბობენ. ამბობენ, სიმართლეზე თვალს ხუჭავსო. იმასაც ამბობენ, საკუთარი თავიდან „საბჭოელი“ ვერ გამოდევნაო.

ამას, როგორც წესი, ის ადამიანები ამბობენ, ვინც ოთხმოცდაათიანების დასასრულს და ოთხმოცდაათიანების დასაწყისში პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გადატრიალება სწორედ „საბჭოელთა“ ნყალობით მოახდინა.

ლიბერალურ-ბურჟუაზიულმა რევოლუციამ იმიტომ გაიმარჯვა, რომ „საბჭოელებმა“ რეფორმატორებს დაუჭირეს მხარი.

ჯერ კიდევ მახსოვს „პერესტროიკის“ ეპოქის ადამიანი. თვალეებით გამუდმებით რაღაცას ეძებდა. სულ ხელებს იქნევდა და წუთის წინ მოსმენილს ნაცნობ-მეგობრებს უამბობდა. გეგონებოდათ, გამუდმებით მაღალი სიტყვ ექვსო. თითქოს სულ გაყრისა თუ გადაბარების პროცესში იყო: ესა თუ ის ნივთები ჰქონდა წამოსაღები, ესა თუ ის საქმეები წესიერად დასასრულებული, ისე კი... ჯანდაბასაც წაუღია მთელი ეს უღიმამო ცხოვრება!

„საბჭოელებმა“ გულწრფელად ირწმუნეს, რომ სიმართლე „პერესტროიკის“ უსტაბაშების“, ნორ-

მი ბურჟუაზიის, ბორის ნიკოლაევიჩის, გაიდარის შვილიშვილის, „დემოკრატიული არჩევნებისა“ და „იაბლოკოს“ მხარეზეა.

ათიოდე წლის წინათ ქვეყნის თითქმის ყველა მჭევრმეტყველი, მწერალი თუ მომღერალი დემოკრატი იყო. „იმპერიულისა“ თუ „საბჭოურისადმი“ სიმპათიის აღიარება იმხანად საკუთარი ინტელექტუალური ჩამორჩენილობის, სიველეურის, ტყურობის გამომყვანებას ნიშნავდა. ამის გამო „საბჭოელს“ რომ გინოდებდნენ, მაგას კიდევ რა უჭირდა, - სავსებით შეეძლოთ, ცენტრალური არხის ეთერში „ფაშისტები“ ეწოდებინათ.

წამყვანი პოსტსაბჭოთა გამოცემების ფურცლებზე საარაკო მასშტაბებით დაბეჭდილმა სიმართლემ (თუ „სიმართლემ“), სულ ცოტა, ორას მილიონ ადამიანს აურიაც გონება.

მათ, ვინც დღეს განურჩევლად ყველას „საბჭოელებად“ რაცხს, ნეტავ, ის ანტისაბჭოური მიტინგებიც „საბჭოურად“ მიაჩნიათ, მთელ ქვეყანას რომ იყო მოდებული, და ელცინისა და დემოკრატებისათვის მიცემული თელი ის ხმებიც?

სინამდვილეში ხომ თვისობრივად საპირისპირო რამ მოხდა.

საბჭოური ჩამოსხმის რუსმა ადამიანმა „პერესტროიკის“ ხანაში მართლაც შეითვისა სხვადასხვაგვარი სიმართლე - თანაც არა მხოლოდ „ლიბერალური“, არამედ „ნაციონალისტურიც“ - და შთაგონებულად, გაშმაგებითაც კი შეუდგა ყოველგვარი სიყალბის გამოსწორებას.

მაგრამ ინფორმაციის იმ უწყვეტმა ნაკადმა, რაც უკანასკნელი ოცდახუთი წლის მანძილზე მიწოდებოდა - ეს კი გრძელი ვადაა! - პოსტსაბჭოური ტიპის რუსი ადამიანი მორიგჯერ აიყვანა ცნობიერების სრულიად ახალ დონეზე.

ერთი მხრივ, „ლიბერალებმაც“ და „ნაციონალისტებმაც“ ანტისაბჭოური თამაშებით გადაამალაშეს, თუნდაც იმით, რომ წლიდან წლამდე განუწყვეტილვ ასაჯაროებდნენ რიცხვებს, სინამდვილეს არანაირად რომ არ შეესაბამებოდა (10, 20, 30, 60 მილიონი, 110 მილიონი რეპრესირებულიც კი).

ადამიანები მზად იყვნენ, მონანიებინათ, ინანიებდნენ კიდევც და საკუთარ ცოდვებს ძრწოლით დასცქეროდნენ, მაგრამ რილასთვის აპკიდეთ ოცჯერ, ოცდაათჯერ, ასჯერ მეტი მსხვერპლი? მაინც რა გულუხვობაა ეს?

ოთხმოციან, ოთხმოცდაათიან, თვით „ნულოვან“ წლებშიც კი ფალსიფიკაციები ცხოვრების მრავალ სფეროში შეიჭრა - თუ ყველაში არა!

საბოლოო ჯამში, „საბჭოელები“ (ანუ ჩვეულებრივი რუსი ადამიანები) „ლიბერალებსაც“ გაუწყრენენ და გაშმაგებულ „ნაციონალისტებსაც“, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ სიმართლის გაგება არ სურდათ - ტყუილი ვერ აპატიეს. სწორედ სიმართლეს გამოეცხადებოდა.

ამგვარად, „პერესტროიკის“ წლებში შექმნილი ვითარება საკუთარ ანტიპოდად გადაიქცა.

ხალხი ჯერ საბჭოთა სისტემას გაუნანყებდა მასში არსებული ტოტალურად გასაიდუმლოებული ველების გამო, რამაც საშუალება არ მოგვცა, მომხდარი ეროვნული კატასტროფები - „ნითელი ტერორი“ დაწყებული, კოლექტივიზაციით დამთავრებული - ჯეროვნად შეგვეფასებინა; ამით შეურაცხყოფილმა ხალხმა ეს სისტემა დაანგრიდა, მიუხედავად იმ სიკეთისა, რაც მისგან მიიღო.

შემდგომ ამისა ხალხმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო იმ შე-

მადრწუნებელი მსხვერპლის გამო, რაც ბურჟუაზიულმა რევოლუციამ მოითხოვა, სახელმწიფო საკუთრების ძარცვის არნახული მასშტაბების გამო, ქვეყნის დაშლის, მოსახლეობის მასების გალატაკებისა და უახლესი პროპაგანდის ურცხვობის გამო, და ამ ყოველივემ უბიძგა, ყოველად დემოკრატიულად გაეწყვიტა კავშირი იმ ელიტასთან, ვინც რუსეთს „თავისუფლება“ მოუტანა.

ისღა გვრჩება, ვთქვათ, რომ ერთადერთი დემოკრატი რუსეთში ხალხია.

მძლავრი წნეხის მიუხედავად, ის დროის გარკვეულ შუალედებში ახორციელებს ტოტალურ გადატრიალებებს - პოლიტიკურ სისტემაში კი არა, არამედ, პირველ რიგში, საკუთარ ცნობიერებაში.

ვაი იმ ხელისუფლებას, რომელიც მოსახლეობის მოტყუებას სერიოზულად განიზრახავს.

„ხალხს მხოლოდ ის უმაღლეს სიმართლეს, ვისაც მისი მოტყუება და საკუთარი ჩამორჩენისათვის მართვა სურს“, - უთქვამს ნამოლენონს, თვითონაც არაერთხელ რომ მიუცმართავს პოლიტიკური სპეკულაციებისათვის.

არსებული მოსახლეობა თანახმაა, რეჟიმი რამდენადმე გამკაცრდეს და, სხვათა შორის, ესეც დემოკრატიული ცნობიერების ნიშანი გახლავთ: მაგალითად, აშშ-ში ტყუპი კომპიების დამხობას მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების სერიოზული შეზღუდვა მოჰყვა და მოქალაქენი ამაზე შეგნებულად ნავიდნენ.

მაგრამ მოსახლეობა ვერასოდეს შეურიგდება სიმართლეზე მისული წარმოდგენების შეზღუდვას უახლესი - სხვათა შორის, სავესებით თვითმარქვია - რუსული არისტოკრატის ძალაუფლებისა და ფინანსური კეთილდღეობის სასარგებლოდ. დიახ, მოსახლეობამ ერთ მშვენიერ დღეს გადასცა ამ არისტოკრატის ფინანსური ნაკადების მართვისა და ეკონომიკური მანიპულაციების წარმოების უფლება. მაგრამ, როგორც გადასცა, ისევე შეიძლება წაართვას კიდევც. „მომავლის საუკეთესო წინასწარმეტყველები წარსულია“, - ამბობდა ბაირონი.

რუსული ჩამოსხმის მთელ ამ ჩიკაგოელ ჯველებს, „შვიდი ბანკირის“ ეპოქის მოღვაწეებს ეჭვი არ ეპარებოდათ იმაში, რომ ქვეყანა მათი იქნება. და სად არის დღეს ბევრი მათგანი?

„პერესტროიკის“ წინა პერიოდის საბჭოთა ჩინოსნებიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მართვის ბერკეტები ხელთ აქვთ. მერედა რა ბედი ეწიათ?

პირველი მონვევის ბოლშევიკურ ელიტასაც სწამდა, რომ ქვეყანა ლავებსშუა მოიქცია.

რომანოვები დინასტიის მესამესე წლისთავს ზეიმობდნენ და ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ მეოთხსესაქს იზეიმებდნენ.

მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ავანსცენაზე მთავარი რუსი დემოკრატი გამოდიოდა და არჩევანსაც აკეთებდა.

ყოველი მისი არჩევანი უკიდურესად მტკივნეულია. მისთვისაც და სხვებისთვისაც.

ეს ეროვნული დემოკრატიის საზღაურია.

სიმართლის ასეთი დიდი სიყვარული აქვს ჩვენს ხალხს. ის თავდაცვის ინსტინქტზე უფრო ძლიერიც კია.

სიმართლის სიყვარული რუს ადამიანს თავდაცვის ინსტინქტზე უფრო ძლიერად ახასიათებს.

თარგმანი

ტატა კოტრიკაქე

შალვა ელიკაშვილი

ხედავ რამეს? დაგვალამდა თურმე როგორ, გეშინია? ცოტა ფრთხილად, მინა ცურავს, დამეყრდენი, გინდა, ცოტა შევისვენოთ? დაველოდოთ, სანამ მთვარე გამოცურავს.

უკვე მოჩანს, გაუჭრია გუმბათს ზეცა, ტაძარი დგას შემოქმედის სასოებით. ხომ გითხარი, ღამაზია ჩუქურთმები ხის ტოტებში გადახლართულ ასოებით.


ამბიონზე ნაქადაგარ ყოველ სიტყვას ქვებში სძინავს, ჩამოშლილებს ეკვდერიდან, შიგნით თბილა, მოდი, თვალი შეაჩვიე, წმინდანები ლოცულობენ ფრესკებიდან.

შენც ხომ ამჩნევ ჩიტისხელა ქერუბიმებს? ალისფერად აფსიდასთან როგორ კრთიან, ნეტარებენ ხატების წინ უცოდველნი, ცეცხლოვან ფრთებს გამალებით, ნაზად ხრიან.

დაფრინავენ, ხედავ, როგორ გილიმიან? დაგინახეს, სიხარული გაუღვივე. ველარ ნახავ, დამიჯერე, ვერასოდეს, გაუღიმე, ანგელოზებს გაუღიმე!

მწერლის პოზიციები პოეზიისა

2021 წელს გამოვიდა წიგნი „ზე... აღმოსევდილი - ლევან გოთუა“, რომელიც ეფუძნება სადისერტაციო ნაშრომს „ლევან გოთუას პუბლიცისტური და ეპისტოლარული მემკვიდრეობა“. მისი ავტორია პოეტი თამარ შაიშველაშვილი.



წიგნის რედაქტორები არიან: თემურ ჩალაბაშვილი და დალი ჩიკვილაძე, რეცენზენტები: სოსო სიგუა, ნინო მამარდაშვილი, ქეთევან შენგელია, მანანა ასათიანი. წიგნი მკითხველს საინტერესო ცნობებს აწვდის ლევან გოთუას პიროვნებაზე, მისი ცხოვრების მთავარ საფეხრალზე... აქ წამოწეულია ისეთი საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია ერისა და ქვეყნისთვის - როგორ და რაში ხედავდა

მწერალი ქვეყნის კეთილდღეობას... ლევან გოთუას სამივე გადასახლება 22-წლიან პერიოდს მოიცავს და ქვეყნის სიყვარულსა და ფიქრში გატარებულ ამ პერიოდში იგი აქტიურად წერდა, ფიქრობდა...

თამარ შაიშველაშვილმა საინტერესოდ წარმოადგინა მწერლის პუბლიცისტური ნერილები, ნარკვევები. მაგალითად, „ხედავლეული“, რომელსაც საინტერესო ისტორია აქვს, აქვეა განმარტებული ნარკვევის სათაური - თუ რატომ ეწოდა ასე... მკითხველის ყურადღებას მიიპყრობს 1960 წელს გამოცემული კრებული „მეზავრული კრილოსანა“ (სამეზავრო ნარკვევების ციკლი), „ქარი უმთვარო“, „მრუბი ტიალი“... ლევან გოთუას „პორტრეტების გაღერვა“ იმითაა მნიშვნელოვანი, რომ აქ წარმოდგენილია სხვადასხვა მწერლის, მსახიობის... ზოგადად, სხვადასხვა ხელოვანი ადამიანის სახე.

დასაფასებელია თამარ შაიშველაშვილის შრომა. მან ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხზე, რომელიც ენათმეცნიერებისთვის საინტერესო საკვლევ მასალას წარმოადგენს: ლევან გოთუას სიტყვათწარმოების თავისებურებები - „გველზევული“, „გულსაზრუნავი“, „ძე-ადამიანი“, „მნათე-მეზარე“, „ძეგლთმფარველობა“, „თვალ-სარკმელი“... აქ სიტყვათწარმოების უამრავი მაგალითია მოხმობილი. წიგნის ავტორს ყურადღების მიღმა არ დარჩენია ის, რომ ლევან გოთუა ძეგლებს არ უწოდებს „ძეგლის კომპლექსს“, არამედ „ძეგლის ნაერთს“, ტყეს - „მწვანე აბჯარს“, კულტურულ ძეგლებს - „ჩუქურთმიან აბჯარს“... ეს და სხვა საინტერესო ფაქტებით ამდიდრებს წიგნს, რომელსაც ბოლოში ფოტოსურათებიც ერთვის. აქ შესანიშნავად იხატება ლევან გოთუას პორტრეტი, რისთვისაც თამარ შაიშველაშვილი უთუოდ იმსახურებს მკითხველის მაღლიერებას.

ბაია ჭყონია

უერთგანეთოდ განვლილი წლები

ირაკლი სამსონაძის პიესა სცენაზე

რუსთაველის, თელავისა და თავისუფალი თეატრების ერთობლივი პროექტით განხორციელდა ირაკლი სამსონაძის პიესის „როცა ძალიან მოგეწონება“ დადგმა. პიესა მოგვითხრობს თანამედროვე ცხოვრებისეულ და მეტად გავრცელებულ პრობლემებზე, როდესაც ბანკში ჩადებული ბნის დაკარგვას ადამიანთა ზნეობრივად გაუმართლებელი და დაუფიქრებელი გადაწყვეტილება მოსდევს. აქედან გამომდინარე, რთულდება ოჯახის წევრთა ურთიერთობები. რეჟისორმა ავთო ვარსიმაშვილმა მამა-შვილის ფსიქოლოგიური დრამა საზოგადოებრივ და ადამიანთა სულიერი მარტოობის პრობლემებს მოარგო, ეს პრობლემები ახლო წარსულში ხშირი მოვლენა გახლდათ და დღესაც აქტუალურია. საინტერესოა ისიც, რომ ეს პიესა 6 წლის წინათ დაინერა და პირველად მხოლოდ ახლა დაიდგა.

ამავე დროს, აფორიკებს საკუთარ ქალაქში სხვის ბინაში მდგმურად გადასვლა, რაც მისთვის წარმოუდგენელია და სულიერ ტკივილს პატივმოყვარეობის შელახვაც ემატება, თუმცა რაღაც საიმედოს თქმას ელის შვილისგან, რომელმაც,



მოხელი დროის მსხვერპლად ჩანს, შემდგომ - საკუთარი შეცდომების მომხანინედ, მოგვიანებით - კაზინოს მოთამაშედ და ნარკომანად, მეუღლეზე მოძალადედ... ბოლოს ცხოვრების თავიდან დაწყებას ცდილობს და მომავლის იმედიც უწინდება. ამ ფსიქოლოგიურ გადასვლებს მსახიობი ბუნებრივად აღწევს და დაშვებული შეცდომების გამოსწორებას ცდილობს, თუმცა უშედეგოდ. ამის მაჩვენებელია მამასთან აღსარებაც, სადაც დაუფარავად უყვება კაზინოში ერთხელ მოგებით გამოწვეულ ტკბობაზე, ომში ყოფნისას (უნდა ვიგულისხმობთ აფხაზეთის ან სამაჩაბლოს კონფლიქტები) ნარკოტიკის შეჩვევაზე, ახალგაზრდობის ოცნებების აუხდენლობით გამოწვეულ გულის გატეხვაზე და წუხს, რომ ცხოვრებამ ამ ქაოტში ჩაითრია. ამას ემატება ცოლთან კონფლიქტი, წინასწარ აწყობს წინისთან სათქმელ ტექსტს, აცნობიერებს ჩადენილ საქციელს. ესეც ტიპური სურათია. მაყურებელი ცხოვრებაში ათასჯერ ნანახსა და გაგონილს კიდევ ერთხელ სცენიდან ისმენს და ხედავს. ზაზასთვის ბავშვობის მოგონებები სულიერი შვების მომგვრელია, ზნეობის შერჩენის ნიშნად პერიოდულად დედის სურათს დასცქერის, თუმცა გამოსავალს ვერ პოულობს.



მამის დადუკითხვად, ბიზნესსაქმიანობისთვის ბინა ბანკში ჩადო. იგი აცნობიერებს, რაც სჭირს, მაგრამ უჭირს საკუთარი სახლის დატოვება. მით უმეტეს, როცა მეუღლე ერთი წლის წინათ გაასვენა ამ კედლებიდან, რომლებსაც „ბევრი ახსოვთ“. პაატა გულიაშვილის ზაზას სიტყვის დაძვრა უჭირს, მაგრამ უნდა, მამას თავი იმედიანად მოაჩვენოს. ცდილობს თავის მართლებას, კვლავ ფეხზე დადგომის იმედი აქვს, მაგრამ უფრო მამის გასამხნეველად ლაპარაკობს. არადა, ნერვიულობს, მისი ცოლიც ხომ შვილთან ერთად ამ ამბის გამო წავიდა სახლიდან. რეალურად კი მხოლოდ ნაყიდი „თეთრი კარკასის“ იმედად არის. ამ საუბრისას თორნიკე ცდილობს, მოვლენებს უფრო ღრმად ჩასწვდეს, რაც ზაზას ალიზინებს. ამიტომაც ლელავს, მაგრამ არ უნდა, შვილმა მისი განცდები შეამჩნიოს. იგი ხედავს, ზაზას იმედიანობა მოჩვენებითია. ახსენებს იმ დაუდევრობას, რაც გადამზიდავ ფირმაში წილის გაყიდვისას გამოიჩინა, რაზედაც ზაზა სტვენით პასუხობს და ასე ცდილობს ვითარების შემსუბუქებას. ამავე დროს, თორნიკეს შვილიშვილის დაკარგვაც ადარდებს და ემოციური მოზღვავეების ამოფრქვევისას პირდაპირ ეუბნება - სად შენი და სად წამალი. მის გულგატეხილობას ისიც ამძაფრებს, რომ ეგონა, შვილთან ძმაკაცური ურთიერთობა ჰქონდა და არაფერი გამოეპარებოდა.

ზაზა თანდათან იძაბება, სინდისის ქენჯნას გრძნობს და გულწრფელად, ოღონდაც ისტერიკულად პასუხობს - წამალი გადავაგდეო. ამ აღსარებით თითქოს შინაგანად გათავისუფლდა, მაგრამ რეალობასთან შეგუება უჭირს. იგი ყოველივეს გულწრფელად განიცდის, დამნაშავედ გრძნობს თავს და ცრემლებამდეც მიდის. პაატა გულიაშვილის გამირი ხედავს, რომ მამას სიბერე გაუმწარა, თუმცა მამაც გრძნობს თავს დამნაშავედ - შვილს რომ სათანადო ყურადღება ვერ მიაქცია.

მსახიობი პაატა გულიაშვილი ზაზას სახეს თანდათანობით ხსნის. ჯერ ულ-

ვანო იანტელიძის თორნიკე განიცდის შექმნილ ვითარებას და ამავე დროს ცდილობს, თანაურძმოს შვილს, გვერდით დაუდგეს და მდგომარეობა შეუმსუბუქოს. ამიტომაც თითქოს გამართლებასაც პოულობს - ქვეყანაც დაინგრაო... გოგო გოგოს და ბიჭი ბიჭს აღარ ჰგავს და მოვლენების გადაფასებას ვერ ეგუება. რძალსაც ეხმარება ტელეფონით, დაბრუნებას თხოვს და, უარის მიუხედავად, იმედს არ კარგავს, მეუღლის სურათს გახედავს - ნინო მაგარი გოგოა, ისეთი თოქო გვარუქაო... მამა-შვილი გარდაცვლილი ქეთევანის სურათთან პოვეზენ დროებით შევებას. ისინი ახლა ნანობენ უერთგანეთოდ განვლილ წლებს, დიდ სულიერ სიცარიელეს და ნოსტალგია ეძალებათ, თუმცა საბოლოოდ მამა-შვილი სცენას ერთად ტოვებს, რაც იმედის ნაპერკაღს აჩენს. მაყურებელიც ნათლად ხედავს ამ ურთიერთობის ჩრდილ-ნათელს და ამიტომაც ემოციურად ადევნებს თვალს საქეტაკლის მსვლელობას, თანაუგრძნობს გამორებს.

ბუბაზ მებრალიძე

მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მატარაძე**
ფინანსური მენეჯერი **ქატიკაან დავითაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ბაბა გველსინანი, მზია ბარბაქაძე**
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **პოლდემარ მანსკი**

„ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიშის ნომერი: საქართველოს ბანკი, GE43BG000000161665862

ზანდუკელის №1; ტელ.: 293 69 77 E-Mail: litsaqartvelo@yahoo.com

დაბეჭდილია შპს „საარი“ სტამბაში
მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის 57

გამოდის პარასკეობით
ISSN 1987-9806
9 771987 980005